ვაჟიტრა მედია

ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 მაისი **ოთხშაბათი** 2011
№ 114 (13411) ფასი 60 თეთრი

მანუ+ჯანფუ=2013

12

ხიზანიშვილი პრემიერლიგას უემბლიდან შეუძახებს

წუხელ ზურაბ ხიზანიშვილის „რედინგმა“ დიდი ნაბიჯი გადადგა პრემიერლიგისკენ - პლეი ოფის საპასუხო ნახევარფინალში სტუმრად 3:0 გაანადგურა „კარდიფი“, რომელსაც შინ ვერ მოუგო. ქართველმა მცველმა კარდიფში 90 წუთი ითამაშა. ამ მოგებით „რედინგმა“ პლეი ოფის ფინალში გააღწია, რომელიც „უემბლიზე“ 30 მაისს გაიმართება და გამარჯვებული პრემიერლიგის საგზურს მიიღებს. მეტოქე იქაც უელსური კლუბია - „სუონსი“.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქვიკვინიას მკლავი უჭრის

მარჯვნივ და მარცხნივ მიმოფანტული რუსები

10

ევროპის ჩემპიონატი დღეს დასრულდება

ბელა და ლელა

ბრინჯაოს შანსი

11

ჭოჩინოშვილს ვერ აკავებენ

მაისის ბაშოზე ქართველმა მცხრე მოიგო

11

პორტუგალიური ბრაგაბრუში

UEFA EUROPA LEAGUE

დღეს დუბლინში ევროპის ლიგის ფინალია

რაინდები

2

ქართული ფეხბურთი

სპორტის რაინდი დინამოელები

ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მხოლოდ 13 მაისს არ გამართულა. თბილისის "დინამოს" ტრიუმფს საქართველოში რამდენიმე დღეა, აღნიშნავენ და სწორედ ამ მოვლენას მიეძღვნა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართული მიღება, სადაც მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა ვეტერან დინამოელებს სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა. ცნობისთვის, ეს წოდება საქართველოში მხოლოდ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონებს ენიჭებათ, მაგრამ "დინამოს" გამარჯვების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამინისტრომ გამონაკლისი დაუშვა.

მარცხნიდან: რამაზ შენგელია, ლადო ვარძელაშვილი, ზვიად სიჭინავა

ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ნოდარ ხიზანიშვილი, გიორგი თავაძე, ვიტალი დარასელია, ზაურ სვანაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, ნუკრი კაკილაშვილი, ვაჟა ჟვანია, რევაზ ჩელებაძე, გიორგი ჭილაია, ვახტანგ ქორიძე, კარლო მჭედლიძე, ამირან ანდღულაძე, "დინამოს" მთავარი მწვრთნელი **ნოდარ ახალკაცი,** მწვრთნელი **სერგო კუტივაძე,** გუნდის უფროსი **კახი ასათიანი** – ესენი არიან სპორტის რაინდის ტიტულის ახალი მფლობელები. ცოცხალთაგან ცერემონიას, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ყველა დაესწრო, გარდაცვლილთა კუთვნილი ჯილდო კი მათი ოჯახის წევრებმა მიიღეს.

თავის მხრივ, დინამოელებმა მინისტრს საკუთარი ავტოგრაფებით დამშვენებული ბურთი უსახსოვრეს. ღონისძიებას სამინისტროს ხელმძღვანელობა სრული შემადგენლობით დაესწრო, იქვე იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და "დინამოს" გენერალური მენეჯერი **ზურაბ პოლოლიკაშვილი.**

დაჯილდოების ცერემონიალს შეხვედრის არაოფიციალური ნაწილი მოჰყვა, სტუმარ-მასპინძლებმა ქართული ფეხბურთის სადღეგრძელო შესვეს.

ლადო ვარძელაშვილი: *"თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს ვულოცავ ამ გამარჯვების 30 წლის იუბილეს. „დინამოს" ფეხბურთელებმა ქართულ სპორტს და მთლიანად საქართველოს ისეთი დიდი სიხარული აჩუქეს, რომ ამ ჯილდოს უთუოდ იმსახურებენ. იმედს გამოვთქვამ, რომ ქართული ფეხბურთი დიდ გამარჯვებებს არაერთხელ მოიპოვებს, ამისთვის კი ერთობლივი მუშაობა გვმართებს. უახლოეს მომავალში წარმოვადგენთ სამუშაო პროგრამას და ვეტერან ფეხბურთელებთან აქტიურად ვითანამშრომლებთ".*

ვლადიმერ გუცაევი: *„სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ასეთი დაფასებისთვის დიდ მადლობას ვუხდი. ამ ჯილდოს მხოლოდ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონებს გადასცემენ, ჩვენ კი, ალბათ, იმ დიდი გამარჯვებებისა და სიხარულისთვის დაგვაფასეს, რომელიც ქართველ ხალხს და გულშემატკივარს მოვუტანეთ".*

ოთარ გაბელია: *„ჯილდოს მიღება და ასეთი დაფასება ძალიან სასიამოვნოა. უფრო მეტად სასიხარულო კი ის ყურადღებაა, რომელსაც სულ ვგრძნობდით. იუბილე მოგვილოცა ყველამ, „დინამოს" ხელმძღვანელობამ, ფეხბურთის ფედერაციამ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ. ქართულ ფეხბურთში ვითარება უკეთესობისკენ მიდის და შედეგი აუცილებლად მოვა".*

თენგიზ სულაქველიძე: "უბედნიერესი ვარ, დღემდე რომ გვაფასებენ. დიდი მადლობა სამინისტროს ასეთი საპატიო ჯილდოსთვის. იმედი მაქვს, ქართული ფეხბურთი ძალიან მალე აღორძინდება და საერთაშორისო ასპარეზზე ისევ იტყვის თავის სიტყვას".

ლევან ჯანეზაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

U17

ქართველთა კასპიური მეგოქეები



ვასილ მაისურაძე

9 ივნისს დაიწყება და 17 ივნისს დასრულდება ბაქოში "კასპიის თასის" გათამაშება, რომელშიც 8 ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრებები იასპარეზებენ. ცნობილი იყო, რომ აზერბაიჯანში **ვასილ მაისურაძის** მიერ გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები გაემგზავრებოდა და ასეც იქნება, გუშინ კი აზერბაიჯანულ სპორტულ ვებგვერდებზე ტურნირის სხვა მონაწილეთა ვინაობაც გამოქვეყნდა.

მასპინძელთა და ქართველთა ნაკრებების გარდა, "კასპიის თასისთვის" ესპანეთის, თურქეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის 17-წლამდელები იბრძოლებენ. ტურნირის რვა მონაწილე ორ ჯგუფად განაწილდება.

ლევან ჯანეზაშვილი

U21

ჯერ: მეკარეები და ლეგიონი

გაბელიამ იცის: შემოგვიტევენ!

23 მაისიდან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელია** 3 ივნისს ხორვატიის ქალაქ პულაში გასამართი შეხვედრისთვის გუნდის მომზადებას შეუდგება - ევრო-2013-ის შესარჩევი ჯგუფის პირველ შეხვედრაში **ივო შუშაკის** განწვრთნილი ხორვატი ახალგაზრდები ქართველებს უმასპინძლებენ.

გაბელია შეკრებაზე 24 ფეხბურთელის გამოძახებას აპირებს, მაგრამ ჯერ მხოლოდ ლეგიონერები და მეკარეები დაასახელა.

მეკარეები: გიორგი მაკარიძე („ლე მანი", საფრანგეთი), თორნიკე ზარქუა ("დინამო"), გიორგი ნადირაძე ("დინამო 2"), დავით ლეგაშვილი ("სიონი 2").

მცველი: საბა კვირკველია (ყაზანის „რუბინი 2", რუსეთი).

ნახევარმცველები: ზაქარია ბეგლარიშვილი („ფლორა", ესტონეთი), ნიკა ძალამიძე („ვიძევი", პოლონეთი), თორნიკე ოქრიაშვილი („ილიჩევეცი", უკრაინა).

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე, ირაკლი შეყილაძე (ორივე - „ემპოლი", იტალია), გიორგი ჭანტურია („ვიტესი", ჰოლანდია).

გაბელიას თქმით, გუნდი ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" ივარჯიშებს – თავიდან არასრული შემადგენლობით.

"ლეგიონერებისგან მოგვიანებით შემოგვიერთდებიან ნიკა ძალამიძე და ლევან მჭედლიძე. ძალამიძე პოლონეთის ჩემპიონატში ბოლო ტურის შეხვედრას



ოთარ გაბელია

29 მაისს ჩაატარებს. ჯერ არ ვიცით, როდის ჩამოვა მჭედლიძე, რადგან მითხრა, რომ ეს „ემპოლის" გამოსვლაზეა დამოკიდებული. თუ "ემპოლი" სერია A-ში გადასასვლელ პლეი ოფში თამაშის უფლებას მოიპოვებს, გადასასვლელ მატჩს 29 მაისს ჩაატარებს და 30 მაისს შემოგვიერთდება. თუ ასე არ მოხდა, შეკრებაზე 23 მაისს ირაკლი შეყილაძესთან ერთად გამოცხადდება.

საქართველოს ჩემპიონატიდან გამოძახებულ მოთამაშეებს შეკრებაზე 23 მაისს ველით, „ტორპედოსა" და „გაგრას" წევრების გარდა, რომლებიც 26 მაისს თასის ფინალში ითამაშებენ.

საბოლოო სიას საქართველოს ჩემპიონატის დარჩენილი ორი ტურის მერე გამოვაცხადებ. თუმცა განსაკუთრებული ცვლილებები არ იქნება. სულ თბილისში 24 ფეხბურთელი მოემზადება, 2 ივნისს კი ხორვატიაში 18 გაემგზავრება.

მეტოქეზე ინფორმაციის შეგროვება მსურდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ უნგრეთთან მატჩის ფირები მომაწოდეს, უკრაინასთან, საფრანგეთთან და ესპანეთთან მათი შეხვედრების ჩანაწერები კი, მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა, დღემდე არ გამოუგზავნიათ.

ის, რომ ხორვატების მწვრთნელი ჩვენთვის კარგად ნაცნობი ივო შუშაკია, მათ ტაქტიკაზე წარმოდგენას მაინც არ გვიქმნის. შუშაკი "დინამოსა" და საქართველოს ნაკრებში 2004 წლამდე მუშაობდა და ორივეს 3-5-2 სქემით ათამაშებდა. მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და, ალბათ, ძველ ტაქტიკას აღარ იყენებს. არ არის გამორიცხული, ერონული გუნდის მონახაზი გამოიყენოს - 4-3-3-ს ან 4-4-2-ს, 4-2-3-1-საც არ გამოვრიცხავ. ფაქტია, რომ ძლიერი ნაკრები ჰყავთ და შინ შემტევ სტრატეგიას აირჩევენ" - გვითხრა გაბელიამ.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერანი ფეხბურთელები მწუხარებას გამოთქვამენ ვეტერანი ფეხბურთელის

ბორის სიჭინავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ „დინამოს" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის

ბორის სიჭინავას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ მის ოჯახს.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონი

მაქაბი ჩემპიონობას ზეიმობს

ისრაელში ქართველები გაჩემპიონდნენ

ჰაპოელს "მაქაბიმ" შინ "ირონი კირიათ შმონას" 2:0 სძლია, მდევარი თელ ავივის "ჰაპოელისთვის" მიუწვდომელი შეიქნა და ისრაელის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ქვეყნის ჩემპიონის ტიტული გაინაღდა. შეგახსენებთ, "მაქაბის" წამყვანი თავდამსხმელია **ლადო დვალიშვილი, გიორგი დარასელია** კი გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ელიშა ლევის** თანაშემწეა.

საჩემპიონო მატჩი დვალიშვილმა ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 55-ე წუთზე შეცვალეს. ორივე გოლი ისრაელის ნაკრების ფორვარდმა **ლიორ რაფაელოვმა** გაიტანა. დარასელიასთვის ეს მეორე ჩემპიონობაა, დვალიშვილი კი "მაქაბის" შემადგენლობაში ოქროს მედალს პირველად დაეუფლა.

ჰაიფელები ჩემპიონობასთან წინა სეზონშიც ახლოს იყვნენ. "მაქაბი" ისრაელის მთავარ ლიგას თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერობდა, მაგრამ ფინიშზე წაიფორხილა და ჩემპიონობა თელ ავივის "ჰაპოელს" დაუთმო, რომლის ღირსებასაც მაშინ **ზურაბ მენთეშაშვილი** იცავდა.

ჯერ უცნობია, დარჩება თუ არა ლადო "მაქაბიში". დარჩენის შემთხვევაში მას კიდევ ერთხელ მიეცემა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსი. 24 წლის დვალიშვილმა, რომელსაც რამდენიმე მატჩი ტრავმის გამო გაუცდა, ისრაელის მიმდინარე ჩემპიონატში 28 შეხვედრა ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა.

25 მაისს დვალიშვილსა და დარასელიას დუბლის შესრულების შანსი ექნებათ - ისრაელის თასის ფინალში ჰაიფას "მაქაბი" თელ ავივის "ჰაპოელს" შეხვდება.

ლევან ჯანეზაშვილი

ადამიამ ყარაბახთან გაახანგრძლივა

გამარჯვდა აგდამის "ყარაბახის" მთავარი მწვრთნელის, **გურბან გურბანოვის** სიტყვები და კლუბმა **გიორგი ადამიას** ახალი კონტრაქტი გაუფორმა. ხელშეკრულების თანახმად, 30 წლის ქართველი თავდამსხმელი "ყარაბახში" მომავალი წლის ივნისამდე დარჩება.

შეგახსენებთ, ადამია 17 გოლით აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას სათავეში უდგას და პირველობამდე ბევრი აღარაფერი აშორებს. ზაფხულში "ყარაბახი" ევროპის ლიგის გათამაშებაში ჩაებმება.

გიორგი ადამია

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ნაკრები. მეტოქე

დავამარცხოთ საქართველო!

რაზე ფიქრობს მთელი ხორვატია

ხორვატიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **მლადენ პეტრიჩი**, რომლის საქართველოს ნაკრებთან თამაშიც საეჭვო იყო, აცხადებს, რომ 3 ივნისს სპლიტში გასამართი მატჩისთვის მზად იქნება.

მლადენ პეტრიჩი

"თავს ყოველდღიურად უკეთ ვგრძნობ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ უმნიშვნელოვანესი შეხვედრისთვის ძალების სრულად აღდგენას მოვასწრებ. თბილისში განცდილი მარცხი ხორვატიის ნაკრების თითოეულ წევრს ძალიან მნარედ ახსოვს და რევანშისთვის საგანგებოდ ვემზადებით. ჩვენი მიზანი უცვლელია - ჯგუფში პირველი ადგილი უნდა დავიკავოთ და ევროპის ჩემპიონატზე პლეი ოფის გარეშე გავიდეთ", - ამბობს "ჰამბურგის" ფეხბურთელი, რომელმაც თბილისური მატჩი ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა.

შეგახსენებთ, ხორვატიის ნაკრები საქართველოსთან ოთხი ძირითადი ფეხბურთელის გარეშე ითამაშებს – **ნიკო კრანჩარი** დისკვალიფიცირებულია, ხოლო **ივიცა ოლიჩი, ივან რაკიტიჩი** და **ივან სტრინიჩი** დაშავებულები არიან.

მოახლოებულ თამაშზე მორიგი კომენტარი გააკეთა ხორვატთა თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა**, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელებაზე ხშირად ვფიქრობ, მაგრამ დღეს ჩემი უმთავრესი საფიქრალი ის არის, როგორ დავამარცხო საქართველოს ნაკრებიო.

ლევან ჯანეზაშვილი

ფოთის კოლხეთი

მეგრული ჯემპი ფილიასგან:

აზროვნება მოქმედებას უნდა ასწრებდეს

თემურ ბარქაიამ ფოთის "კოლხეთი" უმაღლეს ლიგას დაუბრუნა, მაგრამ მოჭარბებულ პრობლემებს მარტო ვერ გასწვდა და გუნდში ახალი მეპატრონეები მივიდნენ. მათ მთავარ მწვრთნელად სოსო ფილია დანიშნეს, უმაღლეს ლიგაში ყველაზე ასაკოვანი და გამოცდილი სპეციალისტი, რომელსაც ადრეც ბევრი მოთამაშე აღმოუჩენია (დავით კვირკველიასა და გიორგი გახოკიძის მაგალითებიც იკმარებს) და ახლაც საინტერესო ახალგაზრდებს ზრდის.

მისი დანიშვნის შემდეგ (ცხადია, ეს ფინანსური გაჯანსაღების შედეგიც არის) "კოლხეთმა" რამდენიმე სენსაცია შემოგვთავაზა: სტუმრად არ დათმო "ზესტაფონთან" (0:0), ფოთში "ოლიმპთან" (0:0), სტუმრადვე "ვიტ ჯორჯიას" 1:0 მოუგო, ბოლო ტურში კი საქართველოს ჩემპიონი "ოლიმპი" რუსთავში დაამარცხა (1:0). წაგების მიუხედავად, კოლხებს ურიგო შთაბეჭდილება არც "დინამოსთან" დაუტოვებიათ (2:4). ერთი სიტყვით, გუნდს მწვრთნელის ხელი დაეტყო და შედეგებიც ლოგიკურია.

- "კოლხეთი" საკმაოდ კარგ ფეხბურთს აჩვენებს. არადა, ფინანსური პრობლემების გამო მოთამაშეების მიწვევა და შემდეგ მათი მობილიზება ძნელი იყო.

- მწვრთნელთა ახალი შტაბის მთავარი მიზანი ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოყვანა იყო – მათ საკუთარი ძალების რწმენა ჰქონდათ დაკარგული. ვფიქრობ, დავარწმუნეთ, რომ ნებისმიერ გუნდთან ბრძოლა და უმაღლეს ლიგაში დარჩენა შესაძლებელი იყო.

- ნებისმიერ გუნდთან ბრძოლა შეიძლებაო, თქვით. თქვენი მოთამაშეების პოტენციალი გაიმედებდათ თუ ჩვენი ჩემპიონატის დონიდან გამომდინარე ამბობდით?

- ორივე ფაქტორს ვითვალისწინებდი. ნიჭიერი ბიჭები მართლაც გვყავს და მათი მჯერა. რაც შეეხება დონეს, "კოლხეთში" 10 წელი მიმუშავია და იმ პერიოდთან შედარებით დღეს უფრო დაბალი დონის პირველობა გვაქვს. არავის ეწყინოს, მაშინდელი "კოლხეთი" დღეს თავისუფლად გახდებოდა ჩემპიონი.

- მოცდენა ფეხბურთელსაც და მწვრთნელსაც ფორმას უკარგავს. უცნაურია, თქვენ ხუთი წლის უმუშევრობა ნაკლებად გეტყობათ.

- მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტში ვმუშაობდი, ტენდენციებს ვაკვირდებოდი და ჩემს თავზეც ვმუშაობდი. თამაშებზე დასწრებაც დამეხმარა, რადგან ყველა გუნდის შესაძლებლობა და სათამაშო სტრატეგია ვიცოდი. მიუხედავად ამისა, "ფორმიდან ამოვარდნას" მაინც ვერ ავცდი, პრაქტიკა ხომ ყველაფერია, მაგრამ ნელ-ნელა ფორმაში შევდივარ.

- "კოლხეთს" სწრაფი კონტრშეტევები ჰქონია, ასე სწრაფად საქართველოში ბევრი გუნდი ვერ თამაშობს.



სოსო ფილია

- ჩვენი კოზირი სათამაშო დისციპლინაა. დასამალი არ არის, მოწინააღმდეგეს სრულფასოვნად ვსწავლობთ და თამაშს მისი კოზირების განეიტრალებაზე ვაგებთ, მერე კი ჩვენს შანსს ველოდებით. მატჩის დროს მეტოქე 2-3 მომენტს მაინც მოგცემს. მერე შენზეა დამოკიდებული, ამ შანსს გამოიყენებ თუ არა.

სწრაფ კონტრშეტევებზე სანაკრებო შესვენებისას, ურეკში ათდღიან შეკრებაზე ნაყოფიერად ვიმუშავეთ. თეორიულ მეცადინეობებს ყოველდღე საათს მაინც ვუთმობდით, ზოგჯერ დღეში ორჯერაც და ფეხბურთელები ჩვენს მოთხოვნებში გავარკვიეთ. "მეორე ნომრად" თამაშს აზრი არ აქვს, თუ სწრაფად მოაზროვნე და მოთამაშე ფეხბურთელები არ გყავს – აზროვნება კი მოქმედებას უნდა ასწრებდეს.

- ამას ჩვენს მოედნებზე ითხოვთ?

- დიახ, ეს ძნელია, მაგრამ საჭიროა. ბიჭებმა დავალება კარგად შეასრულეს "ვიტ ჯორჯიასთან", "ზესტაფონთან", "დინამოსთან" და "ოლიმპთან" რუსთავში, რადგან კარგ მოედნებზე ვითამაშეთ.

- თუმცა ჯერ თავი ქუდში არ გაქვთ.

- ყველაფერი ბოლო ორ შეხვედრაში გადაწყდება. ურთულესი შეხვედრები გველის გასვლაზე "ბაიასთან" და ფოთში "სპარტაკთან", მაგრამ იმედიანად ვართ.

- 15-კაციანი დირექტორატის შექმნით "კოლხეთის" ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა?

- რა თქმა უნდა. დირექტორატი ფოთელმა ბიზნესმენებმა შექმნეს, რომელსაც ხელმძღვანელობენ ქალაქის საკრებულოს ნევრი თენგიზ სარიშვილი და ბიზნესმენი დავით ბაბილუა. დირექტორატის წევრები საკუთარი ხარჯებით გუნდს სეზონის ბოლომდე უზრუნველყოფენ. მათ მოთამაშეთა დავალიანება ნაწილობრივ გაისტუმრეს და, ვფიქრობ, სეზონის ბოლოს ნაწყენი არავინ დაგვრჩება.

- ფოთის პორტი გუნდის პატრონობას არ აპირებს?

- ფოთის პორტს მფლობელი შეეცვალა და გამორიცხული არ არის, ახალი სეზონიდან "კოლხეთის" მფლობელი გახდეს, ისევე, როგორც კომპანია "ავერსი".

- არცთუ დიდი ხნის წინ ლაპარაკი იყო ფოთში ახალი სტადიონის მშენებლობაზე.

- ფეხბურთის ფედერაციიდან გვესტუმრნენ, სტადიონის პარამეტრები შეადგინეს, დეტალები დაუზუსტეს და, როგორც გვითხრეს, მალე მშენებლობას დაიწყებენ. ეს იყო დროული გადაწყვეტილება, რადგან ფოთში სტადიონი სამარცხვინო მდგომარეობაშია, ეს კი არც ფოთს ეკადრება და არც საქართველოს.

მერაბ მამულაშვილი

ახალგაზრდებო, აწ ხე თქვენ...

საღ, თუ არა ფოთში, ვინ, თუ არა კოლხებმა

ყველა გუნდს თავისი მიზანი აქვს. ზოგი ჩემპიონობისთვის იბრძვის, ზოგიც გადარჩენისთვის, ზოგსაც ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებებისთვის ფეხბურთელების გაზრდა ესახელება. ალბათ, ფოთის "კოლხეთი" წლეულს უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს და, რაც მთავარია, გუნდმა თავი იმით დაგვამახსოვრა, რითაც წლების განმავლობაში ქართულ ფეხბურთს ემსახურებოდა - რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა წარმოაჩინა.

19 წლის ლაშა გვალიამ უმაღლეს ლიგაში თამაშით ბევრს დაამახსოვრა თავი. თბილისის "დინამოსთან" და რუსთავის "ოლიმპთან" მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული იყო – თბილისელებს ეროვნულ სტადიონზე ულამაზესი გოლი გაუტანა, ბოლო ტურში კი, რუსთავი ის საგოლე კომბინაცია წამოიწყო, რომლითაც ფოთელებმა მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვეს. საერთოდაც, მკვირცხლი და სწრაფი ნახევარმცველი ასაკისთვის უჩვეულო გონიერებით და დახვეწილი ტექნიკით გამოირჩევა.

"თამაში ფოთში დავიწყე, ბოლო წლებში თბილისის "ოლიმპში" ვვარჯიშებდი და მერე "კოლხეთში" ამიყვანეს. 18 წლიდან ამ გუნდში ვარ. ჩემს ასაკში მწვრთნელი ფეხბურთელს ძირითადში იშვიათად აყენებს, მაგრამ მე გამიმართლა, ბესიკ შეროზიაც მენდობოდა და სოსო ფილიაც - წელს თითქმის ყველა შეხვედრა ჩავატარე და 3 გოლი გავიტანე. ვცდილობ, მწვრთნელებს იმედები გავუმართლო" – ამბობს გვალია.

ის დარწმუნებულია, რომ "კოლხეთი" უმაღლესი ლიგიდან არ გავარდება: *"კოლხეთი" ურიგო გუნდი არ არის, თავიდან კარგადაც დავიწყეთ და ოთხეულშიც ვიყავით. ხომ გახსოვთ, რუსთავის "ოლიმპს" 5:1 მოვუგეთ, ეს სენსაციად ჩათვალეს. ვერ ვიტყვი, რომ სენსაცია არ იყო, მაგრამ ძალიან კარგი შემადგენლობა შეიკრიბა და დარწმუნებული ვარ, ხუთეულში მოხვედრასაც შევძლებდით, რომ არა ფინანსური გაჭირვება, რომელმაც პირველი ეტაპის ბოლოს კინაღამ დაგვშალა. საბედნიეროდ, მეორე წრეში მდგომარეობა გამოსწორდა და გუნდიც უკეთ ათამაშდა. თუ ზამთარში გადათამაშებაში მოხვედრასაც სასურველად მივიჩნევდით, ახლა ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე პირდაპირ დარჩენის დიდი შანსი გვაქვს. რა თქმა უნდა, წინასწარ ამის მტკიცება ძნელი იქნება, რადგან ზუგდიდის "ბაიასთან" და ცხინვალის "სპარტაკთან" რთული შეხვედრები გველის. მაგრამ ჩვენი გუნდის პოტენციალი და ბოლო ტურების ნაჩვენები შედეგები მაიმედებს, რომ არ გავვარდებით. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული".*

ლაშა გვალია

გვალია იმედოვნებს, რომ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებას დაიმსახურებს: *"იყო დრო, გელა შეყილაძე 19-წლამდელთა ნაკრებში მიწვევდა, ესპანეთთან და ბელარუსთან მათამაშა კიდეც, მაგრამ მერე ნაკრებში მიწვევა აღარ მიმიღია. თუმცა ახლა იმედი დამიბრუნდა, რადგან უმაღლეს ლიგაში თამაშმა ბევრი შემძინა, ხალხმა გამიცნო. იმედია, წლევანდელი გამოსვლით ყურადღებას დავიმსახურებთ. ვიცი, ნაკრებში ბევრი ძლიერი ფეხბურთელია და მოხვედრა ადვილი არ იქნება, მაგრამ საამისოდ ყველაფერს ვაკეთებ.*

საერთოდ, ამბობენ, შემტევ ქართველ ნახევარმცველებს სიზარმაცე ახასიათებთო, მაგრამ არა მგონია, ეს ჩემზეც ითქმოდეს, რადგან რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ და ვარჯიში არ მეზარება. რაც უნდა კარგად ვითამაშო, კმაყოფილი არასოდეს ვარ. კარგ მწვრთნელთანაც ვვარჯიშობ. სოსო ფილია ისეთ წვრილმანებს მასწავლის, რაც ფეხბურთელს გახსნაში ეხმარება. "კოლხეთში" ამიტომაც გაიხსნა ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი".

მერაბ მამულაშვილი

2010 წლის 28 სექტემბერი. დინამო-ვიტ ჯორჯია 2:0 — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

შემორჩენილი ინტრიგა

ჩემპიონის ვინაობა ცნობილია, ისე როგორც ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებისა; გარკვეულია იმ ერთი გუნდის ბედიც, მომავალ სეზონს პირველ ლიგაში რომ გაატარებს; გადარჩენის თეორიული შანსი დარჩა „სპარტაკს“ — თავისი ორი მატჩის მოგებაც რომ შეიძლება არ ეყოს უმაღლესში დასარჩენად. რაღა დარჩა საინტრიგო? უპირველესად, რაღა თქმა უნდა, მოახლოებული თასის ფინალი. აი, ჩემპიონატში კი მართლაც გამორჩეულად საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი მერვე ადგილის დასაკავებლად. შეგახსენებთ, რომ მეტ-ნაკლებად „გადამრჩენელი“ მერვე ადგილზე გასული გუნდი უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად პლე ოფის მატჩს ჩაატარებს პირველი ლიგის მესამეადგილოსანთან. ამის „პერსპექტივა“ კი თეორიულად სამ გუნდს, პრაქტიკულად კი ორს აქვს: „ბაიას“ დარჩენილ ორ მატჩში ერთი ქულაც ჰყოფნის, აი, „კოლხეთი“ და „სიონი“ ბოლო ტურამდე იბრძოლებენ მერვე ადგილის დასაკავებლად. ისე, იმის ალბათობაც არის, რომ ორივე გუნდმა სეზონი ქულათა ერთნაირი რაოდენობით დაამთავროს და უპირატესობა იმ გუნდს მიენიჭება, რომელსაც მეტი მოგება ექნება. თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარი იქნება, მაშინ ურთიერთშეხვედრების გათვალისწინებით უპირატესობა „სიონის“ მხარეს ექნება. თუმცა, ამდენ ვარაუდს, სჯობს მოახლოებულ ტურზე ვისაუბროთ და წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ ხუთთვე შეხვედრა ერთსა და იმავე დროს, 17 საათზე დაიწყება.

სიონი-ზესტაფონი

სტუმრები ქვემო ქართლს ჩემპიონის რანგში ესტუმრებიან და ეს ფაქტი მასპინძელთათვის დამატებით სტიმულად უნდა იქცეს. თუმცა, „სიონს“ მოტივირება არც სჭირდება: ხვიჩა ქასრაშვილის გუნდს მართლაც ურთულესი ფინიში ელოდება და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება თუ უნდა, დღესაც და კვირასაც მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროება. სათქმელად, რა თქმა უნდა, ადვილია, ისე კი, როგორი საქმეა ჯერ ახალ ჩემპიონთან, შემდეგ კი წინა სეზონის გამარჯვებულთან („ოლიმპთან“) ორი უმნიშვნელოვანესი თამაშის წარმატებით დამთავრება; შესაძლოა ბევრმა იფიქროს, რომ საჩემპიონო ტრიუმფისა და სადღესასწაულო-საზეიმო განწყობით „გადაღლილი“ „ზესტაფონი“ სეზონის დარჩენილ მატჩებს ნაკლებად მოტივირებული შეხვდება. ბოლნისური გუნდის ქომაგებს, ალბათ, იმის იმედიც ექნებათ, რომ „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე** ბოლო ტურებში თავის გამოჩენის საშუალებას იმ ფეხბურთელებს მისცემს, ძირითადში თამაში ნაკლებად რომ უწევდათ...

... უკვე ექვსი წელია, „სიონი“ ვერაფრით ახერხებს „ზესტაფონის“ დამარცხებას; ეგ კი არა, სეზონის განმავლობაში ბოლნისელები ერთ ქულასაც რომ აიღებდნენ ხოლმე იმერულ კლუბთან, ესეც მიღწევა იყო. სხვათა შორის, „სიონის“ ამჟამინდელი თავკაცი **ხვიჩა ქასრაშვილი** ამ სეზონში ერთხელ უკვე დაუპირისპირდა „ზესტაფონს“ და მესამე წრის იმ შეხვედრაში ბოლნისელებმა სენსაცია მოახდინეს და სტუმრად ქულა მოიპოვეს.

კოლხეთი-ბაია

ამ ტურის კიდევ ერთი დიდად მოტივირებული მატჩი: „მეგრული დერბი“ ისედაც დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ ამჟამად განსაკუთრებული სიტუაციაა. მასპინძლებს, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ, გამარჯვება ესაჭიროებათ. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ **სოსო ფილიას** გუნდს ბოლო ტურში არანაკლებ რთული გასვლითი მატჩი ელოდება „სპარტაკთან“. თავის მხრივ, ზუგდიდურ გუნდსაც არა აქვს გარანტირებული უმაღლეს ლიგაში დარჩენა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი ამ პრობლემას ბოლო ტურში გადაჭრის, როცა საკუთარ მოედანზე ყოველად უმოტივაციო და უკვე პირველ ლიგაში გავარდნილ „სამტრედიას“ უმასპინძლებს. ფაქტობრივად ისეთი სიტუაციაა, რომ ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში სწორედ „მეგრული დერბი“ უნდა მივიჩნიოთ ცენტრალურ დაპირისპირებად, თუმცა, ამ შემთხვევაში „გავკადნიერდებით“ .და ვიტყვით, რომ წყვილში ფავორიტად (თანაც, აშკარა) მაინც მასპინძლები უნდა მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ „კოლხეთი“ ამაღლებულ განწყობაზე ხვდება სეზონის ფინიშს - ფოთელებმა წინა ტურში სტუმრად ხომ ქვეყნის აწ უკვე ექსჩემპიონი „ოლიმპი“ დაამარცხეს!

სამტრედია-ოლიმპი

„სამტრედიამ“ წინა ტურში ოფიციალურად გაიფორმა პირველი ლიგის საგზური, თუმცა ამაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა: ფაქტობრივად, სეზონის დაწყებიდან მოყოლებული, ამ გუნდს სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ყოველივე ეს საბოლოო შედეგზეც რომ აისახებოდა, ამას რა ბევრი მტკიცება სჭირდება. აი, ასე: ორწლიანი ყოფნის მერე „სამტრედია“ უმაღლეს ლიგას ემშვიდობება და უკვე მერამდენედ გვინდა გავახმოვანოთ ჩვენი სურვილი, რომ ეს დიდი ტრადიციის მქონე გუნდი რაც შეიძლება უმოკლეს დროში დაუბრუნდეს უმაღლეს ლიგას.

აი, „ოლიმპზე“ კი რა უნდა ვთქვათ — ბოლო რვა შეხვედრაში ექვსი წაგება, ალბათ, მართლაც, მეტისმეტია ამბიციური გუნდისათვის...

ჭორპედო-სპარტაკი

ერთი შეხედვით, მასპინძლებისათვის ამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს; მით უფრო, რომ „ტორპედოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელები ალბათ უკვე თასის ფინალზე ფიქრობენ - თავიანთთვის სეზონის უმთავრეს მატჩზე! მაგრამ მეორე მხრივ, მასპინძლები იმ მართლაც შესანიშნავი სერიის გაგრძელებასაც შეეცდებიან: უკანასკნელი ოფიციალური მატჩი „ტორპედომ“ ორი თვის წინათ წააგო! არადა, რომ არა სეზონის დასაწყისში დაკარგული ქულები, „ტორპედოს“ მართლაც რეალურად შეეძლო... საჩემპიონო დავაშიც ჩარეულიყო; თუმცა, კლუბის ფეხბურთელთა 90 პროცენტი ახალწვეული იყო და ერთმანეთში შეთამაშებამ დრო ხომ წაიღო, სამწუხაროდ, ყოველივე ეს ქუთათურთა გუნდის შედეგზეც უარყოფითად აისახა. თუმცა, ამჯერად აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა და დღესდღეობით თუ შეიძლება რომელიმე გუნდზე ქების სიტყვებით მოხსენიება, ერთ-ერთი სწორედ **გია გიგატაძის** კრებულია. „სპარტაკი“ კი მართლაც უმძიმეს მდგომარეობაშია: შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ **ბადრი კვარაცხელიას** გუნდს ქუთაისში გამარჯვებაც არ ეყოს უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად...

ვიტ ჯორჯია-დინამო

ძველი და პრინციპული მეტოქეების დაპირისპირება ყოველთვის უდიდეს ინტერესს იწვევდა; ამ სეზონში ჩატარებული სამივე პაექრობაც არ იყო ურიგო სანახავი; მაგრამ, აი, იმას კი ვერაფრით ვიხსენებთ, თუ როდის იყო „ვიტ ჯორჯიასა“ და „დინამოს“ მატჩი სატურნირო თვალსაზრისით ყოვლად უინტრიგო! ჰო, ძველ მოწინააღმდეგეებს ჩემპიონატში მოტივაცია ხომ აღარ დარჩათ და დღევანდელ შეხვედრაში, უპირველესად, ალბათ, საკუთარი პრესტიჟისთვის იბრძოლებენ. თუმცა, ამის გამო, დიდი შანსია, რომ მატჩი სანახაობრივად ლამაზი გამოდგეს - ორივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს ხომ ყოველგვარი სატურნირო თუ ფსიქოლოგიური წნეხი მოხსნილი ექნებათ; ამას გარდა, არც „ვიტ ჯორჯიას“ და არც „დინამოს“ ერთმანეთის წინააღმდეგ... მოტივაცია არ სჭირდებათ!..

გია ტუხაშვილი

ბოლო ტურ. 22 მაისი. კვირა

სპარტაკი-კოლხეთი
ბაია-სამტრედია
ოლიმპი-სიონი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
დინამო-ტორპედო

ტორპედო-სპარტაკი — 18.05. ქუთაისი. ტორპედო 17:00
არბიტრი: ლ. სილაგავა; ასისტენტები: ა. ჯაქონაშვ., ს. ფოფანა; მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

ვიტ ჯორჯია-დინამო — 18.05. თბილისი. შატილი 17:00
არბიტრი: ლ. კვარაცხელია; ასისტენტები: გ. ყრუაშვილი, ს. სპიცინი; მეოთხე მსაჯი: ა. ნინიკაშვილი

სიონი-ზესტაფონი — 18.05. ბოლნისი. თ. სტეფანია 17:00
არბიტრი: გ. ვადაჭკორია; ასისტენტები: ლ. თოდრია, ლ. მიქელაძე; მეოთხე მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

სამტრედია-ოლიმპი — 18.05. სამტრედია. ე. მანჯგალაძე 17:00
არბიტრი: ჯ. ხორავა; ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ლ. ვარამაშვილი; მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე

კოლხეთი-ბაია — 18.05. ფოთი. ფაზისი 17:00
არბიტრი: თ. გვანცელაძე; ასისტენტები: დ. ჩიგოგიძე, ი. კაკაბაძე; მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი

	სულ							შინ							სტუმრად						
ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	გურთები		ქ	თ	მ	ფ	წ	გურთები		ქ	თ	მ	ფ	წ	გურთები		ქ
						გატ	გაშვ						გატ	გაშვ						გატ	გაშვ	
1	ზესტაფონი	34	23	6	5	68	18	75	17	14	2	1	42	4	44	17	9	4	4	26	14	31
2	დინამო	34	20	9	5	52	20	69	17	12	5	0	35	10	41	17	8	4	5	17	10	28
3	ოლიმპი	34	18	6	10	46	30	60	17	13	2	2	28	7	41	17	5	4	8	18	23	19
4	ტორპედო	34	12	13	9	28	21	49	17	8	8	1	14	5	32	17	4	5	8	14	16	17
5	ვიტ ჯორჯია	34	14	6	14	35	35	48	17	8	3	6	23	18	27	17	6	3	8	12	17	21
6	ბაია	34	12	5	17	31	48	41	17	11	3	3	23	13	36	17	1	2	14	8	35	5
7	სიონი	34	9	9	16	25	43	36	17	8	4	5	20	16	28	17	1	5	11	5	27	8
8	კოლხეთი	34	9	9	16	23	46	36	17	7	4	6	16	17	25	17	2	5	10	7	29	11
9	სპარტაკი	34	7	10	17	32	41	31	17	6	4	7	27	20	22	17	1	6	10	5	21	9
10	სამტრედია	34	6	7	21	26	64	25	17	6	5	6	15	13	23	17	0	2	15	11	51	2

● ინციდენტი

დალეწილი თეფშები და აყირავებული მაგიდები

„ვესტ ჰემს" რაღა აქეიფებდა? თუმცა, ეს რა ჩვენი საქმეა - ლონდონელებმა, პრემიერლიგიდან გავარდნის მიუხედავად, მაინც მოაწყვეს სეზონის დამთავრებისადმი მიძღვნილი საღამო და ჩხუბი, რომელზეც მოგახსენებთ, სწორედ იქ მოხდა. როგორც ამბობენ, მიზეზი ის იყო, რომ 25 წლის სენეგალელმა თავდამსხმელმა **დემბა ბამ** გულშემატკივარს ავტოგრაფზე უარი უთხრა.

ეს ამბავი „გროსვენორ ჰაუს ჰოტელში" მოხდა, სადაც „ჩაქუჩებს" კაცზე 275-ფუნტიანი სუფრა ჰქონდათ გაწყობილი. საღამოს გმირი 30 წლის ნახევარმცველი **სკოტ პარკერი** გახლდათ, რომელმაც კლუბის მიერ დანესებული პრიზები და სუვენირები ერთიანად მოხვეტა, მაგრამ ის ქეიფი გმირის გამო არავის დაამახსოვრდება, რადგან ყურადღება ანტიგმირმა, ბამ მიიპყრო. აი, რა თქვა თვითმხილველმა:

„დავინახე რამდენიმე გულშემატკივარი, რომელთაც დემბა ბას ავტოგრაფი სთხოვეს, მან კი ზურგი აქცია და უთხრა, რომ ძალიან დაღლილია. ამაზე ფანებმა უთხრეს, რომ ისინი „აპტონ პარკზე" აბონემენტების მფლობელები არიან და ასეთ მოპყრობას არ იმსახურებენ. ამას კი მოჰყვა და მოჰყვა..."

„ვესტ ჰემის" ხელმძღვანელებმა საქმის ჩასაფარცხად დაყარეს ხმები, თითქოს გულშემატკივრები, რომელთაც ბას ავტოგრაფი მოუნდათ, ცნობილი ხულიგნები იყვნენ, მაგრამ პრესამ საკითხს სულ სხვა მხრიდან მოუარა — „ჩაქუჩების" წვეულება ხომ მათი გავარდნიდან 24 საათში იყო. სხვა სიტყვებით, გუნდი გავარდა და მეორე დღეს რესტორანში ჩხუბიც მოაწყო. ეს უფრო „ვესტ ჰემის" ნევრთა დაძაბულობაზე მიუთითებს, ვიდრე გულშემატკივრის ხულიგნობაზე.

ჩხუბი კი მართლაც სერიოზული ატყდა - გადააყირავეს მაგიდები, ისროლეს თეფშები, დაამტვრიეს სკამები. მოჩხუბართა გასაშველებლად საქმეში სასტუმროს დაცვა ჩაერია და გულშემატკივრები იქაურობას გაარიდა. „გროსვენორ ჰაუს ჰოტელს" პოლიციის ორმა მანქანამ მიაკითხა.

აღსანიშნავია, რომ საღამოზე 750 სტუმარი იყო დაპატიჟებული. ზეიმი წინასწარ გახლდათ დაგეგმილი და ფეხბურთელები გაფრთხილებულები იყვნენ, რომ გამოუცხადებლობის შემთხვევაში ერთი კვირის ხელფასს დაუქვითავდნენ. ორად ორი მათგანი გაათავისყფლეს - კისერნატკენი **კარლტონ კოული**, რომელსაც ქეიფში მისვლის თავი არ ჰქონდა და მეკარე **რობერტ გრინი,** რომლის მეუღლეც დღე-დღეზე ბავშვს ელოდება.

მასმედიის საშუალებებში დაიწყეს მსჯელობა იმის შესახებ, როგორ იმოქმედებს ეს ჩხუბი **ავრამ გრანტის** შემცვლელის შეგულებაზე, თუმცა, გვეეჭვება ინციდენტმა ამ საკითხზე რაიმე გავლენა მოახდინოს. „ჩაქუჩების" თანამფლობელმა **დევიდ სალივანმა** გრანტის შესახებ ასე თქვა:

„ავრამი ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ შედეგი თავისას მეტყველებს. კლუბის დირექტორატს სულაც არ უხაროდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, მაგრამ სხვა გზა არ იყო. გუნდი თამაშობს ისეთ ფეხბურთს, როგორსაც მას მწვრთნელი სთხოვს. ფეხბურთელები თვითნებურად ვერ მოიქცევიან".

● შოტლანდია

ექვსი რეინჯერსული

„რეინჯერსი" ზედიზედ მესამედ გახდა შოტლანდიის ჩემპიონი, მაგრამ ის, რაც გლაზგოს გუნდს ბოლო ჩემპიონატში გადახდა, განსაკუთრებული გახლდათ. ბრიტანეთში ამბობენ, რომ გასულ უქმეებზე დამთავრებული სეზონი ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი იყო. აქ, რასაკვირველია, იმაზე არ არის ლაპარაკი, რომ ტიტულს ერთმანეთს „რეინჯერსი" და „სელტიკი" ეცილებოდნენ - ეს შოტლანდიაში ჩვეულებრივი ამბავია. აქ, საკუთრივ ჩემპიონატის დინამიკა, მოვლენების მონაცვლეობა გახლდათ განსაკუთრებული.

დავინყოთ იმით, რომ პირველობა „რეინჯერსმა" ზედიზედ 9 მოგებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ სურათი შეიცვალა — **უოლტერ სმიტის** არცთუ მრავალრიცხოვან გუნდს ტრავმები და წითელყვითელი ბარათები დაუგროვდა, რამაც მის შედეგებს დაასვა დაღი. ამას დაამატეთ, რომ გუნდის საუკეთესო ბომბარდირი, 31 წლის **კენი მილერი** იანვარში „ბურსასფორში" გაყიდეს, 4 მილიონ ფუნტად ნაყიდი 25 წლის ხორვატი **ნიკიცა იელავიჩი** კი ოთხი თვის განმავლობაში მკურნალობდა. სეზონის გვარიანი მონაკვეთები გამოტოვეს „რეინჯერსისთვის" ისეთმა მნიშვნელოვანმა ფეხბურთელებმა, როგორებიც არიან **ლი მაკალოხი**, **მაჯიდ ბუგერა** და **კაილი ლაფერტიც**, მაგრამ გუნდმა მაინც გამოავლინა უტეხი სული და რამდენჯერმე „ფერფლიდან აღდგა".

სელტიკი-რეინჯერსი. სეზონის გადამწყვეტი მომენტი

გაზეთმა „სანმა" განვლილ ჩემპიონატს თვალი გადაავლო და ექვსი გადამწყვეტი შეხვედრა აღმოაჩინა.

11 სექტემბერი

ჰემილტონი-რეინჯერსი 1:2

„ნიუ დგლას პარკზე" სმიტის ბიჭები მასპინძლებმა წისქვილის ქვებში გაატარეს, მაგრამ მათ, რაღაც მანქანებით მოახერხეს და შინ სამი ქულით დაბრუნდნენ. ამ შეხვედრაში „რეინჯერსის" მაისურით პირველი გოლი იელავიჩმა გაიტანა, მაგრამ მერე ბუგერამ თავის კარში შეაგდო. შეხვედრა ასეც უახლოვდებოდა დასასრულს, როდესაც მილერმა მაკალოხის პასით გამარჯვების გოლი შეაგდო.

26 სექტემბერი.

აბერდინი-რეინჯერსი 2:3

„რეინჯერსს" „პიტოდრიზე" 2007 წლის იანვრის შემდეგ ერთხელაც არ მოეგო და ამ დღესაც შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მოვლენები ისევ გლაზგოელთა საწინააღმდეგოდ განვითარდებოდა - თავიდან „აბერდინი" 2:0 დაწინაურდა. მასპინძლებმა მეორე გოლი რომ გაიტანეს, შეხვედრის დაწყებიდან 30 წუთი იყო გასული. სტუმართა საბედნიეროდ, ეს ანგარიში მალევე შეიცვალა — მილერმა 34-ე წუთზე პენალტი გაიტანა. შესვენებიდან 7 წუთში იმავე მილერმა, რომელიც იმხანად შესანიშნავ ფორმაში იყო, ანგარიში გაქვითა, შემდეგ კი იელავიჩმა გამარჯვების გოლიც შეაგდო. თამაშის ბოლოს მასპინძლებს **კრისტოფერ მეგუაირი** გაუძევეს.

2 ოქტომბერი

ჰართსი-რეინჯერსი 1:2

რუდი სკაცელმა „ჰართსი" შეხვედრის დასაწყისშივე დააწინაურა და ეს უპირატესობა მასპინძლებმა მე-80 წუთამდე შეინარჩუნეს. ბოლო 10-15 წუთში კი ბედმა სტუმრებს გაუღიმა - ჯერ შეცვლაზე შესულმა ლეფერტიმ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი მესამე დამატებულ წუთზე, **სტივი ნეისმითმა** გამარჯვებისა შეაგდო.

24 ოქტომბერი

სელტიკი-რეინჯერსი 1:3

სეზონის შვიდი „ოლდ ფირმიდან" პირველი „რეინჯერსმა" მოიგო. სურათი ამჯერადაც იგივე იყო - გოლი თავიდან სმიტის გუნდმა გაუშვა და მერეღა შეიბერტყა ყური. ანგარიში **გლენ ლუვენმა** საკუთარ კარში გატანილი გოლით გაათანაბრა, რასაც მილერის შედეგიანი დარტყმა მოჰყვა, მესამე კი სტუმრებმა პენალტით გაიტანეს. თერთმეტმეტრიანი ისევ მილერმა შეაგდო, თუმცა ამ გოლს ხმაური მოჰყვა — დარღვევა არ ყოფილა **კირკ ბროდფუდმა** ისიმულანტაო.

10 აპრილი

ჰემილტონი-რეინჯერსი 0:1

ეს შეხვედრაც „კლასიკური" სცენარით უნდა განვითარებულიყო, მაგრამ საქმეში „რეინჯერსის" მეკარე, **ალან მაკგრეგორი** ჩაერია და **დაგი იმრეს** მე-17 წუთზე პენალტი აუღო. საინტერესოა, რომ ჩემპიონს გასულ სეზონში ასე საზიზღრად არც უთამაშია, მაგრამ, გამარჯვება მაინც მას დარჩა.

გამარჯვების გოლი კი ხორვატმა იელავიჩმა დაახლოებით 20 მეტრიდან გაიტანა. როგორც გითხარით, „რეინჯერსი" საძაგლად თამაშობდა და შესაბამისად, მასპინძლებს გოლის გატანის შანსები ჰქონდათ, მაგრამ სმიტის გუნდს ყისმათი აღმოაჩნდა.

24 აპრილი

რეინჯერსი-სელტიკი 0:0

ამ შეხვედრის გმირიც მეკარე მაკგრეგორი გახლდათ — მან „სელტიკის" ბერძენ ვარსკვლავ **გეორგიუს სამარასს** 83-ე წუთზე (!) პენალტი აუღო. გოლი რომ გასულიყო, „სელტიკი", რომელსაც თამაშით ნაკლები ჰქონდა, დიდ ფორას მიიღებდა, მაგრამ... არც გოლი გავიდა და ჩემპიონიც „რეინჯერსი" გახდა.

● ამბები

ეროვნული ფერფლიდან გადაირია

ინგლისის ჩემპიონის, „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელ სერ **ალექს ფერგიუსონს** ფეხბურთის ასოციაციისგან სასჯელი ელის - შოტლანდიელმა ხსენებული ორგანიზაციის შეფთა ბოლო ბრალდებაზე ყურიც არ მოიფხანა. არადა, ფერგიუსონს ორშაბათის 4 საათამდე ჰქონდა დრო. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ფინალისტს ასოციაციისთვის პასუხი უნდა გაეცა, აპირებს ნაყენებული ბრალდების გასაჩივრებას თუ მორჩილად მიიღებს სასჯელს.

ბრალდების მიზეზი კი იმდენად უგუნური გახლდათ, რომ გასაკვირი არ არის, „იუნაიტედის" თავკაცმა დემონსტრაციულად, რომ უგულებელყო. კერძოდ, 8 მაისს, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ჩელსის" შეხვედრას მსაჯმა, **ჰოვარდ უებმა** თავი ჩინებულად გაართვა, რის გამოც ფერგიმ ის შეაქო, ინგლისური წესის თანახმად კი, მწვრთნელებს არბიტრების შეფასების უფლება არ აქვთ. ეს წესი, რასაკვირველია, არბიტრების ლანძღვისგან თავის დასაზღვევად მოიგონეს, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ კაცს ქების გამოც დასჯიან.

ფერგიუსონის დუმილი განიხილება, როგორც ბრალდებასთან დათანხმება და მას აუცილებლად დასჯიან. კლუბის თანამშრომელთაგან კი ცნობილი გახდა, რომ შოტლანდიელ სპეციალისტს ასოციაციის მიერ ნაყენებულმა მართლაც და უცნაურმა ბრალდებამ მოთმინება დააკარგინა.

ახალი ჩიჩარიტო

იცით ვინ არის **ანტონიო მაიკლ პედროსა უაიტჰემი**? ეს გახლავთ ინგლისში, კერძოდ ჩესტერში დაბადებული მექსიკელი თავდამსხმელი, რომელიც ამ ქვეყნის პრემიერლიგის გუნდ „ხაგუარეს დე ჩიპასში" თამაშობს. 20 წლის ფორვარდს მამა მექსიკელი ჰყავს, ხოლო დედა ინგლისელი.

ახალგაზრდა ვარსკვლავის თამაში დედის სამშობლოში შეუმჩნეველი არ დარჩათ და მას, უკვე რამდენიმე თვეა, ფეხბურთის ასოციაციის სკაუტები აკვირდებიან. ამ ზაფხულს, კოლუმბიაში 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება. ინგლისელებს იმედი აქვთ, რომ ანტონიო პედროსას დაითანხმებენ და თავიანთ ნაკრებში ათამაშებენ.

საინტერესოა, რომ პერდორსას მექსიკელი ჟურნალისტები „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდ **ხავიერ ერნანდესს**, იმავე ჩიჩარიტოს ამსგავსებენ. ამბობენ, რომ მსგავსება მრავალმხრივია - ისინი დაახლოებით ერთი სიმაღლისანი არიან, სწრაფად მოძრაობენ, მაღლა ხტებიან... ანტონიო პედროსა ადასტურებს, რომ თუ მექსიკის ნაკრებში არ გამოიძახებენ, სიამოვნებით ემსახურება დედის სამშობლოს. კერძოდ, ფეხბურთელმა თქვა:

„მამაჩემი მექსიკელია, დედა — ინგლისელი. მექსიკაში საცხოვრებლად პატარობაში წამომიყვანეს და აქ გავიზარდე, ასე რომ, თავს მექსიკელად მივიჩნევ.

რაც შეეხება ინგლისის 20-წლამდელთა ნაკრებში გამოსვლას, ამ შესაძლებლობით აღფრთოვანებული გახლავართ. ძალიან მიყვარს მექსიკა, მაგრამ ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშის შანსი არ მაქვს და ამიტომ ინგლისის ეროვნულ გუნდში გამოვალ".

პედროსა სხვადასხვა დროს გასინჯეს „არსენალმა" და „ჩელსიმ", მაგრამ ახლა მის მთხოვნელთა რაოდენობა გაიზარდა. მისი შეძენა სურთ „ფულჰემსა" და „რომასაც".

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● სკანდალი

ჟივე და მკერავი

გაელ ჟივე

მკერავებიღა აკლდა მსოფლიო ფეხბურთს: ინგლისში „ბლექბერნის" 29 წლის ფრანგი ფეხბურთელის, **გაელ ჟივეს** საქმეს იძიებენ. უფრო ზუსტად, ასოციაცია მისი ტრანსფერით დაინტერესდა. ჟივე „ბლექბერნში" „ბარსელიდან" 2009 წელს 3,5 მილიონ ფუნტად გადავიდა. როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, ამ ამბავში ერთი მეტად უხერხული და უსიამოვნო დეტალი იყო — შუაკაცი, რომელიც ფიფას ლიცენზირებული აგენტი არ არის.

„სანთან" ლაპარაკში (ასოციაციამ კი სწორედ ამ გაზეთის მიერ მიწოდებული ჩანაწერებიდან შეიტყო, რა მოხდა ორი წლის წინ) ჟივემ თქვა, რომ ის აიძულეს 50 ათასი ფუნტი „ვიღაც კაცისთვის" გადაეხადა. ეს კაცი მანჩესტერელი მკერავი **ფილ ბლექი** გახლდათ, რომელიც ფრანგ ფეხბურთელს „ბლექბერნში" გადასვლაში დაეხარჯა. ჟივემ თქვა, რომ მოდების მაღაზიის მეპატრონე მას აეროპორტშიც კი დახვდა და გუნდის მაშინდელ მწვრთნელ **სემ ელერდაისთან** მიიყვანა, თუმცა ყველაზე შოკისმომგვრელი მაინც ის მომენტი ყოფილა, როდესაც მკერავმა გასამრჯელო მოსთხოვა.

„სანთან" გულახდილ ლაპარაკში ჟივემ აღწერა, თავიდან როგორ ჩაუდო ბლექს კონვერტში 5 ათასი ფუნტი. ამის შემდეგ მან 25 ათასი პირდაპირ მკერავის ანგარიშზე დასვა, ბოლოს კი უდიდესი ულუფა — 30 ათასიც გადაურიცხა. ჟივესა და ჟურნალისტების ლაპარაკს ფეხბურთელის ადვოკატებიც ესწრებოდნენ. ფრანგმა გაზეთსა და ფეხბურთის ასოციაციას გამოძიებაში თანამშრომლობა აღუთქვა.

მცველმა თქვა: *„ფილ ბლექი პირველი ადამიანი იყო, ვინც „ბლექბერნზე" დამინყო ლაპარაკი. ის დამიკავშირდა და ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. შემდეგ, როდესაც მე და ჩემი აგენტი ფრედერიკ დობარიე მოსალაპარაკებლად ინგლისში ჩამოვედით, ბლექი ლივერპულის აეროპორტში დაგვხვდა. სწორედ მაშინ ვნახე ის პირველად. ბლექს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, უბრალოდ, ბლექბერნში წაგვიყვანა. უნდა გითხრათ, რომ მას არც სხვა დროს მიუღია რაიმეში მონაწილეობა. საერთოდ აღარ გამოჩენილა. „ბლექბერნის" თანამშრომელი მეგონა. მაგრამ, როდესაც ტრანსფერი შედგა და მე კონტრაქტს ხელი მოვაწერე, მან ფული მომთხოვა. მან მითხრა, რომ აგენტებისთვის გამოყოფილი პროცენტიდან ნაწილი მასაც ერგებოდა და ეს ჩემს აგენტთანაც ჰქონდა შეთანხმებული.*

ბლექი ფულს კარგა ხანს მთხოვდა. ის დაჟინებით მიმეორებდა, რომ წილი ეკუთვნოდა და მე ვალდებული ვიყავი გამესტუმრებინა. ის მეუბნებოდა, რომ იპოთეკის თანხა ჰქონდა გადასახდელი და ჩემ გამო მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა. მე თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი, ვხვდებოდი, რომ რაღაც ისე არ იყო, მაგრამ ბლექის დაჟინებას საზღვარი არ ჰქონდა. მან ისიც კი მითხრა, რომ როდესაც ჩემი აგენტი ვალს გაუსტუმრებდა, ის ამ თანხას დამიბრუნებდა.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, უცხოეთში ვიყავი და არც კი ვიცოდი, ასეთი რამ აქ ჩვეულებრივი ამბავი იყო თუ არა. მოგვიანებით თავი სულელად ვიგრძენი".

საინტერესოა, რომ „სანმა" ბლექსაც მიაკითხა და მკერავმა ტრანსფერში თავისი მონაწილეობა სულაც არ უარყო. მან დაადასტურა, რომ ჟივესგან მართლაც აიღო ფული. მკერავი ჟივესგან განსხვავებით უფრო მცირე თანხას ასახელებს, მაგრამ ფაქტს არ უარყოფს.

„ჩემი შემოსავალი კვირაში 65 ათასი ფუნტია და, დამეთანხმებით, ასეთი მასშტაბის ბიზნესმენისთვის 5 ათასი ნამდვილად არ არის ის თანხა, რომელსაც შეიძლება დახარბდე. რაც შეეხება ფეხბურთს, ის ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია".

უცნაურია, რომ „სანს" გაკვრით ისიც კი უნერია, ბლექმა ჟივეს მოგვიანებით 15 ათასი დაუბრუნა, მაგრამ ფეხბურთელი მთელ თანხას ითხოვსო. მოკლედ, თანხებთან დაკავშირებით მეტი სიცხადე იქნებოდა სასურველი, თუმცა, ასეა თუ ისე, ფიფა სატრანსფერო გარიგებებში არალიცენზირებული ადამიანების მონაწილეობას კრძალავს.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

● ᲡᲔᲠᲘᲐ A. XXXVII ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ

ᲒᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲛᲐᲠᲐᲡᲘᲖᲔ, ᲡᲐᲛᲞᲐ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲮᲠᲩᲝ

ᲒᲝᲐᲢᲔᲜᲒᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲛᲝᲔᲛᲐᲢᲐ

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲒᲣᲤᲝᲜᲘ (იუვენტუსი) – **ᲘᲡᲚᲐ** (უდინეზე), **სილვესტრი** (კატანია), **ᲚᲣᲙᲐᲠᲔᲚᲘ** (პარმა), **ᲜᲐᲒᲐᲢᲝᲛᲝ** (ინტერი) – **ᲛᲐᲯᲝ** (ნაპოლი), **ᲚᲔᲯᲔᲡᲛᲐ** (ლაციო), **ᲘᲠᲜᲐᲜᲔᲡᲘᲝ** (ლაციო), **ᲯᲝᲕᲘᲜᲙᲝ** (პარმა) – **ᲯᲔᲯᲔᲓᲐ** (ლეჩე), **ᲠᲝᲒᲘᲜᲘᲝ** (მილანი).

ბოლო დროს, ხშირად ხდება ისე, რომ ტურის სიმბოლურ ნაკრებში მხოლოდ ორი ფორვარდი ხვდება და ასეა ამ შემთხვევაშიც. **რობინიომ** და **ჯედამ** ორორი გოლი გაუტანეს მეტოქეებს და მთლიანობაში ძალიან ნაყოფიერად გაისარჯნენ. „მილანის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა პატარა შოუ დადგა „სან სიროზე", ჯედამ კი სულაც მოაგებინა „ლეჩეს' და ელიტაში შეუნარჩუნა ადგილი. კარში **ჯანლუიჯი ბუფონს** ვხედავთ და ეს მიუხედავად იმისა, რომ მისმა გუნდმა მორიგი მარცხი განიცადა – როგორც ჩანს, ამაში ჯიჯის ყველაზე ნაკლებად მიუძღოდა ბრალი. ბუფონისთვის ეს მხოლოდ მეორე შემთხვევაა სიმბოლურში მოხვედრის, თუმცა ამას აქვს თავისი ახსნა, ნახევარი სეზონი ტრავმების გამო გამოტოვა.

ნახევარდაცვაში ორ ჩამშლელს, ორს კი შემტევი ტიპის ფეხბურთელს ვხედავთ – **სებასტიან ჯოვინკომ** ბრწყინვალე გოლი გაუტანა ხსენებულ ბუფონს და „პარმას„ „იუვენტუსთან„ მოაგებინა, **ერნანესმა** კი „ჯენოას" შეუსრულა დუბლი და „ლაციოს" დამაჯერებელ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. რომაელთაგან **კრისტიან ლედესმაც** გამოირჩა და მოხვდა კიდეც სიმბოლურში - მეოთხე შუახაზელი კი კიდევ ერთი კრისტიანი, ამჯერად ნეაპოლელი **მაჯო** გახლავთ. დაცვაში **ისლა** გამოირჩა „უდინეზედან", რომელმაც „კიევოს" გაუტანა უმნიშვნელოვანესი გოლი და მეხუთეჯერ მოხვდა რჩეულ ფეხბურთელებს შორის, მასთან ერთად კი ეს პატივი შემდეგმა უკანახაზელებმა დაიმსახურეს: **სილვესტრი** „კატანიადან", **ლუკარელი** „პარმადან" და **ნაგატომო** 'ინტერიდან".

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

ტურის გმირად რამდენიმე ფეხბურთელის დასახელება შეგვეძლო – მაგალითად, **ერნანესის**, რომელმაც დუბლი შეუსრულა „ჯენოას" და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთლიანობაში ბრწყინვალედ გაისარჯა. ძალიან კარგად წარმოჩნდა რობინიოც, გარდა გოლებისა, უამრავი დასამახსოვრებელი მომენტი შექმნა და რამდენჯერმე ფინტების კასკადი შემოგვთავაზა. თუმცა, გმირის სტატუსი მაინც **ჯედას** უნდა მივანიჭოთ, რომელმაც ასევე დუბლი შეასრულა „ბარისთან' პაექრობაში და მის გუნდს უმნიშვნელოვანესი ქულები მოუტანა. ამ ქულების ფასზე დიდხანს საუბარი აზრს მოკლებულია – მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გასულ უქმეებზე „ლეჩემ" სერია A-ში ადგილის შენარჩუნება მოახერხა. ნამატჩევს ჯედა ბედნიერი გახლდათ:

„ხშირად, მიჭირს გოლების გახსენება, რადგან მოედანზე ყველაფერი თითქოს ინსტინქტურად ხდება, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც ყველაფერი ძალიან კარგად მახსოვს. ანგარიში თავური დარტყმით გავხსენი, მეორე გოლისას კი რეკოშეტი დამეხმარა. ბედნიერი ვარ, რომ გუნდს მნიშვნელოვან მომენტში დავეხმარე და სერია A-ში ადგილის შენარჩუნება მოვახერხეთ. წარმომიდგენია რა ხდება ქალაქში, ერთი სული მაქვს გულშემატკივრებთან ერთად როდის ვიზეიმებთ ამ წარმატებას".

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ

ტურის მოვლენა უდავოდ „სამპდორიას" სერია B-ში დაქვეითებაა – ტრადიციული, დიდი ისტორიის მქონე გუნდის, რომელმაც სეზონის მეორე ნახევარი კოშმარულად ჩაატარა და მთლიანობაში, სრულიად დამსახურებულად დაკარგა ადგილი ელიტარულ გუნდებს შორის. რაც მოხდა, გენუელებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ – რომელსაც **ანტონიო კასანოს** აგდებ გუნდიდან და თანაც სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, აღალიც კია ასე დაისაჯო. თუნდაც **ჯამპაოლო პაცინი** ავიღოთ, რომელსაც კლუბის მესვეურები ზაფხულშიც შესანიშნავ ფასად გაასხვისებდნენ და სულაც არ იყო იმის აუცილებლობა, რომ შუა სეზონში გუნდს კიდევ ერთი ლიდერი გამოკლებოდა. შედეგად, „სამპას" თავდასხმა ძალიან შესუსტდა და ამ წახდენილ საქმეს ველარც **მასიმო მაკარონემ** უშველა და ველარც **ჯონათან ბიაბიანმა**.

ის, რაც გასულ უქმეებზე „სამპდორია"-„პალერმოს" თამაშის შემდეგ „სტადიო მარასიზე" ხდებოდა, სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია. ტიროდა აბსოლუტურად ყველა, განსაკუთრებით კი ეს **ანჯელო პალომბოზე** ითქმის, კაპიტანზე, რომელიც ჰპირდებოდა გულშემატკივრებს, რომ გუნდს გავარდნისგან დაიხსნიდა. დასრულდა თუ არა შეხვედრა, პალომბო სტადიონის ოთხივე სექტორთან ატირებული მივიდა და ისეთი ფორმით მოუხადა ტიფოზებს ბოდიში, რომ ქომაგებიც ანალოგიურად ააღელვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მთელი ჩემპიონატის ყველაზე შემზარავი სანახაობა.



პალომბომ ბოდიში მოიხადა

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲒᲐᲪᲠᲣᲔᲑᲐ

ტურის იმედგაცრუებად „რომას" სიცილიაში მარცხი უნდა მივიჩნიოთ. XXXVI ტურში უმოტივაციო „კატანიამ' „ბრეშა" გაგზავნა სერია B-ში, გასულ უქმეებზე კი „ჯალოროსი" გააკრა ბეჭებზე და რომაელებს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი საბოლოოდ დაუკარგა. არადა, თამაში დედაქალაქელთა უპირატესობით დაიწყო და ანგარიშიც სრულიად ლოგიკურად, სტუმრებმა გახსნეს. თუმცა, თამაშის ბოლო თხუთმეტ წუთში ორი გოლი გაუშვეს და დედაქალაქში ხელცარიელნი დაბრუნდნენ. **ვინჩენცო მონტელამ** მარცხი ძალიან მძიმედ განიცადა, მატჩის შემდეგ საპრესკონფერენციო დარბაზში არ გამოჩენილა და არც კომენტარი გაუკეთებია.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

„იუვენტუსი" ტყავიდან ძვრება, რომ როგორმე ევროსაგზური მოიპოვოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ბოლო იმედი „ენიო ტარდინიზე" სტუმრობა იყო, მაგრამ პიემონტელთა მოლოდინი არ გამართლდა – „იუვემ" კიდევ ერთხელ წააგო და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ გუნდში ბევრი რამეა შესაცვლელი.

საგულისხმოა, რომ „პარმაში" „იუვენტუსის" საკუთრებაში მყოფი სამი ფეხბურთელი ირჯება: **სებასტიან ჯოვინკო, კარვალიო ამაური** და **ანტონიო კანდრევა** - განსაკუთრებულად კარგად ტურინელებთან პაექრობაში ჯოვინკო წარმოჩნდა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯიჯი ბუფონს ულამაზესი გოლი გაუტანა. მოედნის ცენტრთან ახლოს მიიღო ბურთი, დაიძრა, გზად ორი ფეხბურთელი ჩამოიტოვა და უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში. ეს გოლი ერთადერთი გამოდგა შეხვედრაში, სებამ კი წარმატება ძალიან ემოციურად აღნიშნა – შესაძლოა, ამან ტურინელი გულშემატკივრების გაღიზიანება გამოიწვია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უნდა შევიდნენ ფეხბურთელის მდგომარეობაში, რომელსაც არა და არ მიეცა „ბიანკონერიში" თავის გამოჩენის საშუალება.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲤᲘᲔᲡᲢᲐ

თუ როგორ აღნიშნეს „მილანის" ფეხბურთელებმა, მწვრთნელ-მესვეურებმა და გულშემატკივრებმა ჩემპიონობა, ტურის მიმოხილვაში აღვნერეთ და აღარ გავიმეორებთ. მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომ არა და არც წყდება საუბრები **კევინ პრინც ბოატენგის** საცეკვაო ნომრის შესახებ, რომელიც განელმა „სან სიროს" გაზონზე 85 000 გულშემატკივრის თვალწინ დადგა. ამ ამბავს „ჯენოას" პრეზიდენტი, **ენრიკო პრეციოზიც** კი გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა:

„როგორც იცით, ბოატენგი „ჯენოას" საკუთრებაშია და თუ მილანელებს მისი შენარჩუნება სურთ, გარკვეულ პირობებზე უნდა შევთანხმდეთ. უკვე მქონდა მოფიქრებული ის თანხა, რომელსაც სილვიო ბერლუსკონის დავუსახელებდი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, აზრი შევიცვალე და ფასი სავარაუდოდ გაიზრდება. რატომ? – ხომ ნახეთ როგორ ცეკვავს კევინი? – ეს მართლაც საოცრება იყო და დავრწმუნდი, რომ ჩვენ არა მარტო შესანიშნავი ფეხბურთელი, ბრწყინვალე მოცეკვავეც გვყოლია".

თავად ბოატენგი ემოციებისგან სრულიად დაცლილია და შემდეგს აცხადებს: *„საოცარი სეზონი იყო, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო ჩემს საფეხბურთო კარიერაში. დამსახურებულად მოვიგეთ სკუდეტო და მაგრადაც ვიზეიმეთ. რაც შეეხება საცეკვაო ნომერს, მაიკლ ჯექსონს ბავშვობიდან ვბაძავდი და სამეგობრო წრეში ხშირად ვასრულებდი მის ნომრებს – თუმცა, ვერასდროს წარმოვიდგენდი თუ ცეკვა სავსე სტადიონის თვალწინ მომიწევდა"*

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲤᲠᲐᲯᲐ

ᲯᲝᲠᲯᲝ ᲙᲘᲔᲚᲘᲜᲘ (ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ): *„არ ღირს საკუთარი თავის მოტყუება, ამ სეზონში ჩვენ გუნდი არ გვყოლია"*

ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე „ნაპოლი" მესამეჯერ გავიდა მთელი ისტორიის განმავლობაში;

ვალტერ მაძარის მხოლოდ ერთხელ ჰყავს „ინტერი" დამარცხებული, ისიც იტალიის თასის გათამაშებაში 2009 წელს, როდესაც „სამპდორიას" წვრთნიდა. დანარჩენ შეხვედრებში 7 წააგო და 8 ფრედ დაასრულა;

■ ■ ■

2011 წელს „მილანს" არც ერთი საშინო თამაში არ წაუგია სერი A-ში;

■ ■ ■

„კალიარიმ" ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო, ასეთი უარყოფითი შედეგი გუნდს ბოლოს 2008-2009 წლებში ჰქონდა,

■ ■ ■

„ფიორენტინას" შემტევმა **ალესიო ჩერჩიმ** მიმდინარე სეზონში 6 გოლი გაიტანა, იქიდან 5 კი ბოლო 4 ტურში;

■ ■ ■

„ბარიმ" საკუთარი ანტირეკორდი გაიმეორა: 24 მარცხი სეზონში;

■ ■ ■

„უდინეზემ" საკუთარი რეკორდი გაუმჯობესა, მოიგო რა ჩემპიონატში 20 თამაში;

■ ■ ■

ვინჩენცო მონტელას თავკაცობით „რომამ" პირველი გასვლითი მატჩი წააგო;

■ ■ ■

„პარმამ" პირველად დაამარცხა „იუვენტუსი" საკუთარ მოედანზე 2002 წლის მაისის შემდეგ.

ᲚᲐᲨᲐ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ

● U17 ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ უეფას ოფიციალური საიტისთვის აწ დასრულებული 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები შეადგინეს. ისინი ეცადნენ, რომ ყურადღების მიღმა არც ერთი ნაკრები არ დარჩენოდათ. შესაბამისად, მოთამაშეთა "გეოგრაფია" ფართოა. ჩემპიონატის ოფიციალურ სიმბოლურ ნაკრებს მოგვიანებით თავად უეფას ტექნიკური ჯგუფი დაასახელებს.

მეკარე: **ᲚᲣᲙᲐᲨ ᲖᲘᲛᲐ** (ჩეხეთი) – პრაღის "სლავიის" ფეხბურთელმა გერმანიის ნაკრებთან დაპირისპირებისას ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია, ხოლო ჰოლანდიასთან რამდენიმე სუპერმომენტი გააუვნებლა, რამაც ჩეხებს მომავალ ჩემპიონებთან ქულა მოუტანა.

მცველები: **მიტჩელ ვაიზერი** (გერმანია) – "კიოლნის" უსნრაფესმა განაპირა მცველმა ორივე ფლანგზე წარმოაჩინა თავი. მას გამოარჩევს ბურთთან იდეალური მუშაობა და როცა ტემპს აკრეფს, ჯარიმის გარეშე გაჩერება პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

ტერენს კონგოლო/კარიმ რეკიკი (ჰოლანდია) – "ფეიენოორდის" ცენტრალურმა მცველებმა დიდებულად იმუშავეს. დიდწილად სწორედ მათი ოსტატობის წყალობაა, რომ "ნარინჯისფრებმა" პირველი ბურთი მხოლოდ ფინალში გაუშვეს.

ნახევარმცველები: **კაილ ებესილიო** (ჰოლანდია) - ლონდონის "არსენალის" განაპირა ნახევარმცველმა თავი ბრწყინვალე თამაშით დაგვამახსოვრა. მის ანგარიშზე 3 გოლია. ჰოლანდიელთა შემტევ ფეხბურთელებში პრაქტიკულად ყველას ცალკე აღნიშვნაც კი შეიძლება. **მემფის დემპაიმ** ფინალში არნახული ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით გაიტანა, გამთამაშებელმა **ტონი დე ვილიენამ** ასევე სამჯერ გამოიჩინა თავი, ხოლო ერთადერთმა გამოკვეთილმა თავდამსხმელმა **ანას ახაჰბარმა** ჩემპიონატზე სულაც ყველაზე მეტი საგოლე პასი მიითვალა.

პატრიკ ოლსენი (დანია) – "ბრონდბიუს" უნიჭიერესი ნახევარმცველი დანიის ნაკრების გამოკვეთილი ლიდერი იყო. რიგ მომენტებში კი მას გვერდით ედგნენ არანაკლებ ნიჭიერი აიაქსელი **ვიქტორ ფიშერი** და "ლუნგბიუს" წევრი **კრისტიან ნერგორი.**

აბდალა იეზიენი (საფრანგეთი) - დაცვითი ტიპის ფეხბურთელმა თავი ჯერ კიდევ შესარჩევ ეტაპზე გამოიჩინა, როცა ერთბაშად 8 გოლი გაიტანა. ის ჩემპიონატზეც ბევრს მუშაობდა, მუდამ გახსნილი იყო და ბურთს ითხოვდა.

ჯონ ლუნდსტრამი (ინგლისი) – "ევერტონის" აკადემიის წევრი თამაშის მანერით თანაქალაქელ **სტივენ ჯერარდს** ჰგავს. ის მხოლოდ ართმევაზე კი არ თამაშობდა ძლიერად, არამედ შეტევასაც იწყებდა და დიდებული პასებით ამარაგებდა ინგლისის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირს, ასევე ევერტონელ **ჰალამ ჰოუპს**.

ნიკოლა ნინკოვიჩი (სერბეთი) - ტურნირმა მასპინძელთა ნაკრებისთვის საკმაოდ რთულად ჩაიარა, მაგრამ გუნდის მონდომება მაინც აღსანიშნავია. სერბებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ინგლისთან მეორე ტაიმში, ნინკოვიჩმა კი ინდივიდუალური ოსტატობა გვიჩვენა.

თავდამსხმელები: **ფაბიან ჰიმჩინსკი** (რუმინეთი) – რუმინელმა საკვალიფიკაციოზეც კარგად ითამაშა, ფინალური ტურნირის პირველივე შეხვედრაში კი საოცარი სოლორეიდის შემდეგ გაუტანა ჩეხებს. რუმინეთის ნაკრებიდან მას პრაქტიკულად არავინ ეხმარებოდა, თუმცა ხიფათის შექმნას ის მაინც ცდილობდა.

სამედ იეზილი (გერმანია) – გერმანელმა შესარჩევის ჯგუფური ეტაპის ერთი შეხვედრა და ნახევარფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ერთის გარდა კი ყველა შეხვედრაში მოახერხა თავის გამოჩენა. სამედი ფინალური ეტაპის თანაბომბარდირი გახდა, თუმცა ყველაზე მეტი - 11 გოლი შეაგდო საკვალიფიკაციო ეტაპის ჩათვლით. სპეციალისტები მის ძლიერ მხარედ ასახელებენ ბურთის ბრწყინვალე ფლობას, მეტოქის მოტყუების ნიჭსა და დამაგვირგვინებელ დარტყმას. სულ სამედის ანგარიშზე 17-წლამდელთა ნაკრებში 14 შეხვედრაში გატანილი 13 გოლია.

ჰოლანდიის 17-წლამდელთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ორი წლის წინ გერმანიასთან ფინალურ შეხვედრაში ნაგების შემდეგ სათანადო დასკვნები გააკეთა. „ნარინჯისფერთა" თავკაცმა **ალბერტ სტუივენბერგმა** ფინალის შემდეგ თქვა: *"ჩვენ სოლიდური ფეხბურთი ვითამაშეთ. იმისთვის, რომ თამაში დაგველაგებინა, მთელი ტაიმი დაგვჭირდა. რწმენა ერთი წამით არ დაგვიკარგავს და რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო, გავიტანეთ მაშინ, როცა ჯერ 0:1 ვაგებდით, შემდეგ 1:2-ს. მეორე ნახევარში უკვე გამოგვივიდა ის, რაც პირველში არ გამოგვდიოდა: თავს კარგად ვიცავდით და იოლად გადავდიოდით დაცვიდან შეტევაში. შესვენების შემდეგ მეტოქეს ვაჯობეთ და მას არ მივეცით უფლება, ჩვენს კართან სერიოზული ხიფათი შეექმნა. ჩვენ ეს გამარჯვება და დღესასწაული დავიმსახურეთ. გამარჯვებასთან ორი წლის წინაც ახლოს ვიყავით, მაგრამ არ გაგვიმართლა. ახლა კი მეტოქეს ანგარიში გავუსწორეთ.*

შეგვიძლია შედეგით კმაყოფილი ვიყოთ, ხოლო ჩვენი გარჯით - მხოლოდ მეორე ტაიმში. ბიჭებმა ჯერ კიდევ საკვალიფიკაციოდან მოყოლებული აითვისეს, როგორ უნდა მოეგოთ თამაშები. მათ გაიაზრეს, რომ მაშინაც კი, როცა ანგარიშში წინ ხარ, თამაში უნდა აკონტროლო და მეტოქეს არაფრის უფლება არ უნდა მისცე. ბიჭებმა დიდებული სამუშაო გასწიეს და ეს აუცილებლად აღსანიშნავია".

გერმანიის ნაკრების თავკაცი **შტეფან ფროინდი**: *"იმედგაცრუებულები ვართ. თუმცა გვესმის, რომ მოგება და წაგება ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. ჯგუფში ჰოლანდიასთან სასტარტო მატჩის წაგების შემდეგ ფინალში გავედით. მართალია წავაგეთ, მაგრამ ფეხბურთელებმა დიდი გამოცდილება მიიღეს და მათ ეს მომავალში გამოადგებათ. ვულოცავ ჰოლანდიელებს ჩემპიონობას, მათ ეს დაიმსახურეს. მადლობელი ვარ ჩემი ფეხბურთელების, რადგან დაუღალავად ვარჯიშობდნენ და შეძლეს პირველი წაგების შემდეგ გონს მოსვლა".*

● ᲠᲔᲐᲚᲘ

ᲡᲔᲠᲮᲘᲝ ᲠᲐᲛᲝᲡᲘ

„ᲓᲘᲐᲠᲘᲝ ᲐᲡ" იტყობინება, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა მცველმა **სერხიო რამოსმა** მიაღწია კლუბთან შეთანხმებას და „რეალთან" 2017 წლის ზაფხულამდე გაახანგრძლივა ურთიერთობა. მიმდინარე კონტრაქტი რამოსს 2016 წელს ეწურება, თუმცა მან კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივა „ბლანკოსის" წევრობა, თანაც ახალ კონტრაქტში უკეთესი ფინანსური პირობებია. 25 წლის რამოსი მადრიდულ კლუბში 2005 წელს გადავიდა „სევილიადან" და მას მერე 200-ზე მეტი მატჩი ითამაშა „რეალის" მაისურით.

„რეალის" ოფიციალურ საიტს ეს ინფორმაცია ჯერ არ დაუდასტურებია, თუმცა ამას უახლოეს დღეებში გააკეთებს. სერხიო რამოსის შემდეგ რიგში **პეპეა**, პორტუგალიელი 2015 წლამდე გააგრძელებს კონტრაქტს.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ინტერვიუ. ლუკა ტონი

ბაიერნის პრობლემა ლუის ვან გაალი იყო!

ამბობენ, ლუისი ტურინში მოდისო? დმერთო, დაგვიფარე!

ლუკა ტონის ცუდი სეზონი ჰქონდა, ისევე, როგორც იუვენტუსს

26 მაისს ლუკა ტონი 34 წლის გახდება, მაგრამ კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს. თუ ფორმის შენარჩუნებას ახერხებ, თამაში 40 წლამდეც შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ტონი უკვე აღარ არის ისეთი შედეგიანი, როგორიც წლების წინ იყო. მართალია, სეზონი არა მარტო მან, არამედ მთელმა „იუვენტუსმა" ჩააგდო, მაგრამ ისეთი თავდამსხმელისგან, როგორიც ტონია, ქომაგი ყოველთვის გაცილებით მეტს ითხოვს. ლუკა კი უკვე წვალობს და იტანჯება. გერმანულმა „ბილდმა" ტონის საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ გამოაქვეყნა.

- ჰერ ტონი, ერთი წელია, რაც „ბაიერნი" დატოვეთ და ისევ იტალიაში დაბრუნდით. რამდენად შეგცვალათ ბუნდესლიგაში გატარებულმა წლებმა და რა წაიღეთ სამშობლოში გერმანიიდან?

- ფაქტობრივად არ შევცვლილვარ, ერთადერთი რამ, რაც გერმანიიდან გამყვა, პუნქტუალურობაა. იტალიელები ძალიან არაპუნქტუალური ხალხი ვართ, მე კი აქ უკვე ვეღარ მცნობენ, რადგან ყველაფერს თავის დროზე ვაკეთებ.

- „ბაიერნის" ფეხბურთელებთან ურთიერთობა შეინარჩუნეთ?

- რა თქმა უნდა, მე ხომ მიუნხენში ძალიან ბევრი მეგობარი დავტოვე. თითქმის ყოველდღე ვეკონტაქტები ფრანკ რიბერის და მიროსლავ კლოზეს. ისინი მიუნხენში ჩემი ყველაზე ახლო მეგობრები არიან.

- თუ საიდუმლო არ არის, რა საერთო გამონახეთ ფრანგ რიბერისთან და გერმანელ კლოზესთან?

- განსაკუთრებული არაფერი, უბრალოდ „ბაიერნში" მისვლის პირველი დღიდან ყველაზე მეტად მათ დავუმეგობრდი. ახლა კი უმეტესად მიუნხენურ ამბებზე ვსაუბრობთ ხოლმე - რა ხდება ქალაქში და ა.შ. რაც უნდა გასაკვირი იყოს, „ბაიერნთან" დღემდე ბევრი რამ მაკავშირებს, რეკორდმაისტერის თამაშებს ყოველთვის ვუყურებ და ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს ვქომაგობ ხოლმე.

- „ბაიერნმა" ეს სეზონი აშკარად ჩააგდო. თქვენი წასვლის შემდეგ გუნდის საქმეები უკან-უკან წავიდა, როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა მიუნხენური კლუბის კრიზისი?

- თითქმის ყველა თამაში მაქვს ნანახი და პირდაპირ გეტყვით, „ბაიერნს" ამ სეზონში ვეღარ ვცნობდი. თითქმის ყველა ფეხბურთელი ცუდად თამაშობდა და თანაც რეკორდმაისტერს არც უმართლებდა. თითქოს მოთამაშეებს მოტივაცია აღარ ჰქონდათ, ფეხბურთის თამაშის სურვილი გაუქრათ. სიმართლე გითხრათ, ეს არც მიკვირს, რადგან ლუის ვან გაალი ჩემს თავზე გამოვცადე. არც ის გამკვირვებია, რომ ჰოლანდიელმა სეზონი ვერ ჩაამთავრა. სანამ „ბაიერნიდან" წავიდოდი, ჯერ კიდევ მაშინ ვამბობდი, ლუისი თანამდებობას დიდხანს ვერ შეინარჩუნებს-მეთქი. ხომ ნახეთ, როგორც კი ვან გაალი გაათავისუფლეს, გუნდი მაშინვე ისე ათამაშდა, როგორც საჭირო იყო. მოკლედ, ლუისს „ბაიერნში" ზუსტად ის დაემართა, რაც ფელიქს მაგათს „შალკეში".

- ...მაგრამ მაგათმა „შალკე" „ბაიერნისგან" განსხვავებით ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა, მერე კი, გელზერკირხენელებმა ნახევარფინალშიც გააღწიეს, დაამარცხეს რა შარშანდელი გამარჯვებული მილანის „ინტერი"...

- მართალია. ამიტომაც ვამბობ, რომ „ბაიერნმა" კატასტროფული სეზონი ჩაატარა. თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „შალკემ" „ინტერთან" არსებობის ისტორიაში საუკეთესო თამაში აჩვენა. ასეთი რამ კი, მინიმუმ 10 წელიწადში ერთხელ ხდება.

- გერმანიამ უეფას ბოლო ხუთი წლის რეიტინგში იტალიას გაასწრო, რაც იმას ნიშნავს, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგაში ბუნდესლიგიდან ოთხი გუნდი გავა, იტალიიდან კი – 3. როგორ ფიქრობთ, ეს ლოგიკურია?

- ფაქტია, რომ ბუნდესლიგამ უდიდესი პროგრესი განიცადა. თანაც, გერმანიის ჩემპიონატი მუდმივად სერიოზულ სენსაციებს გვთავაზობს – მაგალითად, სეზონის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ წელს ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია" გახდებოდა. ამ გუნდის წინაშე ქედს ვიხრი – დორტმუნდელებმა მთელი სეზონის განმავლობაში გრანდიოზული ფეხბურთი აჩვენეს. სწორედ ეს არის მთავარი განსხვავება ბუნდესლიგასა და სერია A-ს შორის. იტალიაში ჩემპიონები მუდმივად ერთი და იგივე გუნდები ხდებიან, გერმანია კი მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ სიურპრიზებს გვთავაზობს ხოლმე.

- რა არის იტალიის მთავარი პრობლემა?

- ინფრასტრუქტურა. ჩვენ არ გვაქვს ისეთი სტადიონები, როგორიც თქვენ. გარდა ამისა, გერმანიაში გულშემატკივრობის კულტურა უმაღლეს საფეხურზეა. რაც უნდა წარუმატებელი იყოს გერმანული გუნდი, ქომაგი მას არასდროს ღალატობს. იტალიაში კი სტადიონზე ფანების რაოდენობა წარუმატებლობის პირდაპირპროპორციულად მცირდება ხოლმე.

- რაკი ლუის ვან გაალი წავიდა, ფიქრობთ, რომ „ბაიერნს" ეშველება?

- ამას მარტო ვან გაალის წასვლის გამო არ ვფიქრობ. როცა რეკორდმაისტერი სეზონს ჩააგდებს ხოლმე, ფეხბურთელები ისევ დამშეულები ხდებიან. იუპ ჰაინკესი კი მართლაც ძალიან კარგი სპეციალისტია, ყოველთვის კარგადაა მომზადებული და ტაქტიკას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. 2012 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მიუნხენში გაიმართება და ვიცი, რომ მთელი ბავარია ფინალში გასვლაზე ოცნებობს.

- აი, „იუვენტუსი" კი ჩემპიონთა ლიგაში მომდევნო სეზონშიც ვერ ითამაშებს. რა დაემართა ტურინულ გრანდს?

- წარუმატებლობის მთავარი მიზეზის დასადგენად სპეციალური ჯგუფი მუშაობს და მე რა უნდა ვთქვა? არ ვიცი, როგორ მოვახერხეთ ეს. პირადად მე „პარმასთან" თამაშამდე მჯეროდა, რომ ასეთი რამ არ დაგვემართებოდა.

- ექსპერტები თქვენს თამაშს ძალიან ცუდად აფასებენ. მალე 34 წლის ხდებით, გოლები ვეღარ გაგაქვთ და შემთხვევით კარიერის დასრულებაზე ხომ არ ფიქრობთ?

- არა, კიდევ 10 წელი უნდა ვითამაშო (იცინის)! ხუმრობა იქით იყოს და, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას ჯერ მართლა არ ვაპირებ. სანამ ორგანიზმი მომყვება და ადრენალინს ვგრძნობ, ფეხბურთის თამაშს არ შევწყვეტ. „იუვენტუსთან" კონტრაქტი 2012 წლამდე მაკავშირებს და აქედან წასვლა არ მინდა.

- ამბობენ, „იუვეს" ხელმძღვანელებს მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვან გაალის დანიშვნა უნდათო. ასე რომ მოხდეს, ალბათ მაშინვე გაიქცევით...

- არა მგონია, ვან გაალმა იტალიაში მუშაობა მოისურვოს, აქ ის დიდხანს ნაღდად ვერ გაძლებს. თანაც, ეს უფრო ჭორი მგონია და „იუვეს" ლუიჯი დელნერის სახით კარგი მწვრთნელი ჰყავს.

- ანუ, დარწმუნებული ხართ რომ მომავალ სეზონშიც ტურინში ითამაშებთ?

- დარწმუნებული არაფერში არ ვარ. ის კი ვიცი, რომ თუ აქედან წავალ, სხვა იტალიურ კლუბში აღარ გადავალ.

- ბუნდესლიგაში დაბრუნდებით?

- არც ეს არის გამორიცხული. გერმანიასთან ბევრი რამ მაკავშირებს და ბუნდესლიგაშიც სიამოვნებით ვითამაშებდი.

- მიუნხენში როდის გიხილავთ?

- ზუსტად ვიცი, რომ „ოქტობერფესტზე" აუცილებლად ჩამოვალ და ჩემს მეგობრებს მოვინახულებ.

- და თქვენს მეგობარ გოგონას, მარტას უკვე სინიორა ტონის რანგში ჩამოიყვანთ?

- ჰო, ჰო, ჩვენ ჯერ კიდევ არ დავქორწინებულვართ. არადა, „ბაიერნში" რომ გადმოვედი, მაშინ ვამბობდი, ცოლის მოყვანას ვაპირებ-მეთქი. შეიძლება, ოქტომბრამდე კიდეც მოვასწროთ.

ვერდერი

ტორსტენ ფრინგსი მწვრთნელ თომას შააფს და მთელ ბრემენს ახლა უკვე საბოლოოდ დაემშვიდობა

მორჩა, ბორსბენი მიდის!

ფრინგსი კარიერას ამერიკაში ან არაბეთში გააგრძელებს

საბოლოოდ გადაწყდა და გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ **ტორსტენ ფრინგსი** ბრემენის „ვერდერს" დატოვებს. ეს ინფორმაცია გუშინ „მუსიკოსების" მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** და სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** დაადასტურეს. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი, კატასტროფული სეზონის შემდეგ, „ვერდერში" სერიოზულ საკადრო ცვლილებებს წინასწარმეტყველებენ.

„ფრინგსის წასვლის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ტორსტენი ამ სეზონით ძალიან იმედგაცრუებულია, რაც ჩემთვის გასაგები და მისაღებია. ზოგადად, მასთან ახალი კონტრაქტის არგაფორმებას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდის სპორტული და ფინანსური მდგომარეობაა," - განაცხადა ალოფსმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. მან ისიც აღნიშნა, რომ მთავარი მიზეზი ფული არ ყოფილა – მიუხედავად იმისა, რომ ტორსტენი „ვერდერში" ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახლდათ (მისი წლიური ხელფასი 4 მილიონ ევროს შეადგენდა).

მოკლედ, ბრემენულ კლუბს მთავარი ლიდერი და გუნდის კაპიტანი ტოვებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფრინგსი ახლა სამ ვარიანტს განიხილავს: ის ან კარიერას დაასრულებს, ან ამერიკაში წავა, ანაც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ გერმანელ ფეხბურთელზე (ტორსტენი 34 წლისაა) აშშ-ის ჩემპიონატსა და საამიროებში უდიდესი მოთხოვნაა. ეს ნამდვილად არ არის გასაკვირი, რადგან ტორსტენი გერმანიის ნაკრების ღირსებას წლების მანძილზე იცავდა და ბუნდესგუნდის მაისურით 79 მატჩი აქვს ჩატარებული. ბუნდესლიგაში კი მას 402 შეხვედრა აქვს გამართული (აქედან 326 „ვერდერის" რიგებში).

კულუარული ინფორმაციით, ფრინგსისთვის ახალი კონტრაქტის არშეთავაზება იმით გახლავთ გამოწვეული, რომ „ვერდერის" შეფებმა ფულის დაზოგვა გადაწყვიტეს. რაკი ბრემენულმა კლუბმა ამ სეზონში მე-13 ადგილი დაიკავა და ევროტურნირებზე ვერ ითამაშებს, ალოფსი იძულებული გახდა, სახელფასო ფონდის შემცირებაზე იზრუნოს, ფრინგსი კი გუნდში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იყო. თუ ტორსტენი კარიერის დამთავრებას გადაწყვეტს, ალოფსი მას კლუბში ბავშვთა გუნდების კოორდინატორის თანამდებობას შესთავაზებს და სურვილის შემთხვევაში, სამწვრთნელო კურსებზეც მიავლენს.

შეგახსენებთ, რომ ფრინგსი „ვერდერის" ღირსებას ორჯერ იცავდა: პირველად 1997-დან 2002 წლამდე, მეორედ კი 2005-დან დღემდე. ბრემენში დაბრუნებამდე ის დორტმუნდის „ბორუსიასა" და მიუნხენის „ბაიერნში" ასპარეზობდა. ფეხბურთის თამაში კი, ტორსტენმა პროფესიონალურ დონეზე აახენის „ალემანიაში" დაიწყო და „ვერდერში" პირველად 1997 წელს მოხვდა. ბრემენული კლუბის ისტორიაში, ფრინგსზე მეტი თამაში მხოლოდ 8 ფეხბურთელს აქვს ჩატარებული. მას მერე, რაც **ფრანკ ბაუმანმა** კარიერა დაამთავრა, ტორსტენი გუნდის კაპიტანი გახლდათ.

ბაიერნი

დონ იუპიმ მიუნხენში გეგმა ჩაიგანა

თუ ბოატენგი არ გამოვა, რეკორდმაისტერი რაფინიას იყიდის

იუპ ჰაინკესმა „ბაიერნში" მუშაობა ოფიციალურად 1 ივლისს უნდა დაიწყოს, მაგრამ გუშინწინ მიუნხენში ჩავიდა და რეკორდმაისტერის პრეზიდენტ **ული ჰაინესს** შეხვდა. ჟურნალისტებმა დაინახეს, როგორ შეიტანა „დონ იუპმა" „ბაიერნის" ოფისში დიდი ჩანთა და ვარაუდობენ, ეს მისი კონცეფცია იყოო, რომელიც მან პრეზიდენტსა და სხვა ხელმძღვანელებს გააცნო.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „ბაიერნი" „შალკედან" 25 წლის მეკარე **მანუელ ნოიერს** იყიდის, „კოტბუსიდან" კი 22 წლის თავდამსხმელ **ნილს პეტერსენს**. თუმცა ამ ფეხბურთელებთან კონტრაქტები ჯერ არ გაფორმებულა. მიუნხენელები „მანჩესტერ სიტისთანაც" აგრძელებენ მოლაპარაკებებს – მან 22 წლის მცველის, **ჟერომ ბოატენგის** გადაბირება სურთ. „ბილდის" ინფორმაციით, „ბაიერნი" ბრაზილიელი მარჯვენა მცველის, 25 წლის **რაფინიას** ტრანსფერსაც მიუბრუნდა, რომელიც ადრე „შალკეს" ღირსებას იცავდა, ახლა კი იტალიაშია და „ჯეონაში" ასპარეზობს, სადაც უკმაყოფილოა. „ბაიერნს" კი მისი ყიდვა ჯერ კიდევ ორი წლის წინაც სურდა. იყო საუბრები „არსენალის" მცველ **ბაქარი სანიაზეც**, მაგრამ „ბაიერნის" შეფებს 28 წლის ფრანგი ეძვირათ.

ვოლფსბურგი



დიეგოს „ვოლფსბურგის" ფორმით სავარაუდოდ ველარასოდეს ვიხილავთ

მაგათმა დიეგო მოისროლა

დააბრუნებს ფელიქსი მგლებში მიშიმოვიჩს?

როცა ფელიქს მაგათი „ვოლფსბურგში" მთავარი მწვრთნელისა და მენეჯერის პოსტზე დაბრუნდა, ეს კი სულ რამდენიმე კვირის წინ მოხდა, გერმანელმა ექსპერტებმა მაშინვე ივარაუდეს, რომ „მგლების" ბრაზილიელ გამთამაშებელ **დიეგოს** ამ გუნდში მომავალი არ ექნებოდა. ეს იმიტომ, რომ 26 წლის ბრაზილიელი საკმაოდ ზარმაცი და ეგოისტი ფეხბურთელია. მაგათს კი, ხომ იცით, ასეთი ტიპები გულზე არ ეხატება. დიდხანს ითმინა, თუ ცოტა ხანს, დიეგომ ბოლო ტურში ისეთი სკანდალი მოაწყო, რომ ფაქტია, მას „ვოლფსბურგის" ფორმაში ველარასოდეს ვიხილავთ – ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, სანამ გუნდს მაგათი წვრთნის.

ბოლო ტურის მატჩის წინ, მაგათმა ფეხბურთელები ტრადიციულად შეკრიბა და ტაქტიკა-სტრატეგიაზე ესაუბრებოდა, მერე კი ძირითადი შემადგენლობაც ჩამოთვალა, რომელშიც დიეგო არ იყო მოხსენიებული. ამ ამბავმა კი ბრაზილიელი ისე გააბრაზა, რომ მან მაშინვე დატოვა დარბაზი და მერე თამაშზე საერთოდ არ მისულა. მატჩი შაბათს შედგა, „ვოლფსბურგმა" გაიმარჯვა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას გადაურჩა, დიეგო კი გუნდში მხოლოდ კვირასღა გამოჩნდა.

„ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბრაზილიელმა თქვა, აქაურობა გულზე აღარ მეხატება, მაგრამ კონტრაქტი მაქვს გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა დავსხდეთ და რამე მოვიფიქროთო. მაგათის პოზიცია ასეთია: *„ფეხბურთელმა გუნდის მთავარი სხდომა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დატოვა და სიმართლე გითხრათ, მე მისთვის ახსნა-განმარტება არც მერე მითხოვია, რადგან ყველაფერი გასაგები იყო. რაც მთავარია, დიეგოს გარეშეც მოვიგეთ. კვირას კი, როგორც ჩანს, გაახსენდა, რომ „ვოლფსბურგი" არის გუნდი, რომელიც მას ხელფასს უხდის და რომელთანაც ხელშეკრულება აკავშირებს და ვარჯიშზე მობრძანდა. ცხადია, რომ მას აუცილებლად დავსჯი. საუბარია ფულად ჯარიმაზე, სხვა დანარჩენზე კი ჯერ კიდევ ვფიქრობ."*

დიეგოს საქციელით გაოგნებულები იყვნენ მისი თანაგუნდელებიც. **არნე ფრიდრიხი** ამბობს: *„დიეგო ასე არ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ მე მაინც არ მაქვს მის საქმეში ჩარევის უფლება. შაბათს საღამომდე არ ჩანდა, მოგვიანებით კი მომწერა და მომიბოდიშა."* კვირას ბრაზილიელმა ჩვეულებრივად ივარჯიშა, მაგრამ თანაგუნდელებს არ ელაპარაკებოდა, რის შემდეგაც დაგეგმილ შვებულებაში გავიდა.

შეგახსენებთ, რომ დიეგო „ვოლფსბურგში" ზუსტად ერთი წლის წინ, ტურინის „იუვენტუსიდან" გადავიდა და „მგლებმა" „ბებერ ქალბატონს" 15.5 მილიონი ევრო გადაუხადეს. მიუხედავად იმისა, რომ დიეგოს „ვოლფეფბთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, ფაქტობრივად გამორიცხულია, რომ მაგათმა ის გუნდში დატოვოს.

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ დიეგოს ბრაზილიაში დაბრუნება სურს და რამდენიმე წინადადებაც აქვს. ვოლფსბურგში კი ბოსნიელი ფლეიმეიკერის, 28 წლის **ზვიეზდან მიშიმოვიჩის** დაბრუნებას ვარაუდობენ, რომელიც ახლა მოსკოვის „დინამოს" ღირსებას იცავს. ეს უკანასკნელი 2009 წელს „ვოლფსბურგის" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახლდათ და „მგლები" გერმანიის ჩემპიონები რომ გახდნენ, ამაში მიშიმოვიჩს ლომის წვლილი მიუძღოდა. ახლა კი მაგათს უნდა, რომ ზვიეზდანი „ვოლფსბურგში" დააბრუნოს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVII ტურის მიმოხილვა

ერთადერთი, ვინც შეძლო და შეინარჩუნა

პეპე: არ მინდა გოლი!

ტიტულით „ბარსელონას“ ახალგაზრდებიც ტკბებიან

წინა ტურში მოიპოვა და ახლა იზეიმა - „ბარსელონაზეა“ ლაპარაკი. „ბარსა“ ერთადერთი გუნდია ევროპის მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებში, რომელმაც მოახერხა შარშანდელი ტიტულის შენარჩუნება: ინგლისში „ჩელსი“ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩაანაცვლა, იტალიაში „ინტერი“ - „მილანმა“, ტიტულის მფლობელები შეიცვალა გერმანიაში, ჰოლანდიასა და პორტუგალიაშიც. დიდი შანსია, რომ ასე მოხდეს საფრანგეთშიც.

პრემერადივიზიონის ტურმა პირველი ოთხი გუნდი დაალაგა: „ბარსელონა“, „რეალი“ და „ვილიარეალი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ, ხოლო მე-4 ადგილზე გასული „ვილიარეალი“ ჩემპიონთა ლიგაში პლეი ოფიდან ჩაებმება. ევროპის ლიგაზე გამსვლელი სამეულიც გაირკვა: „სევილია“, „ატლეტიკო“ და „ბილბაო“. მათ 55-55 ქულა აქვთ, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გუნდმა მე-7 ადგილი აიცილოს. მე-5 და მე-6 ადგილზე გასულები ევროპის ლიგის პლეი ოფში ითამაშებენ, ხოლო მეშვიდე ადგილოსან კლუბს შვებულებიდან, სულ მცირე ერთი კვირით ადრე მოუწევს გამოსვლა, რადგან საკვალიფიკაციო რაუნდიდან მოუწევს ჩაბმა.

ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM. 4-3-3

მეკარე

მარიო (რასინგი, 1): 23 წლის გოლკიპერს დებიუტი ჰქონდა ლა ლიგაში, მისმა გუნდმა 1:2 წააგო და მაინც. რომ არა მარიოს ბრწყინვალე თამაში, ანგარიშში სხვაობა კანტაბრიელთათვის კატასტროფული იქნებოდა.

მცველები

მარტინ კასერესი (სევილია, 4): ჯერ მარტო საფეხბურთო გმირობისთვის ეკუთვნის ურუგვაელს ადგილი სიმბოლურში. მოგეხსენებათ, ორი ტურის წინ ანდალუსიურ დერბიში, კასერესს შეჯახების შედეგად თირკმელმა უღალატა და ის კინაღამ მოედანზე მოკვდა. გვეგონა, მას ვეღარასოდეს ვიხილავდით „სევილიას“ მაისურით (რადგან „ბარსას“ საკუთრებაა და „სანჩეს პისხუანზე“ იჯარით თამაშობს), მაგრამ „რეალ სოსიედადთან“ გამოჩნდა და მოედანზე საუკეთესოთა შორის იყო.

პეპე (რეალი, 6): პეპემ დაამტკიცა, რომ „რეალის“ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. არა აქვს მნიშვნელობა, სად გაამწესებს მას **მოურინიო** - დაცვაში თუ ნახევარდაცვაში. „ვილიარეალთან“ შეხვედრაში მან იტალიელ **ჯუზეპე როსის** გასაქანი არ მისცა.

ალვარო დომინგესი (ატლეტიკო, 2): ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრს არ ჰქონია საუკეთესო სეზონი, თუმცა „ერკულესთან“ ახლო მანძილიდან გაიტანა. „ვისენტე კალდერონზე“ დომინგესი იმ ფეხბურთელთაგანია, რომელთა იმედიც აქვთ მომავალში.

ალბერტო ლოპო (დეპორტივო, 2): „დეპორტივოს“ ჰაერივით სჭირდებოდა ის ქულა, რომელიც გალისიურმა კლუბმა „კამპ ნოუდან“ წაიღო. ლოპომ კი მასპინძელთა ახალგაზრდულ თავდასხმის ხაზს თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა.

ნახევარმცველები

ანხელ ლაფიტა (სარაგოსა, 2): ის, რომ „სარაგოსა“ არ ნებდება, დიდწილად ამ არაგონელი ფეხბურთელის დამსახურებაა. ორი კვირს წინ მან „რეალს“ დუბლი შეუსრულა, ახლა კი „ესპანიოლთან“ გამარჯვებაში დაიდო ლომის წილი.

ტიაგო ალკანტარა (ბარსელონა, 2): მიუხედავად იმისა, რომ „ბარსამ“ ვერ მოიგო, გუნდი მეორე შემადგენლობითაც საინტერესო ფეხბურთს თამაშობდა, რაც ტიაგოს დამსახურებაა. უეჭველია, რომ მას მომავალ სეზონში გაცილებით დიდი როლი დაეკისრება კატალონიურ გრანდში.

პედრო რიოსი (ხეტაფე, 3): რიოსის ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა „ხეტაფეს“ გადარჩენის შანსი მისცა.

თავდამსხმელები

პაბლო პიატი (ალმერია, 3): აფსუსია, თუკი ამ ბრწყინვალე არგენტინელ ფეხბურთელს მომავალ სეზონში პრემერადივიზიონში ვეღარ ვნახავთ. მისმა ბრწყინვალე თამაშმა „ალმერიას“ გულდაწყვეტილი გულშემატკივრები დროებით მაინც გაახარა.

ფრედერიკ კანუტე (სევილია, 3): ვეტერანი ფორვარდი ხშირად რომ არ იმტვრეოდეს, „სევილიას“ მისგან გაცილებით მეტი ხეირი ექნებოდა.

კრიშტიანო რონალდო (რეალი, 12): ბოლო სამ მატჩში 9 გოლი გაიტანა და ფაქტობრივად გაინაღდა „პიჩიჩი“ და „ოქროს ბუცი“. „ელ მადრიგალზე“ ორი ბრწყინვალე გოლი მიითვალა, ორივე საჯარიმო დარტყმით.

ლეო VS რონალდო დუბლი 37...

... არ შედგა. რატომ? ჰკითხეთ **პეპ გვარდიოლას!** ამასობაში რონალდომ დუბლი მიითვალა და მესის უკვე 7 გოლით უსწრებს ჩემპიონატში. ბომბარდირის საკითხი პრაქტიკულად გარკვეულია.

ტურის ფრაზები

„შემდეგ სეზონშიც „რეალში“ ვიქნები“, - განაცხადა **ხორხე ვალდანომ**, რათა თამაშის წინ აგორებული ჭორებისთვის ბოლო მოელო, თითქოს ის „სამეფო კლუბიდან“ მიდის.

„შეტევაში, ბოლო დროს, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი დაგვაკლდა“, - „ვილიარეალის“ თავკაცი **ხუან კარლოს გარიდო** „რეალთან“ მისი გუნდის მარცხის შემდეგ.

„ბოლო-ბოლო „ბარსასთან“ არ წავაგეთ და პრესტიჟი არავის შევალახინეთ“, - „დეპორის“ ვეტერანი **ვალერონი.**

„ჩვენ დავიმსახურეთ, რომ ბოლო ტურამდე ვიწვალოთ“, - **მიქაელ ლაუდრუპი**, „მალიორკას“ მთავარი მწვრთნელი.

„გამარჯვებას პუბლიკას ვუმადლი, რომელთაც უბრალოდ აიძულეს ჩემი ფეხბურთელები, ფანტასტიკურად ეთამაშათ“, - „ხეტაფეს“ მწვრთნელი **მიჩელი** „ოსასუნასთან“ 2:0 მოგების შემდეგ.

„ლევანტესთან“ მატჩში საკუთარ სიცოცხლეს გავწირავთ“, - „სარაგოსას“ თავკაცი **ხავიერ აგირე.**

„შესაძლოა, მსურს დავრჩე „ვალენსიაში“, შესაძლოა, არც მსურს“, - **უნაი ემერის** ორჭოფული ფრაზა ვალენსიური დერბის შემდეგ.

„ტრიბუნაზე რომ ვყოფილყავი, მეც დავუსტვენდი ჩემს გუნდს“, - თავისი გუნდით უკმაყოფილო **ხოაკინ კაპაროსი.**

„დღეს გუნდმა ისე ითამაშა, როგორც მე მომწონს“, - **მანუელ პელეგრინი** ბილბაოში მოპოვებული ქულის შემდეგ.

ტურის ჩემპიონი ფრაზა

პეპე: *„ოფიციალური მატჩის რეპორტაჟის მიხედვით, გოლი ეკუთვნის კრიშტიანო რონალდოს და არა მე. ბურთი მე მომხვდა და ისე გავიდა, მაგრამ ის მთლიანად ჯარიმის დამრტყმელის დამსახურებაა. ერთი წუთითაც არ მქონია პრობლემა, ყოველთვის ვაცხადებდი, რომ გოლი მას ეკუთვნის“.*

ახლა განვმარტოთ, რაშია საქმე - კრიშტიანო რონალდოს ესპანური და მსოფლიო მედიის დიდი ნაწილი სეზონში 38 გოლს უთვლის, გამონაკლისია „მარკა“ და კიდევ რამდენიმე გამოცემა. თუმცა სწორედ „მარკა“ გადასცემს „პიჩიჩის“. „მარკას“ მტკიცებით კი კრიშტიანომ უკვე დაამხო **ტელმო ზარასა** და **უგო სანჩესის** რეკორდი, მას 39 გოლი აქვს ანგარიშზე. როგორ? 2010 წლის სექტემბერში, „ანოეტაზე“ კრიშტიანო რონალდომ ჯარიმა დაარტყა, რომელიც კედელში მდგომ მისსავე თანაგუნდელ პეპეს მოხვდა და ისე გავიდა მასპინძელთა კარში. თავიდან გოლი რონალდოს ჩაუთვალეს, შემდეგ კი - პეპეს. თუკი, პორტუგალიელი „ალმერიასთან“ გოლს ვერ გაიტანს, გასული სექტემბრის ბასკური საღამოს ამ ეპიზოდის ინტერპრეტირებას დიდი მნიშვნელობა მიეცემა.

ტურის მსხვერპლნი

ჟულიო ბაპტიშტა (მალაგა): ბრაზილიელმა, შეიძლება, ბოლო ტურის მატჩი გამოტოვოს „ბარსელონას“ წინააღმდეგ. მან ტრავმა ბილბაოში „ატლეტიკოსთან“ მატჩში მიიღო.

პირველი...

„ბარსელონა“ - „დეპორტივოს“ მატჩის 82-ე წუთზე „ბლაუგრანას“ შემადგენლობაში 19 წლის ტარაგონელი ყმაწვილი **ორიოლ რომეუ ვიდალი** გამოჩნდა, რომელსაც ხან ორიოლად მოიხსენიებენ, ხან - რომეუდ. ეს ორიოლ რომეუს დებიუტია ლა ლიგაში. ის დაცვითი ტიპის ნახევარმცველია და სერხიო ბუსკეტსისა და ხავიერ მასკერანოს მსგავსად, დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში. სხვათა შორის, ორიოლ რომეუ „ესპანიოლის“ აღზრდილია.

ტურის სტატისტიკა

ტურში 23 გოლი გავიდა (2,3 გოლი საშუალოდ), მასპინძლებმა მოიგეს 10-დან 6 მატჩი, 3 ფრედ დასრულდა და მხოლოდ ერთში იმარჯვეს სტუმრებმა. ტურში 32 ყვითელი და 2 წითელი ბარათი აჩვენეს.

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელები: ხუანმი (17 წლის), **მუნიაინი** (18), **ტატო** (18), **რომეუ** (19), **კოკე** (19), ამატი (19), **ლუკე** (19).

ყველაზე მეტი მაყურებელი: 70 044 - „კამპ ნოუ“

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 5 000 - „მედიტერანეო“

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 31 - სპორტინგი

კარში: 15 - სპორტინგი

ჯარიმა: 18 - რეალ სოსიედადი, ვალენსია

კუთხური: 15 - სპორტინგი

თამაშგარე: 9 - რეალი

ბურთის ფლობის %: 78 - ბარსელონა

ბურთის ფლობის %: 78 - ბარსელონა

ბურთის ფლობის %: 78 - ბარსელონა

● ევროპის ლიგა. ფინალის წინ

პორტუგალიური ბრაგაბრუგი

ვის უნდა ზედმეტი მილიონი

დუბლინ არენა ფინალის წინ

დღეს „დუბლინ არენა“ ევროპის ლიგის ისტორიაში მეორე ფინალია. ტიტული პირენეის ნახევარკუნძულიდან არ მიდის - ესპანური „ატლეტიკოდან“ ესტაფეტას რომელიმე პორტუგალიური გუნდი გადაიბარებს, ექსჩემპიონი „ბრაგა“ ან ჩემპიონი „პორტუ“. თითოეულმა ფინალისტმა უკვე გაიღადა 2 მილიონი ევრო ფინალში გასვლისთვის, ახლა გამარჯვებული კიდევ მილიონით გამდიდრდება. აქვე ვიტყვით, რომ სტადიონი, სადაც ფინალი ტარდება ადრე „ლენდსდაუნროუდის“ სახელით იყო ცნობილი, თუმცა შემდეგ სპონსორის სახელი „ავივა“ უწოდეს. მიუხედავად ამისა, უეფა ოფიციალურ დოკუმენტაციაში მას „დუბლინ არენად“ მოიხსენიებს.

„პორტუს“ თავკაც ანდრე ვილას-ბოასს დიდებული შანსი აქვს, ისტორიაში შევიდეს, როგორც ევროთასის მომგები ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი. ჟოზე მოურინიოს ყოფილი ასისტენტი, ხომ ჯერ 33 წლისაა.

„ბრაგას“ თავკაცმა დომინგუშ პასიენსიამ უკვე გამოაცხადა, რომ ფინალის შემდეგ გუნდიდან მიდის. სხვათა შორის, 42 წლის პასიენსიამ შეიძლება ერთი რეკორდი დაამყაროს, ის პირველი ადამიანი იქნება, რომელიც ევროპის ლიგაზე (უეფას თასზე) იმ გუნდს მოუგებს, როგორც მწვრთნელი, რომლის შემადგენლობაშიც ფინალში უთამაშია.

გზა ფინალამდე

მიუხედავად იმისა, რომ დუბლინში ერთმანეთს ერთი ქვეყნის და ლამის ერთი ქალაქის გუნდები ხვდებიან, მათი გზა დუბლინამდე აბსოლუტურად განსხვავებული იყო. „ბრაგა“, როგორც პორტუგალიის ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობდა, და იქ ხელმოცარვის შემდეგ მხოლოდ 2011 წელს ჩაერთო ევროპის ლიგაზე. მაშინ, როცა „პორტუ“ აგვისტოდან ამ ტურნირს მოუყვება. ხანმოკლე დისტანციის მიუხედავად, „ბრაგამ“ ყოველი ეტაპი დიდი წვალებით დასძლია, „პორტუმ“ კი მთელი მარათონი ტრიუმფით გაიარა. ერთადერთი, ესპანურ „სევილიასთან“ გაუჭირდა, როცა „სანჩეს პისხუანზე“ მოგების შემდეგ „დრაგაუზე“ დამარცხდა და შემდეგ ეტაპზე ანდალუსიაში გატანილი მეტი გოლის წყალობით გავიდა.

პლეი ოფში „პორტუმ“ ორი ესპანური და ორი რუსული კლუბი მოინადირა, „ბრაგამ“ კი პოლონური, ინგლისური, უკრაინული და პორტუგალიური. ნახევარფინალში „ბენფიკას“ დამარცხებით, ამ გუნდმა ევროპის ფინალში პორტუგალიური „კლასიკო“ ჩაშალა, რითაც ტელევიზიების წყრომა გამოიწვია - „პორტუ“-“ბენფიკას“ ხომ გაცილებით მეტი აუიოტაჟი ექნებოდა.

პორტუ

პლეი ოფი

19 აგვისტო

გენკი-პორტუ	0:3

26 აგვისტო

პორტუ-გენკი	4:2

L ჯგუფი

I ტური

16 სექტემბერი

პორტუ-რაპიდი	3:0

II ტური

30 სექტემბერი

ცსკა ს.-პორტუ	0:1

III ტური

21 ოქტომბერი

ბეშიქთაში-პორტუ	1:3

IV ტური

4 ნოემბერი

პორტუ-ბეშიქთაში	1:1

V ტური

2 დეკემბერი

რაპიდი-პორტუ	1:3

VI ტური

15 დეკემბერი

პორტუ-ცსკა ს.	3:1

1/16 ფინალი

17 თებერვალი

სევილია-პორტუ	1:2

23 თებერვალი

პორტუ-სევილია	0:1

1/8 ფინალი

10 მარტი

ცსკა მ.-პორტუ	0:1

17 მარტი

პორტუ-ცსკა მ.	2:1

1/4 ფინალი

7 აპრილი

პორტუ-სპარტაკი	5:1

14 აპრილი

სპარტაკი-პორტუ	2:5

ნახევარფინალი

28 აპრილი

პორტუ-ვილიარეალი	5:1

5 მაისი

ვილიარ.-პორტუ	3:2

ბრაგა

1/16 ფინალი

17 თებერვალი

ლეხი-ბრაგა	1:0

24 თებერვალი

ბრაგა-ლეხი	2:0

1/8 ფინალი

10 მარტი

ბრაგა-ლივერპული	1:0

17 მარტი

ლივერპული-ბრაგა	0:0

1/4 ფინალი

7 აპრილი

დინამო-ბრაგა	1:1

14 აპრილი

ბრაგა-დინამო	0:0

ნახევარფინალი

28 აპრილი

ბენფიკა-ბრაგა	2:1

5 მაისი

ბრაგა-ბენფიკა	1:0

კაპიტნები

ელტონი (პორტუ): *„რაც უნდა მოხდეს, ჩვენმა გუნდმა უკვე შეასრულა დიდი მისია და ჩვენ ყველა შემთხვევაში ამაყები დავტოვებთ სტადიონს. მხოლოდ ფინალში გასვლაც დიდი გამარჯვებაა, თუმცა ჩვენ მეტი გვსურს“.*

ვანდინიო (ბრაგა): *„ჩვენ ამ სეზონში გუნდური სულისკვეთება გამოვავლინეთ. „ბრაგა“ მთელს ევროპაში მეომრული სულით გახდა ცნობილი“.*

მწვრთნელები

ანდრე ვილას-ბოასი (პორტუ): *„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს ზღაპრივით ლამაზი სეზონი, ასევე ლამაზად დასრულდება“.*

დომინგუშ პასიენსია (ბრაგა): *„იმის გათვალისწინებით, თუ როგორ განვითარდა სეზონი, „პორტუ“ დიდი ფავორიტია, მაგრამ ეს ხომ ფინალია - სულ ერთი მატჩი და მორჩა“.*

იცით თუ არა, რომ...

- „პორტუმ“ „ბრაგას“ ბოლო სამი თამაში მოუგო, ბურთების 9-3 სხვაობით.
- ანდრე ვილას-ბოასის გუნდმა ეროვნული ჩემპიონატი დუმარცხებლად მოიგო: 27 გამარჯვება და 3 ფრე.
- ამ ორი გუნდის სტადიონებს შორის ზუსტად 47 კილომეტრია, ბრაგა ფაქტობრივად პორტუს გარეუბანია.
- „პორტუს“ ფორვარდმა **რადამელ ფალკაომ** უკვე დაამყარა ევროპის ლიგის რეკორდი - 16 გოლი გაიტანა. ადრინდელი რეკორდი **იურგენ კლინსმანს** (ბაიერნი, 1996 წ.) ეკუთვნოდა - 15 გოლი.
- „ბრაგამ“ „პორტუს“ ბოლოს 2009 წლის 19 სექტემბერს მოუგო.
- „ბრაგას“ ორ ფეხბურთელს, **არტურსა** და **სილვიოს** ევროპის ლიგის წლევანდელ სეზონში წუთიც არ გამოუტოვებიათ.
- ეს გუნდები ევროთასებზე ერთმანეთს პირველად ეთამაშებიან.
- „ბრაგას“ ამჟამინდელი თავკაცი დომინგუშ პასიენსია 1996 წლის პორტუგალიის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა „პორტუს“ მაისურით.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ინტერვიუ. რადამელ ფალკაო

“პორტუს” 25 წლის კოლუმბიელი თავდამსხმელი რადამელ ფალკაო უეფას ოფიციალურ საიტს გამოუტყდა, რომ კმაყოფილია მიღწევებით და განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი ევროპის ლიგის მოგებაა. თუმცა მას ესმის, რომ “ბრაგასთან” ფინალური შეხვედრა ურთულესი იქნება. სამხრეთამერიკელმა გულწრფელად განაცხადა ისიც, რომ “ვილიარეალთან” ნახევარფინალურ მატჩს კარიერის საუკეთესო შეხვედრად მიიჩნევს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ თავდამსხმელმა ევროპის ლიგაში იურგენ კლინსმანის 15 წლის წინანდელი შედეგიანობის რეკორდი დაამხო, მისი კმაყოფილების საფუძველი გასაგები ხდება. მაშ ასე, თქვენ წინაშეა რადამელ ფალკაო.

რადამელ ფალკაო

სამიზნე დუბლინისკენ

მიმდინარე სეზონი “პორტუსთვის” მშვენივრად აეწყო. “დრაკონებმა” არნახულად ძლიერად ჩაატარეს ლიგა საგრეშის გათამაშება და უახლოესი მდევარი 21 ქულით ჩამოიტოვეს. ამის მიუხედავად, მათ ზეიმისთვის ჯერ არ სცალიათ, რადგან წინ ორი გადამწყვეტი შეხვედრა ელით. “ბრაგასთან” ევროპის ლიგაზე და “გიმარაეშთან” პორტუგალიის თასის ფინალში. ანალოგიური “ჰეთთრიკი” “პორტუმ” 2003 წელს ჟოზე მოურინიოს ხელმძღვანელობითაც შეასრულა. მის გამეორებაზე უარს აბა ვინ იტყვის? *“ამ სეზონში “პორტუს” კონკრეტული მიზნები ჰქონდა - უნდა გვეჩვენებინა მაქსიმალური შედეგი ყველა ტურნირზე, -* თქვა ფალკაომ. *- მე რაც შემეხება, მსურდა, თავი გამომეჩინა ყველა ფრონტზე და მაქსიმალურად დავხარჯულიყავი გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე. ევროპის ლიგაზე ბევრი გოლის გატანა მოვახერხე და ამის გამო მოხარული ვარ”.*

და მართლაც, ფალკაოს თამაში ნელს მხოლოდ ქებას თუ იმსახურებს. “ვილიარეალთან” ნახევარფინალური შეხვედრის წინ მას 11 მატჩში ამდენივე გოლი ჰქონდა გატანილი, “წყალქვეშა ნავებს” კი ორ მატჩში ხუთჯერ შეუგდო: “ესტადიო დრაგაუზე” გატანილ პოკერს “ელ მადრიგალზე” ერთიც დაამატა. *“ეს უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო ჩემს კარიერაში. 5:1 მოვიგეთ და თანაც ისე, რომ თავიდან ვაგებდით. ამის გაკეთება არც ისე იოლი იყო. საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ძლიერი მეტოქის 5:1 განადგურება ჩვენი ფეხბურთელებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა,”* – თქვა თავდამსხმელმა.

“პორტუ” “დუბლინ არენაზე” ნამდვილად არ დარჩება მხარდაჭერის გარეშე. “დრაკონებს” მშვენიერი შანსი აქვთ, სეზონში მესამედ დაამარცხონ “ბრაგა”. კარგია, რომ პორტუელები გადამწყვეტ შეხვედრას არ მიიჩნევენ იოლ გასეირნებად. მათ მშვენივრად ესმით, რომ “ბრაგამ” სეზონის განმავლობაში უკვე დაამტკიცა თავისი ძალა, გამოაგდო რა “ლივერპული”, “დინამო” და “ბენფიკა”. კოლუმბიელიც სწორედ ამას უსვამს ხაზს: *“ვიცით, რომ რთული დაპირისპირება გველის. თუმცა პირველ რიგში იმაზე ვფიქრობთ, რომ ჩვენს სტილში ვითამაშოთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ “ბრაგას” მისი თამაშის საშუალება არ მივცეთ. “პორტუში” მე სულ რაღაც მეორე სეზონია, ვთამაშობ და უკვე მოვახერხე ისეთი დიდი ფეხბურთელის შედეგის გაუმჯობესება, როგორიც კლინსმანი იყო. გერმანელი ბავშვობაში ხომ ჩემი კერპი იყო. ეს ყოველივე ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რომ ევროპის ლიგა მოვიგოთ. ეს ამწუთას ჩემი უმთავრესი მიზანია”.*

ლევან ბიბილაშვილი

● ამბები

ოსკარი სიომინისთვის

კიევის “დინამომ” “ბენფიკას” პარაგვაელი თავდამსხმელის **ოსკარ კარდოსოს** შეძენა მოინდომა. ამის შესახებ ჩვენი პორტუგალიელი კოლეგები გვიყვებიან.

ერთი შეხედვით, კიეველთა შანსი დიდი არ არის, მაგრამ ცდად ღირს. როგორც ჩანს, უკრაინის ვიცე-ჩემპიონთა ხელმძღვანელობა სწორედ ასე ფიქრობს. **იგორ სურკისმა** განაცხადა, რომ ისეთი ფეხბურთელი, როგორიც ოსკარ კარდოსოა, ყველას დააინტერესებს. მისი თქმით, კიეველები წელს აქცენტს არა პერსპექტივაზე, არამედ უკვე გამობრძმედილ ფეხბურთელებზე გააკეთებენ. პორტუგალიურმა მასმედიამ თემა “კარდოსო დინამოში” უკვე აიტაცა. ეტყობა, საქმე არც ისე მარტივად არის, როგორც ჩანს. “ოჟოგუს” მტკიცებით, კიეველებს სამხრეთამერიკელი 15 მილიონი ევრო დაუჯდებათ, ეს მაშინ, როცა მის კონტრაქტში გამოსასყიდი თანხა 60 მილიონია ჩაწერილი. თუმცა “ბენფიკაში” იციან, რომ ბევრი რამ ფეხბურთელის პოზიციაზეც იქნება დამოკიდებული. აშკარაა, რომ ფეხბურთელს კიეველები ბევრად მაღალ ანაზღაურებას შესთავაზებენ, ვიდრე ეს ლისაბონელებს შეუძლიათ. ახლა კი, მოდით, ნვრილმანებზე ვიმსჯელოთ. ოსკარმა თანაგუნდელებზე ადრე მიიღო შვებულება. ოფიციალურად ამის მიზეზად დასახელდა, რომ პარაგვაელი კოპა ამერიკისთვის უნდა მოემზადოს, თუმცა ვერავინ გამორიცხავს, რომ ამ ფაქტს არაოფიციალური ახსნაც ჰქონდეს. აღნიშნულ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ “სპორტ ექსპრესის” ინფორმაციით, **იური სიომინი** გუშინ თავად გაფრინდა ლისაბონში, რათა ფეხბურთელს ერთი-ერთზე შეხვდეს.

იაპონიის უარი უკვე მეორედ

აზიის ჩემპიონმა იაპონიის ნაკრებმა უარი თქვა კოპა ამერიკაში მონაწილეობაზე და ეს საორგანიზაციო კომიტეტსა და კონმებოლს (სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო კონფედერაცია) ოფიციალურად აცნობა. უნდა აღინიშნოს, მათი პირველი უარი არავის გაჰკვირვებია, რადგან ამ ქვეყანას თავს დატეხილი ტრაგედია მაშინ ყველას თვალწინ ედგა. მას მერე აზიელებმა თანხმობა შემოთვალეს. ამჯერად კი უარის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ევროპაში მოთამაშე საუკეთესო ლეგიონერების შეკრებას ვერ ახერხებენ. კოპაზე ასპარეზობის ნაცვლად **ალბერტო ძაკერონის** შეგირდები პერუსთან და ჩეხეთთან ამხანაგურ მატჩებს გამართავენ.

იაპონელების გარდა არგენტინაში გასამართ ტურნირზე (რომელიც 1-დან 24 ივლისის ჩათვლით გაიმართება) მექსიკის ნაკრებიცაა მიწვეული.

მასელელე დაიმტვრა

პსჟ-ის კაპიტანი **კლოდ მაკელელე** სერიოზულად დაშავდა და სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს, აღნიშნულ ინფორმაციას “ეკიპი” ავრცელებს. შეგახსენებთ, რომ ვეტერანმა “ლილთან” თასის ფინალურ შეხვედრაში ბარძაყის კუნთი გაიჭიმა. სამედიცინო გამოკვლევამ კი დაადასტურა, რომ ის ვარჯიშს უახლოესი 3 კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს.

ტრავმა ტრავმად და ვეტერანი სეზონის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელის კარიერის დასრულებას აპირებს. მაშ რა გამოდის, ბოლო ოცწლეულის ერთ-ერთ საუკეთესო საყრდენს მინდორზე ველარ ვიხილავთ?

ლევან ბიბილაშვილი

ჭადრაკი

ბოლო აკორდის წინ

„შერატონ მეტეხი პალასში" დღეს დასრულდება მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი. ბოლოსწინა ტურში ლიტველმა **ვიქტორია ჩმილიტემ** შავი ფიგურებით აჯობა **ქეთევან არახამია-გრანტს** (შოტლანდია), მოაგროვა 8,5 ქულა და ჩემპიონობის მოპოვების რეალური შანსი აქვს, თუმცა, მეორე ადგილზე მყოფი **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი) მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება. მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონმა თეთრი ფიგურებით ორგზის ევროპის ჩემპიონ **კატერინა ლახნოს** (უკრაინა) სძლია. 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს **ელინა დანიელიანმა** (სომხეთი) და **სვეტლანა მატვეევამ** (რუსეთი), რომლებმაც შესაბამისად, **ნადეჟდა კოსინცევა** (რუსეთი) და **მარია მუზიჩუკი** (უკრაინა) დაამარცხეს. **ბელა ხოტენაშვილი** შავებით ტატიანა კოსინცევას (რუსეთი) დაუზავდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ **პია კრამლინგი** (შვედეთი)-**ქრისტინა-ადელა ფოიშორი** (რუმინეთი), **ნინო ხურციძე**-ხაიალა აბდულა (აზერბაიჯანი). ექვსქულიანთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია)-**იოლანტა ზავადსკა** (პოლონეთი) 1:0, **ლელა ჯავახიშვილი-ევგენია ოვოდი** (რუსეთი) 1:0, **ნინო ბაციაშვილი**-ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი) 1:0... **ქეთი წანალაშვილმა** (5,5), რომელმაც ჯერ კიდევ წინა ტურში შეასრულა დიდოსტატობა, გუშინ ავსტრიელ **ევა მოზერს** სძლია და მონაგარი გაიმდიდრა. **სოფიკო ხუხაშვილმა ირინა ბულმაგას** (ლატვია) მოუგო, **ნაზი პაიკიძემ მერი არაბიძე** დაამარცხა.

ბოლო ტურის წინ მეწინავეთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: **ჩმილიტე**-8.5, **სტეფანოვა**-8, **დანიელიანი, მატვეევა**-7.5-7.5, **ხოტენაშვილი, ლახნო**, ჯავახიშვილი, **ტ. კოსინცევა**, ა. მუზიჩუკი, არახამია-**გრანტი, ბოდნარუკი**-7-7 ქულა. მედლების მფლობელებიც მათ პაექრობებში გაირკვევა. დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: ჩმილიტე-მატვეევა, დანიელიანი-სტეფანოვა, ბოდნარუკი-ტ. კოსინცევა, ხოტენაშვილი-ა. მუზიჩუკი, ლახნო-არახამია-გრანტი, ჯავახიშვილი-ნ. კოსინცევა.

ვაჟა დანელია

უნივერსიადა 2011

ჩემპიონთა და პრიზიორთა ბაბლო

„უნივერსიადა 2011"-ის პროგრამით კიდევ სპორტის სამ სახეობაში გაიმართა ტურნირები - ბერძნულ-რომაულ, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში.

კვარცხლბეკი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 74 კგ. 1. გიორგი დათუნაშვილი (სტუ), 2. ვახტანგ მელუა (ილიას უნ.), 3. გოჩა გაბუნია (ბათ. უნ.); **84 კგ.** 1. რუდოლფ ოგანეზოვი (სტუ), 2. თორნიკე ნოზაძე (სასულ. აკად.), 3. ბექა როყვა (ილიას უნ.); **96 კგ.** 1. გოჩა დავითაძე (ილიას უნ.), 2. ლუკა ჩირგაძე (საერთ. ურთ. უნ.), მესამეადგილოსანი არ გამოვლენილა; **120 კგ.** 1. დიმიტრი ჯავახიშვილი (თსუ), 2. გიორგი ფანჩულიძე (დ. გურამიშვ. სასნ. უნ.), 3. გიორგი გიორგაძე (საერთ. ურთ. უნ.). **გუნდური.** 1. ბათუმის უნივერსიტეტი-40 ქ, 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-35, 3. სტუ-30.

თავისუფალი ჭიდაობა. 60 კგ. 1. გიორგი კაციტაძე (აგრ. უნ.), 2. ბექა მიქელაძე (სტუ), 3. ნიკა გრძელიშვილი (სამედიცინო), თემურ მგელაძე (ბათ. სახელმწ. უნ.); **66 კგ.** 1. კონსტანტინე გავაშელი (სტუ), 2. გიგა ნაგლაძე (აგრ. უნ.), 3. ირაკლი შანთაძე (ბათ. უნ.), ნოდარ მერაბიშვილი (გორის სასწ. უნ.); **74 კგ.** 1. რევაზ ივანიშვილი (აგრ. უნ.), 2. დიმიტრი ბასილაშვილი (სტუ), 3. ზვიად მხეიძე (ბათ. სახელმ. უნ.), ნოდარ მერებაშვილი (გორის სასწ. უნ.); **84 კგ.** 1. გოჩა ლომთათიძე (ილიას სახელმ. უნ.), 2. ალეკო შაყულაშვილი (სამედიცინო), 3. ლადო გოდერძიშვილი (სტუ). **გუნდური:** 1. აგრ. უნივერსიტეტი-38 ქ, 2. სტუ-33, 3. ბათუმის სახელმწ. უნივერსიტეტი-29.

ქართული ჭიდაობა. 60 კგ. 1. გიორგი ტყემალაძე (სტუ), 2. გიორგი ბუხრიკიძე (ბათ. სახელმწ. უნ.), 3. სოსო ცერცვაძე (აგრ. უნ.); **70 კგ.** 1. იაკობ ჩარკვიანი (აგრ. უნ.), 2. ვანიკო თოთაძე (სტუ), 3. ბესარიონ შვანგირაძე (ილიას სახელმ. უნ.); **75 კგ.** 1. თორნიკე ჯუღელი (სტუ), 2. პაატა დოლიაშვილი (სოხუმის უნ.), 3. მიხეილ მასხარაშვილი (აგრ. უნ.); **80 კგ.** 1. გიორგი ბიჩელაშვილი (სოხუმის უნ.), 2. ზურაბ შენგელია (აგრ. უნ.), 3. ხვიჩა ნიკლაური (თსუ); **90 კგ.** 1. პაატა აბულაძე (აგრ. უნ.), 2. ბეთქილ ნავერიანი (სტუ), 3. ბექა მიგრიაული (ილიას სახელმწ. უნ.); **+90 კგ.** 1. ბექა ბერძენიშვილი (მცირე აკად.), 2. გიორგი კოშაიძე (ილიას სახელმ. უნ.), 3. გიორგი კალაძე (სამედ. უნ.). **გუნდური.** 1. აგრარული უნივერსიტეტი-43 ქულა, 2. სტუ-31, 3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-17.

P.S. ძიუდოში ასპარეზობა გაიმართა მხოლოდ ოთხ წონით კატეგორიაში. ტურნირი სპორტსმენთა და მსაჯთა შორის წამოწყებული ჩხუბის გამო ჩაიშალა. საქმეში სამართალდამცავი ორგანოებია ჩარეული.

თენგიზ თომაშვილი

გაბრიელ ბარჯაძის ფოტო

აგრარული უნივერსიტეტის მოჭიდავეთა გუნდი

ძიუდო

სალიცენზიო რეიტინგი და ჩვენებურთა შანსები

მართალია, ძიუდოში სალიცენზიო ტურნირების დამთავრებამდე საკმაო დრო და შეჯიბრება რჩება, ვფიქრობთ, მკითხველისთვის უინტერესო არც ამჟამად რეიტინგში ქართველ სპორტსმენთა ადგილი და მათი შანსები უნდა იყოს... ამიტომ გადავწყვიტეთ, სალიცენზიო ტურნირებში პაუზით ვისარგებლოთ (ამ რანგის მომდევნო შეჯიბრება ორ კვირაში მოსკოვში ჩატარდება) და ამაზე გესაუბროთ. ერთხელაც განვმარტავთ, რომ საგზურს მიიღებს რეიტინგით 22 საუკეთესო, ოღონდ ქვეყანა და არა ფალავანი. ვინაიდან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატისგან განსხვავებით, ქვეყნებს ოლიმპიადაზე წონაში კვლავაც მხოლოდ ერთი მონაწილის დაყენება შეუძლიათ, ლიცენზიასაც თითოს იღებენ. თანაც, საგზური კვლავინდებურად ფედერაციას გადაეცემა და არა სპორტსმენს. ამდენად, თუ იმ 22-ში ერთი რომელიმე გუნდიდან ორი ან მეტი ფალავანი შევა, ის ფედერაცია მაინც ერთ საგზურს მიიღებს, ხოლო ვის დააყენებს ოლიმპიადაზე, მისი საქმეა. ერთი ხანობა წესის შეცვლაზეც ლაპარაკობდნენ, ალტერნატიულ ვარიანტებს საკმაოდ აქტიურადაც განიხილავდნენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მაინც უცვლელად დარჩა. ჩვენში ამ თემაზე კამათისას ყოველთვის **გიორგი ბაინდურაშვილისა** და **საბა გავაშელიშვილის** (ორივე - 81 კგ) მაგალითზე მსჯელობდნენ, რადგან მაშინ მართლაც საჩოთირო ვითარება შეიქმნა - პეკინის ოლიმპიადაზე მოსახვედრად საჭირო ქულათა მარაგი ბაინდურაშვილმა მოიპოვა, მაგრამ მწვრთნელებმა ჩინეთში გავაშელიშვილი წაიყვანეს. მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ გავაშელიშვილი კონკურენტზე უფრო ახალგაზრდაა და აქცენტი სამომავლო პერსპექტივაზე აიღეს, თუმცა ფაქტი დღემდე რჩება განხილვის საგნად.

მოკლედ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლიცენზიის მოსაპოვებლად საჭიროა არა 22 საუკეთესო სპორტსმენს, არამედ 22 ქვეყანას შორის მოხვედრა, ეს კი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ისეთ წონებში, სადაც ჩავარდნა გვაქვს. უწინარესად - 66 და 73-ში.

სადღეისოდ ყველაზე კარგად საქმეები 60 კილოგრამში მიგვდის, სადაც საგზური, პრაქტიკულად, განაღდებულია - ბაქოს „დიდ პრიზზე" გამარჯვების შემდეგ შემატებული 200 ქულით **ამირან პაპინაშვილი** მე-6 ადგილზეა. 22 კაცში ჯერჯერობით ინარჩუნებს ადგილს **დავით ასუმბანი** - 325 ქულით მე-18, მაგრამ ბოლო ხანებში მას სულ უფრო მეტად უჭირს წარმატებით ჭიდაობა და თუ ასე გააგრძელა, ლონდონში მოხვედრის შანსიც გადაეწურება. სტამბოლში, ევროპის პირველობაზე მეორე ადგილზე გასვლისთვის მოპოვებული 108 ქულით 22-იან მიჯნას ძალზე მიუახლოვდა **ბეთქილ შუკვანი** - 266 ქულით ზუსტად 23-ე. ამდენად, სასწაული უნდა მოხდეს, ამ წონაში ულიცენზიოდ რომ დავრჩეთ, მაგრამ ოლიმპიური გუნდის მონაწილეზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ბუნებრივია, კანდიდატთა სიიდან ასუმბანის ჩამოწერას არავინ გვეკითხება და ამას არც ვაპირებთ, მაგრამ ბოლო ტურნირებიდან რაც ჩანს, უფრო რეალური შანსები პაპინაშვილს და შუკვანს გააჩნიათ. ორივეს გამოღვიძების პერიოდი უდგას, ოღონდ პაპინაშვილს თუ ეს პროცესი მსოფლიოს ბოლო პირველობის შემდეგ დაეწყო, შუკვანს ახლაღა დაუდგა. ამათგან შუკვანმა ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ ის წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა, პაპინაშვილმა კი ეს ეტაპი უკვე გაიარა - ბაქოს გარდა, შარშან შემოდგომაზე როტერდამის „დიდი მუზარადიც" მოიგო. მართალია, წლევანდელ ევროპაზე შუკვანმა შედეგით აჯობა - მეორე იყო, ის კი მეხუთეზე დარჩა, მაგრამ მთავარი მაინც სტაბილურობაა. ამ წონაში კონკურენცია ფრიად სასიხარულოა, რადგან ეს აუცილებლად დაეტყობა ნაკრების შედეგებს.

მყარი პოზიციები გვაქვს 90-შიც, სადაც **ვალერი ლიპარტელიანი** 648 ქულით მე-8 ადგილზეა. სამწუხაროდ, ამ წონაში სხვა რეალური პრეტენდენტი არც არის - **მინდია ბოდაველი** დაახლოებით 30-კაციან სიაში კი შედის, მაგრამ ის უფრო სამბოში გამოდის და არა ძიუდოში, მოქმედი ძიუდოისტებიდან **საბა გავაშელიშვილი, ზვიად გოგოჭური, გიორგი ცოციაშვილი** და კიდევ რამდენიმე რეიტინგში კი შედიან, მაგრამ იმდენად ცოტა ქულა აქვთ და იმდენად ჩამორჩებიან სანუკვარ 22-ს, მათზე ამ ეტაპზე არც ლაპარაკობენ.

ამირან პაპინაშვილი

60 კილოგრამის დარად, მსოფლიოს რეიტინგის მიხედვით, სალიცენზიო ზონაში 2-2 მონაწილე გვყავს 100 და მძიმე წონებშიც, მაგრამ პირველისგან განსხვავებით, მეორეში ჩვენები უფრო რეიტინგის ბოლოსკენ არიან. 100-ში ევროპის პირველობაზე ვერცხლის მედლის მოპოვებისთვის **ლომერ ჟორჟოლიანმაც** 108 ქულა შეიმატა, 500 გაუხდა და ახლა მე-15 ადგილზეა. **ირაკლი ცირეკიძე** მე-19 ადგილს იყოფს 354 ქულით, მსოფლიოს რეიტინგში კი 26-ეა. მძიმეში ჩვენებურთაგან **ადამ ოქრუაშვილია** დანინაურებული - 264 ქულით 21-ეა. ფალავანთა დიდ ჯგუფთან ერთად **ზვიად ხანჯალიაშვილიც** ამავე ადგილს იყოფს, ოღონდ მისი მონაგარი 228 ქულაა, რაც მსოფლიოს რეიტინგში 32-ე ადგილს შეესაბამება.

ურიგო პოზიციები არც 81-ში გვაქვს, თუმცა სალიცენზიო ზონაში მხოლოდ **ლევან წიკლაურია** - 360 ქულა და მე-16 ადგილი. 22-ში შესვლის შანსს კვლავაც ინარჩუნებს **ავთანდილ ჭრიკიშვილი**, რომელიც მსოფლიოს რეიტინგით სადღეისოდ 184 ქულით 48-ეა. მსოფლიოსავე სიით 146 ქულით 56-ეა **დავით კარბელაშვილი**.

როგორც გითხარით, ყველაზე ცუდად საქმე 73-სა და განსაკუთრებით - 66-ში გვაქვს. 73-ში **ნუგზარ ტატალაშვილს** კიდევ არა უშავს - 220 ქულით 24-ეა და რომ არა განელი **ემანუელ ნარტე**, შუკვანივით 23-ე იქნებოდა. სიაში კვლავაც რჩება **ზაზა კედელაშვილი**, თუმცა მას დიდი ხანია, არსად უჭიდავია, მოქმედთაგან კი **ამბაკო ავალიანს** 132, ხოლო **თენგიზ პაპოშვილს** 100 ქულა აქვთ. ლიცენზიების მოსაპოვებლად მათ გვარიანად უნდა მოუმატონ. 66-ში ჩვენგან საუკეთესო **შალვა ქარდავაა** - 180 ქულით 25 ადგილზეა. ერთი შეხედვით, ეს არც ისე ცუდი მაჩვენებელია, მაგრამ ბოლოდროინდელი შედეგებიდან გამომდინარე, დამშვიდების უფლება მაინც არ გვაქვს. სამწუხაროდ, ამ წონაში სხვა ჩვენებურთა მდგომარეობა იმდენად უიმედოა, მათზე ლაპარაკიც არ ღირს.

აი, ასეთია ვითარება ვაჟთა შორის, რაც ცოტა გვაეჭვებს, რომ ჩვენი ნაკრები ლონდონის ოლიმპიადაზე სრული გუნდით გამოვა. რაც შეეხება ქალებს, იქ სათქმელი ბევრიც არაფერია - რეიტინგებში სულ ორი ჩვენებურია და ისინიც იმდენად არიან დაცილებულნი სალიცენზიო ზონას (აქ 14 საუკეთესოზე გაიცემა საგზური), მხოლოდ მსოფლიოს რეიტინგებზე თუ ვილაპარაკებთ. 70 კილოგრამში **ნინო ოძელაშვილი** 22 ქულით 95-ეა, მძიმეში კი **ირინა ლეონიძე** 20 ქულით 67-ე. მართალია, ოძელაშვილის შედეგები ჯერაც შედის 78 კილოგრამის ჩამონათვალში, მაგრამ ის საბოლოოდ დამკვიდრდა 70-ში.

ირაკლი თავაძე

მკლავჭიდი

ძლიერთა მონაგარი

ორივე ასაკში მედლების სრული კომპლექტით

საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები 16 სპორტსმენით წარდგა ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც თურქეთის დედაქალაქმა ანკარამ უმასპინძლა. განსაკუთრებით ისახელა თავი ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა **გენადი კვიკვინიამ.** მან ორივე ხელით ოქროს მედლები დაიმსახურა. მარცხენათი ფინალში რუსი **ვიაჩესლავ ბურიევი** დაამარცხა, მარჯვენათი მისსავე თანაგუნდელ **ივან მატუშენკოს** სძლია, რითაც შარშან კონტინენტის ჩემპიონატის პირველ წრეში წაგებისთვის რევანში აიღო.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან ახლოს იყო ორი ქართველი სპორტსმენი, მაგრამ საბოლოოდ ისინი ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ: **ირაკლი გამთენაძემ** (90 კგ) ცაციათი ფინალური პაექრობა დათმო რუს **არსენ ბილიევთან,** არადა, ნახევარფინალში უკრაინელ მსოფლიოს ჩემპიონ **რუსლან ბაბაევს** მოუგო. **ვასილ დაუთაშვილს** (100 კგ) მარჯვენათი ბულგარელმა მსოფლიოს ჩემპიონმა **კრასიმირ კოსტადინოვმა** აჯობა. საგულისხმოა, რომ შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზეც მათი ფინალური პაექრობა სლავი სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა. ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ **ალეკო აბუთიძე** (70 კგ. მარჯვენა), ვასილ დაუთაშვილი (100, მარცხენა), **ვილენ გაბრავა** (60, მარცხენა).

ახალგაზრდებში მარჯვენა ხელით ყველა ორთაბრძოლა მოიგო და პირველ ადგილზე გავიდა **მერაბ კაკაბაძე** (80 კგ). იგი ამავე წონაში ცაციათი მეორე იყო. ვერცხლის მედალი ხვდა მარცხენაი **მარინე ფუტკარაძესაც** (55). **გიორგი ოთინაშვილმა** (55) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

- ქართველი მკლავჭიდელების გამოსვლითა და შედეგებით კმაყოფილი ვარ, - გვითხრა მკლავჭიდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ერეკლე გურჩიანმა.** - თუმცა, მსაჯებს მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინათ, გამთენაძეცა და დაუშვილიც ჩემპიონები გახდებოდნენ. შარშან მსგავს შეჯიბრებაზე 8 მედალი მოვიპოვეთ, წლეულს კი მათი რაოდენობა სამი ერთეულით გავზარდეთ. ახლა ჩვენი მიზანია, სათანადოდ მოვემზადოთ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც ნოემბერში ყაზახეთის ყოფილი დედაქალაქი ალმათი უმასპინძლებს.

ვაჟა დანელია

● თავისუფალი ჭიდაობა. გერმანიის ტურნირი

ახალგაზრდული თასი

27-28 მაისს გერმანულ პლაუენში თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს თასი ჩატარდება. ეს უფროსთა ანალოგიური შეჯიბრების ახალგაზრდული ალტერნატივაა და ზუსტად იმავე ფორმატით იმართება, ანუ „გუნდი-გუნდზე". უფროსთა დარად, მონაწილენი მსოფლიოს წინა პირველობის შედეგების მიხედვით შეირჩევა - რვა საუკეთესო, ამჯერად კი ამ სიაში საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთის, ირანის, თურქეთის, აშშ-ს, იაპონიისა და თავად გერმანიის გუნდები მოხვდნენ. ისინი ორ ჯგუფად გაიყოფიან და 27 მაისს პირველი ეტაპის შეხვედრებსაც გამართავენ, ხოლო დანარჩენს - მეორე დღეს.

ჩვენი ნაკრები მთავარ მწვრთნელ **ნუგზარ სხირელის** ხელმძღვანელობით გერმანიაში 26 მაისს გაფრინდება ასეთი შემადგენლობით: **ლევან როჭიკაშვილი** (50), **ლაშა ლომთათაძე** (55), **ზურაბ იაკობაშვილი** (60), **დავით გალეგაშვილი** (66), **ბექა პეტრიაშვილი** (74), **ალექსანდრე ამინაშვილი** (84), **ომარ გუსოშვილი** (96), **გიორგი ასლანიშვილი** (120). გუნდი ახლა დუშეთშია შეკრებაზე, სადაც ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის ემზადება. ის შეჯიბრებები სულ რაღაც სამკვირიანი ინტერვალით იმართება და მწვრთნელები ორ-ორ შემადგენლობას არჩევენ. გერმანული ტურნირიც საკადრო შემოწმების ერთ-ერთი ეტაპია. არსებითად, ევროპა-მსოფლიოზე წამსვლელი ფალავნები მწვრთნელს უკვე შერჩეული ჰყავს, მაგრამ დასახელებას ჯერ არ ჩქარობს. სავარაუდოდ, უმრავლეს წონებში კანდიდატები ერთმანეთს შეცვლიან, ანუ ერთი ევროპას იჭიდავებს, მეორე - მსოფლიოს. არის წონითი კატეგორიები, სადაც სამი სრულფასოვანი კანდიდატიცაა - იმათგან ერთი ამ თასზე გამოვა გერმანიაში.

ევროპა-მსოფლიოსთვის ემზადებიან ახალგაზრდა ბერძენ-რომაელებიც, რომლებიც ხვალ დაიწყებენ შეკრებას ასევე დუშეთში, ერთი ჯგუფი კი ხვალიდანვე ერევანში ოლიმპიურ ჩემპიონ **ლევონ ჯულფალაკიანის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. გუნდის თავკაცი **ვლადიმერ ადეიშვილი** იქ 12-კაციან შემადგენლობას გზავნის, რომელიც ძირითადად მესამე ნომრებითაა დაკომპლექტებული. ადეიშვილის გადაწყვეტილებით, მეორე ნომრები ივნისში თბილისში გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვლენ, ლიდერები კი ევროპის პირველობაზე იჭიდავებენ, თუმცა შემადგენლობის დასახელებას ჯერ არც ის ჩქარობს. ამდენად, დაზუსტებით ვერც იმას გეტყვით, ვინ მოიაზრება პირველ ნაკრებში და ვინ - მეორეში.

ირაკლი თავაძე

● ჭიდაობა. თბილისის ოქროს დიდი პრიზი

უკრაინელები უარობენ, მაზანდარანელები გვთხოვენ

გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირამდე არც ისე ბევრი დრო რჩება - შეჯიბრება 10-12 ივნისს გივი კარტოზიასავე სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. ტურნირი ამჯერად მხოლოდ ვაჟებში ტარდება - ბერძნულ-რომაულშიც და თავისუფალშიც, წარმატებული სპორტსმენები კი ივლისში ბაქოში გასამართი სუპერფინალის საგზურსაც მიიღებენ.

„ოქროს დიდი პრიზის" პირველი საჭიდაო დღე 10 ივნისია - ამ დღეს ბერძენ-რომაელთაგან 55, 66 და 96-ის წარმომადგენლები იასპარეზებენ, „თავისუფალთაგან" - 60-ისა და 120-ის სპორტსმენები. 11 ივნისს ბერძენ-რომაელთაგან 74-120-ის, „თავისუფალთაგან" კი 55, 66 და 96-ის მოჭიდავეებს ვიხილავთ, ბოლო დღეს კი ლეიბზე ბერძენ-რომაელთაგან 60-84, „თავისუფალთაგან" კი 74-84-ის ათლეტები გავლენ. ასპარეზობები სამივე დღეს 9 საათზე დაიწყება, ფინალები კი 18 საათიდან გაჩაღდება. გახსნის საზეიმო ცერემონიალი 10 ივნისს 16 საათზე გაიმართება.

სამწუხაროდ, წინასწარი ვარაუდით, ოდესღაც ძლიერი ეს ტურნირი (განსაკუთრებით - „თავისუფალში") წლეულს ბევრად სუსტი იქნება. სადღეისო მონაცემებით, თბილისში ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და კიდევ რამდენიმე ქვეყნის გუნდი ჩამოვა, თუმცა მონაწილეთა რაოდენობა არც ისე ბევრი იქნება, როგორც ამ რანგისას შეეფერება და როგორც სხვაგანაა. ამ დღეებში ირანიდან კიდევ მოვიდა დამატებითი თხოვნა - თურმე მაზანდარანის პროვინციის ნაკრებსაც გამოუთქვამს ჩამოსვლის და ცალკე გუნდად მონაწილეობის სურვილი, რის გამოც ჩვენებისგან მოსაწვევის გაგზავნა უთხოვიათ, რასაც სიამოვნებით დაეთანხმნენ.

ჯერჯერობით შეუძლებელია ლაპარაკი კონკრეტულ შემადგენლობებზე, მაგრამ ასევე წინასწარი განაცხადებით, უძლიერესი გუნდით მხოლოდ ირანელები მოდიან - ორივე სახეობაში. ერთი უსიამოვნო ამბავიც გაირკვა - უკრაინელებმა უარი შემოგვითვალეს. არადა, ისინი ჩამომსვლელთა შორის იყვნენ და გულითაც ეწადათ აქ გამოსვლა. მით უფრო, არც პირველ შეჯიბრებაში უჭიდავიათ და სუპერფინალში მონაწილეობის ბოლო შანსი ეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც ეტყობა, იქ თავად ფედერაციაშია პრობლემები (თუმცა ეს არახალია - ამ დაპირისპირებას უკვე საკმაოდ დიდი ისტორია გააჩნია), რის გამოც ჩამოსვლას ვერ ახერხებენ. თურმე მწვრთნელები ამ ამბის გამო ძალიანაც ყოფილან განრისხებულნი, მაგრამ ფაქტია - ვერ გვეწვევიან.

თუმცა უცხოელები იქით იყოს და, სამწუხაროდ, უძლიერესი შემადგენლობით ვერც მასპინძლები იასპარეზებენ. იმის მიუხედავად, რომ ეს მსოფლიოსთვის ერთ-ერთი უმთავრესი შესარჩევი შეჯიბრებაა, მას ძალიან ბევრი ცნობილი ქართველი ფალავანი დააკლდება. განსაკუთრებით - „თავისუფლებში", სადაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისა და ოლიმპიადის პრიზიორ **ოთარ თუშიშვილისა** (66) და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსან **გიორგი გოგშელიძის** (96) გამოსვლა ლამის გამორიცხულია. ასევე არ იქნებიან ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონები - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84). თუშიშვილს ჯერაც არ მოუშუშებია ნატკენი თითები, გოგშელიძემ კი, მოგეხსენებათ, გერმანიაში ხელის ოპერაცია გაიკეთა. ჯერჯერობით ვერც ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაზა თურმანიძე** და ვერც მათი პირადი დამრიგებელი **ნუგზარ სხირელი** გადაჭრით ვერ ამბობენ, მოასწრებენ თუ ვერა ბიჭები ტურნირამდე გამოჯანმრთელებას, მაგრამ პესიმისტურად არიან განწყობილები. „დიდ პრიზს" საპატიო მიზეზით დააკლდებიან ხინჩეგაშვილი და მარსაგიშვილი - საბოლოოდ გადაწყდა, რომ ისინი ახალგაზრდულ ნაკრებსაც დაეხმარებიან ევროპის ჩემპიონატზე და მის 21-26 ივნისს შემადგენლობაში სერბულ ზრენჯანინში იასპარეზებენ.

ბერძენ-რომაელთაგან ცხვირის ოპერაცია გაიკეთა და ვარჯიშები სულ რაღაც ოთხი დღის წინ განაახლა ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა **რევაზ ლაშხმა** (60); მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **მანუჩარ ცხადაიამ** (66) საქართველოს ჩემპიონატზე მიღებული ტვინის შერყევა კი მოირჩინა, მაგრამ ამ დღეებში ვარჯიშზე ნეკნი იტკინა; გაცივდა და გარკვეული პერიოდი გაუცდა ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონს, ოლიმპიური ვერცხლის მედალოსან **რამაზ ნოზაძეს** (96), ევროპის პირველობის წინ ნატკენი ფეხი კვლავაც ვერ მოირჩინა **ვლადიმერ გეგეშიძემ** (84)... მათგან ჯერჯერობით გადაჭრით მხოლოდ გეგეშიძეზე შეიძლება თქმა, რომ გამოტოვებს ამ შეჯიბრებას. ამ ტრავმის გამო მან ვერც ევროპის პირველობაზე იჭიდავა და არც იმის ვარაუდი გამართლდა, რომ ამ პერიოდისთვის მაინც იქნებოდა ფორმაში. სამწუხაროდ, ესეც გამორიცხულია და მისი ჭიდაობა სარისკოა, რასაც სრულიად შეგნებულად აარიდეს თავი. დარჩია ფიქრობს, რომ დაასვენოს ლაშხი, რომელმაც წლეულს ევროპის გარდა, საქართველოს პირველობაც მოიგო, თუმცა თავად სპორტსმენს კი სურს შინაურ ტურნირზე გამოსვლა. ეს ასევე სურთ ცხადაიას და ნოზაძეს, რასაც დარჩიაც ეთანხმება. მწვრთნელის თქმით, მათი პრობლემები არც იმდენად საშიშია, ასპარეზობაში ხელი შეუშალოს. ბარემ აქვე იმასაც გეტყვით, რომ ცხადაია 74-ში აპირებს გამოსვლას. მოგეხსენებათ, მას საერთოდ იქ სურს გადაბარგება, მაგრამ ტრავმების გამო არც ამ პროცესს დაადგა საშველი. არადა, ეს გარდაუვალიც ჩანს, რადგან სპორტსმენი ძალიან ბევრს იკლებს - 10 კილოგრამამდე.

რაც შეეხება ნაკრების დანარჩენ წევრებს, დარჩიას თქმით, ისინი უეჭველად გამოვლენ და ამის შესახებ საკითხი მკაცრად დგას. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) იქნება, ევროპის პრიზიორი **სოსო ჯაბიძე** (96) თუ სხვა, ყველა სრული დატვირთვით ემზადება და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ქართველი მაყურებელი მათაც იხილავს თბილისის სპორტის სასახლეში. აქვე გეტყვით, რომ იასპარეზებენ ახალგაზრდა ბერძენ-რომაელებიც - მეორე ნომრები, პირველ ნომრებს კი ევროპის ჩემპიონატი ელოდებათ. ოღონდ იქ მწვრთნელებს ჯერ საბოლოო შემადგენლობა არ დაუსახელებიათ და ამიტომ ვერც კონკრეტულ გვარებზე გეტყვით რამეს.

საერთოდ, ეს შეჯიბრება მასპინძლებისთვის მთავარი შესარჩევი ტურნირია სექტემბერში სტამბოლში გასამართი მსოფლიოს პირველობისთვის და მწვრთნელები ლიდერთა მონაწილეობას ამიტომაც ითხოვენ. თუმცა შანსი იმათაც მიეცემათ, ვინც ახლა ობიექტური მიზეზით გამოტოვებს ამ შეჯიბრებას. დარჩია უფრო შორსაც მიდის და ამბობს, რომ ლაშხმა კიდეც რომ დაისვენოს, სექტემბერში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე ნასვლა მაინც განაღდებული აქვს, რადგან ამ წონაში რეალური კონკურენტი არ ჰყავს.

ჩვენი გუნდები აღნიშნული შეჯიბრებისთვის შეკრების გავლასაც გეგმავდნენ, მაგრამ შეცვალეს და ივლისში გადაიტანეს, მანამდე კი ყველა თავის დარბაზში მოემზადება, პირადი მწვრთნელების მეთვალყურეობით. თუმცა ბერძენ-რომაელთაგან ბევრი ახალგაზრდებს გაჰყვება შეკრებაზე დუშეთში, რომელიც 20 მაისიდან დაიწყება, რითაც ორივე მხარე ისარგებლებს - ახალგაზრდებისთვის უფროსებთან სპარინგები დიდი სკოლა იქნება, ეროვნულის კანდიდატები კი საშეკრებო რეჟიმში ივარჯიშებენ.

დასასრულ ერთი ცნობაც ირანიდან: მაზანდარანის პროვინციაში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი, თუმცა მასში ძირითადად ირანის პროვინციათა გუნდები გამოდიოდნენ, უცხოელებიდან კი მხოლოდ ჩვენები ყოფილან ჩასული საკმაოდ სოლიდური გუნდითაც, მაგრამ მხოლოდ ერთი მედალი მოიპოვეს - მძიმე წონაში **გიორგი საკანდელიძე** მესამეზე გავიდა.

ირაკლი თავაძე

● წერილი ლელოს

პატივცემულო რედაქტორო!

სრულიად შემთხვევით, ჩემს არქივში აღმოვაჩინე 1980 წლის საბჭოთა საბუთი. ეს არის მაშინდელი საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის მთავარი სამმართველოს უფროსის ა.ნ. დიმიტრუკის დასკვნა, რომელიც ეხება საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნამუშევარს - სრულმეტრაჟიან სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმს „სტადიონს".

აი, მისი ტექსტი:

„სამწუხაროდ, ავტორ-რეჟისორის ა. ჟღენტის „სტადიონი", რომელიც მოგვითხრობს სტადიონის როლზე ადამიანის ცხოვრებაში, არ გამოირჩევა ორიგინალური სარეჟისორო გადაწყვეტით, კომპოზიციური ნყობის სიზუსტით, სტილის ერთობლიობით. ფილმი გამოვიდა დუნე, გაჭიანურებული, გრძელი.

ფილმი „სტადიონი" განეკუთვნა მხოლოდ რესპუბლიკური ჩვენებისთვის - შემოქმედებითი მიზეზების გამო.

მთავარი სამმართველოს უფროსი დიმიტრუკი ა.ნ.

28. X. 1980. მოსკოვი"

გავიდა 23 წელი. მილანის სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც მსოფლიოში სპორტული ფილმების ყველაზე პრესტიჟული ფესტივალია, საქართველოს სპორტული ფილმების ფედერაციამ წარადგინა ალექსანდრე ჟღენტის „სტადიონი". ათასამდე ფილმიდან, საკონკურსოდ შეირჩა - 120. მთავარი ჯილდო დაწესებული იყო 7 ნომინაციაში, მაგრამ ფესტივალს აქვს ერთი განსაკუთრებული ნომინაცია - მთავარი სპონსორი აწესებს პრიზთა პრიზს. 2003 წლის მილანის XXI სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალის მთავარი სპონსორი იყო მსოფლიოში განთქმული საათების ფირმა „ებერჰარდი".

ამონაწერი სპორტული კინოსა და ტელევიზიის საერთაშორისო ფედერაციის (108 წევრი ქვეყანა) ოფიციალური ოქმიდან:

„სპორტული კინოსა და ტელევიზიის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჩატარებული მილანის XXI სპორტული კინოსა და ტელევიზიის საერთაშორისო ფესტივალის ჟიურიმ „ებერჰარდის" პრიზი მიაკუთვნა ქართულ ფილმს „სტადიონის" - ყველა ნომინაციაში საუკეთესო ფილმისათვის".

ვფიქრობ, ეს წერილი დააინტერესებს ქართული სპორტული კინოს მოყვარულებს.

პატივისცემით,
იოსებ ჩახნაშვილი,
კინოდრამატურგი

● სუმო. ნაცუ ბაშო. 8-22 მაისი



ქართულ-ბრაზილიური დუელი

ბრაზილიელი დამარცხებულია

ტოკიოში ზაფხულის ბაშოს ორი მესამედი გაილია და პირდაპირ გასაოცარი ამბავია - ჩემპიონის ტიტულისთვის ქართველი სუმოისტი იბრძვის: 23 წლის მე-6 მაეგაშირა **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** 9-1 ბალანსი აქვს. მან ბაშოს დიდი ნაწილი ისე განვლო, რომ მხოლოდ ოს სუმოისტ **არანთან** დამარცხდა. სუპერტურნირის დასრულებამდე ხუთი დღე რჩება, ყველაფერი შეიძლება მოხდეს ამ ხუთ დღეში, თანდათან ჩვენებურის მეტოქეთა რანგი გაიზრდება, შესაბამისად, მასაც გაუჭირდება, მაგრამ ფაქტი სასიხარულოა - დღეისათვის, ტოჩინოშინს მხოლოდ დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** სჯობს.

გუშინ ძალზე მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა გაიმართა, ლევანი პროფესიულ დოჰიოზე პირველად (მოყვარულებში უჭიდავიათ) გადაეყარა ბრაზილიელ დებიუტანტ **კაისეის**, რომელსაც აქამდე 9-0 ბალანსი ჰქონდა. ელიტაში ასეთი სტარტი თანამედროვე სუმოში არავის ჰქონია. ასე რომ, ქართულ-ბრაზილიური დუელი ერთობ საინტერესო გახლდათ - ტოჩინოშინმა ცაციათი მეტოქის მავაში იგდო ხელთ, კაისეი თიხნარიდან „აგლიჯა" და შემდეგ მიწოლით გაიყვანა რკალიდან.

მართალია, ტოჩინოშინის დღევანდელი მეტოქე **ტოიოჰიბიკი** მხოლოდ მე-12 მაეგაშირაა, მაგრამ ის სუმოს სამყაროში გამორჩეული რიკიშია, თან 170 კილოგრამს ინნის და ასე იოლად ძვრას ვერ უზამ - ლევანსაც უარყოფითი ბალანსი აქვს მასთან - 2:4, თუმცა ბოლო ორი დუელი ქართველმა მოიგო.

მაკუუჩის დივიზიონის მე-14 ნომერ **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)** კი ერთობ უჭირს ზაფხულის ბაშოზე. გუშინ მან **ტოსაიუტაკასთან** დათმო და 4-6 ბალანსი გაუხდა. ყველაზე მძიმე სუმოისტის დღევანდელი მეტოქე 36 წლის მონღოლი **კიოკუტენჰოა**, რომლისთვისაც გაგამარუს ჯერ არ მოუგია - 0:2.

კოკაიმ (ლევან ცაგურია) დროებით უმაღლეს დივიზიონში იჭიდავა და „რობოტ პოლიციელ" **ტაკამისაკარისთან** დათმო. ახლა „შავ ზღვას" 3-7 ბალანსი აქვს და დღეს **მასურაუმის** შეხვდება.

ნაცუ ბაშოს ერთპიროვნული ლიდერი ჰაკუჰო გუშინ ჩვენებურმა გახადა (მას შემდეგ, რაც აქამდე დაუმარცხებელ კაისეის მოუგო) - დიდმა მონღოლმა ზედიზედ მე-10 გამარჯვება იზეიმა, ამჯერად მან სეკივაკე **კისენოსატო** დაამარცხა. 9-9 მოგება სწორედ ტოჩინოშინს და კაისეის აქვთ. დადებითი ბალანსი ამ ტრიოს გარდა ოძეკი **ბარუტოს** და სეკივაკე **კოტოშოგიკუს** აქვთ დაბევებული.

X დღე

მაკუუჩი: ჰაკუჰო-კისენოსატო (ოშიდაში), ტაკეკაძე-კაიო (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-ბარუტო (სუსოჰარაი), არანი-კოტოოშუ (ჰატაკიკომი), კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი (ოშიდაში), გოეიდო-ტოიოინოშიმა (ოშიდაში), კაკურიუ-ჰომაშო (ჰატაკიკომი), ამინიშიკი-ტამავაში (ჰატაკიკომი), ოკინოუში-კიტატაიკი (ოშიდაში), ვაკანოსატო-შოტენრო (ოკურიდაში), **ტოჩინოშინი**-კაისეი (იორიკირი), ტოკიტენკუ-იოშიკაძე (ჰატაკიკომი), ვაკაკიიუ-კიოკუტენჰო (ჰატაკიკომი), ასასეკირიუ-ტოჩინონადა (იორიკირი), ტოსაიუტაკა-**გაგამარუ** (იორიკირი), მიაბიმა-ტოჩინოვაკა (ჰიკიოტოში), კიმურაიამა-ტოიოჰიბიკი (ოშიდაში), ტაკამისაკარი-**კოკაი** (ჰიკიოტოში).

საუურნირო მდგომარეობა

10-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა).
9-1: ტოჩინოშინი (მაეგაშირა 6), კაისეი (მ 16).
8-2: ბარუტო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე).
... 4-6: გაგამარუ (მ 14).

XI დღე

მნიშვნელოვანი ბრძოლები - მაკუუჩი: ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, ბარუტო-ოკინოუმი, კაიო-ჰარუმაფუჯი, არანი-კოტოოშუ, კაკურიუ-ტოჩიოძანი, ტოიონოშიმა-კიტატაიკი, გოეიდო-ჰომაშო, ამინიშიკი-არანი, ტაკეკაძე-ტამავაში, ვაკანოსატო-ტოსაიუტაკა, **ტოჩინოშინი**-ტოიოჰიბიკი, იოშიკაძე-კაისეი, კიოკუტენჰო-**გაგამარუ**; **ძურაო**: **კოკაი**-მასურაუმი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ NBA-ᲨᲘ. ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ

ᲧᲝᲤᲜᲐ-ᲐᲠᲧᲝᲤᲜᲐ... ᲧᲝᲤᲜᲐ, ᲖᲐᲖᲐ!

ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲓᲐ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ

2006-07 წლების სეზონში **ზაზა ფაჩულია** „ატლანტას“ მაისურით საშუალოდ 12.2 ქულასა და 6.9 მოხსნას აგროვებდა. 2010-11 წლების სეზონში - საშუალოდ 4.4 ქულასა და 4.2 მოხსნას. მონაგარში ასეთი განსხვავების მიუხედავად წლევანდელი (2010-11) სეზონი ზაზას კარიერაში შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე 2006-07 წლებისა. პარადოქსია? არა, ბატონო. ზაზამ ყველაზე უკეთ NBA-ს პლეი ოფი სწორედ წლეულს ჩაატარა, 2008 წლამდე კი მისი გუნდი რეგულარული ეტაპის აუტსაიდერი იყო.

- პლეი ოფი რეგულარული ჩემპიონატისგან რადიკალურად განსხვავდება, მატულობს ინტენსიურობა, დაძაბულობა და ერთმა შეცდომამ შეიძლება მთელი წლის ნამუშევარი წყალში ჩაგიყაროს. ამიტომაც ვცდილობ საპლეიოფო მატჩებისთვის მაქსიმალურად კონცენტრირებული ვიყო, - ამბობს ფაჩულია.

■ ■ ■

ქართველი ცენტრი წლევანდელ პლეი ოფსაც სათანადოდ მომზადებული შეხვდა, მით უმეტეს, რომ „ატლანტას“ მეტოქე იყო „ორლანდო“, რომლის კოზირი მეფარე **დუაით ჰოვარდია**.

- ფაჩულიამ და კოლინ ზმა ჰოვარდის წინააღმდეგ ღირსეულად ითამაშეს, ორლანდოელს თავისუფლად თამაშის საშუალება არ მისცეს. „მეჯიქის“ ძლევის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ ფაჩულიასა და კოლინ ზის დაცვითი თამაში იყო, - ასეთი ანალიზი გააკეთა „ჰოქსის“ მთავარმა მწვრთნელმა **ლარი დრიუმ**.

იყო კიდევ ერთი ფაქტორი - პერიმეტრი: ატლანტელმა უკანახაზელებმა „ორლანდოს“ კალათი შორი მანძილიდან გვარიანად დაცხრილეს.

პლეი ოფის მომდევნო ეტაპზე „ჰოქსის“ მეტოქე „ჩიკაგო“ იყო, რომლის პლუსი ძლიერი უკანა ხაზია (**დერეკ როუზი**). სერიის სამ მატჩში ჯორჯიელებმა თითო სამქულიანი ჩააგდეს, რაც კატასტროფული შედეგია. ამის ფონზე მწვრთნელმა გადაწყვიტა უპირატესობა ფარქვეშიდან მოეპოვებინა, სერიის ბოლო სამ შეხვედრაში ფაჩულიასაც საკმარისი დრო მისცა, მაგრამ როუზის წინააღმდეგ მაინც ვერას გახდა.

ნლევანდელ პლეი ოფში იყო ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი: ფაჩულიამ თავი ჩაარტყა ორლანდოელ **ჯეისონ რიჩარდსონს**. თითქმის უწყინარ სიტუაციაში ქართველისკენ სწორედ ამერიკელმა გაიწია, ზაზამ არ მოუთმინა და... მოჩხუბრებს დისკვალიფიკაციის გამო ერთი თამაშის გამოტოვებამ მოუწიათ.

- პლეი ოფში ემოციები პიკს აღწევს. ამიტომ ძნელია ზოგიერთ ეპიზოდში თავის შეკავება. შეიძლება, რიჩარდსონის გამოწვევა უყურადღებოდ დამეტოვებინა, მაგრამ ეს ჩემს ხასიათში არ ზის - უკან არასოდეს დავიხევ, - ასეთი კომენტარი გააკეთა ფაჩულიამ.

■ ■ ■

რა იყო პლეი ოფამდე? არათანაბარი სეზონი. ოღონდ ამაში ბრალი ლარი დრიუს მიუძღოდა: მწვრთნელი სეზონის დასაწყისში ქართველს ბოლომდე ენდობოდა, დეკემბერში სათამაშო დრო 8-10 წუთამდე შეუმცირა, ხოლო იანვარში 15 წუთამდე გაუზარდა... გადამწყვეტი აღმოჩნდა თებერვალი: მწვრთნელის უნდობლობით უკმაყოფილო ფაჩულიამ „ატლანტას“ ხელმძღვანელობას გუნდიდან გაშვება სთხოვა. მისი გადაბირებით „ჰიუსტონი“ იყო დაინტერესებული, მოლაპარაკებებიც დაიწყო, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ვერ მოესწრო და ზაზაც „ჰოქსში“ დარჩა. მაშინ ველოდით, რომ მწვრთნელი ჩვენიანს დროს კიდევ უფრო შეუზღუდავდა, მაგრამ საპირისპირო მოხდა.

მარტის დასაწყისში იყო ერთი მომენტი, რამაც მწვრთნელ-კალათბურთელის ურთიერთობაში ბევრი რამ შეცვალა: „ჩიკაგოსთან“ მატჩის მეოთხე პერიოდში, როცა „ატლანტა“ 25 ქულის სხვაობით აგებდა, ზაზამ შორი დისტანციიდან ორქულიანი ისროლა და ააცილა. ლარი დრიუმ ქართველი მაშინვე შეცვალა. ამით უკმაყოფილო ზაზა მწვრთნელის მისამართით უკმაყოფილების გამოხატვას არ მოერიდა. ამას მოჰყვა დრიუსა და ფაჩულიას სერიოზული ლაპარაკი, რომლის შემდეგ მწვრთნელმა თქვა:

- არავის აქვს გუნდის საწინააღმდეგოდ მოქმედების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სხვაობით ვაგებდით, ნაჩქარევად ტყორცნა მაინც დაუშვებელი იყო.

თუმცა, საბოლოოდ ფაჩულიასა და დრიუს ლაპარაკს დადებითი შედეგი მოჰყვა - ქართველ ცენტრს სათამაშო დრო გაეზარდა და მისმა ნაყოფიერებამაც იმატა. მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში ფაჩულიამ სამი „დაბლ-დაბლი“ შეასრულა.

სეზონის საუკეთესო მატჩიც 1 აპრილს ჰქონდა. აღმოსავლეთის კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერი „ბოსტონი“ „ატლანტასთან“ მესამე პერიოდის ბოლომდე დამაჯერებლად თამაშობდა, თუმცა მოედანზე ფაჩულიას დაბრუნების შემდეგ „ატლანტამ“ ფარქვეშ თამაში გამოასწორა და მატჩი 88:83 მოიგო. ზაზამ 15 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. „ბოსტონის“ თავკაცმა **დოკ რივერსმა** აღნიშნა:

- ზაზა ფაჩულიამ მესამე პერიოდში მოედანზე გამოსვლის შემდეგ თამაშის ხასიათი რადიკალურად შეცვალა. მისი შეჩერება ვერ მოვახერხეთ და „ატლანტას“ გამარჯვების მთავარი ფაქტორიც ის იყო.

■ ■ ■

ზაზამ კონტრაქტის მიხედვით „ატლანტაში“ კიდევ ორი სეზონი უნდა ითამაშოს. დღეს ძნელი სათქმელია, დარჩება თუ არა იგი გუნდში ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე. თუმცა ეს მომავლის საქმეა, ახლა მთავარია მან სათანადოდ დაისვენოს, რათა 24 ივლისს დაგეგმილ საქართველოს ნაკრების შეკრებას ახალი ენერგიით შეხვდეს.

რეკორდები

	2010-11	კარიერა
ქულა	19 VS. დენვერი 16/03/11	27 VS. ვაშინგტონი 07/03/07
თამაშიდან რეალიზება	8 VS. დენვერი 16/03/11	11 VS. საკრამენტო 19/03/07
თამაშიდან ტყორც. მცდ.	9 VS. დენვერი 16/03/11	17 3-ჯერ
რეალიზ. სავჯარიმოები	9 VS. დეტროიტი 20/03/11	12 VS. ტორონტო 03/01/06
სავჯარიმოების ტყორცნა	10 VS. დეტროიტი 20/03/11	14 VS. ტორონტო 03/01/06
შეტევითი მოხსნები	6 2-ჯერ	12 VS. ორლანდო 19/03/06
დაცვითი მოხსნები	7 4-ჯერ	11 2-ჯერ
მოხსნები	13 VS. ჩიკაგო 12/05/11	18 2-ჯერ
პასები	3 3ჯერ	6 4-ჯერ
ჩაჭრები	3 VS. სან ანტონიო 05/04/11	4 3-ჯერ
დაფარებები	2 3-ჯერ	3 4-ჯერ
წუთები	33 VS. დენვერი 16/03/11	50 VS. ნიუ იორკი 15/03/06

კარიერა

წელი	გუნდი	თ	სასტ.	წთ	თამ. ტყორ.	3-ქულ.	საჯ.	მ. შეტ.	მ.დაც	მ	პ	ჩ	დ	შ	ფ	ქ
03-04	ორლანდო	59	2	11.3	0.389	0.0	0.644	1.2	1.8	2.9	0.2	0.4	0.2	0.58	1.47	3.3
04-05	ვილუოკი	74	4	18.9	0.452	0.0	0.746	1.8	3.3	5.1	0.8	0.6	0.5	0.95	2.24	6.2
05-06	ატლანტა	78	78	31.4	0.451	0.0	0.735	3.4	4.5	7.9	1.7	1.1	0.5	2.31	3.67	11.7
06-07	ატლანტა	72	47	28.1	0.474	0.0	0.786	2.8	4.2	6.9	1.5	1.1	0.5	2.25	3.71	12.2
07-08	ატლანტა	62	5	15.2	0.437	0.0	0.706	1.4	2.6	4.0	0.6	0.4	0.2	1.11	2.26	5.2
08-09	ატლანტა	77	26	19.1	0.497	0.0	0.709	2.2	3.4	5.7	0.7	0.4	0.3	1.18	2.70	6.2
09-10	ატლანტა	78	1	14.0	0.488	0.0	0.650	1.5	2.3	3.8	0.5	0.5	0.4	0.74	2.38	4.3
10-11	ატლანტა	79	7	15.7	0.461	0.0	0.754	1.5	2.7	4.2	0.7	0.4	0.3	0.87	2.33	4.4
სულ	-	579	170	19.5	0.460	0.000	0.731	2.0	3.1	5.1	0.9	0.6	0.4	1.27	2.63	6.8

საპლეიოფო კარიერა

წელი	გუნდი	თ	სასტ.	წთ	თამ. ტყორ.	3-ქულ.	საჯ.	მ. შეტ.	მ.დაც	მ	პ	ჩ	დ	შ	ფ	ქ
07-08	ატლანტა	7	0	15.0	0.280	0.0	0.714	1.3	1.6	2.9	0.3	0.3	0.0	1.29	3.14	4.1
08-09	ატლანტა	11	1	23.6	0.415	0.0	0.762	2.5	4.4	6.9	0.3	0.4	0.3	1.27	3.64	6.9
09-10	ატლანტა	11	0	14.6	0.514	0.0	0.625	1.7	1.7	3.5	0.3	0.2	0.6	0.82	3.09	4.6
10-11	ატლანტა	11	0	17.7	0.478	0.0	0.773	1.5	3.4	4.9	1.2	0.2	0.1	0.82	3.36	3.5
სულ	-	40	1	18.0	0.426	0.000	0.725	1.8	2.9	4.7	0.5	0.3	0.3	1.02	3.32	4.9

2010-11 პლეი ოფი

მეოთხედფინალი

წელი	გუნდი	თ	წთ	თამ. ტყორ.	3-ქულ.	საჯ.	მ. შეტ.	მ.დაც	მ	პ	ჩ	დ	შ	ფ	ქ
12 მაისი	VS. ჩიკაგო	73:93	23	0 - 2	0 - 0	1 - 2	5	8	13	1	1	0	2	4	1
10 მაისი	VS. ჩიკაგო	83:95	23	5 - 6	0 - 0	3 - 4	1	3	4	1	0	0	0	4	13
8 მაისი	VS. ჩიკაგო	100:88	26	1 - 3	0 - 0	3 - 4	2	7	9	2	0	0	1	2	5
6 მაისი	VS. ჩიკაგო	82:99	9	0 - 0	0 - 0	1 - 2	0	1	1	0	0	0	1	4	1
4 მაისი	VS. ჩიკაგო	73:86	8	0 - 1	0 - 0	0 - 0	1	1	2	0	0	0	1	1	0
2 მაისი	VS. ჩიკაგო	103:95	8	2 - 2	0 - 0	2 - 2	2	3	5	1	0	0	1	3	6

ნახევარფინალი

წელი	გუნდი	თ	წთ	თამ. ტყორ.	3-ქულ.	საჯ.	მ. შეტ.	მ.დაც	მ	პ	ჩ	დ	შ	ფ	ქ
28 აპრილი	VS. ორლანდო	84:81	24	0 - 1	0 - 0	1 - 2	1	4	5	2	1	0	1	5	1
26 აპრილი	VS. ორლანდო	76:101	20	1 - 2	0 - 0	2 - 2	0	1	1	2	0	0	1	2	4
22 აპრილი	VS. ორლანდო	88:84	26	1 - 2	0 - 0	2 - 2	1	4	5	3	0	1	0	5	4
19 აპრილი	VS. ორლანდო	82:88	19	1 - 3	0 - 0	0 - 0	3	5	8	1	0	0	0	4	2
16 აპრილი	VS. ორლანდო	103:93	9	0 - 1	0 - 0	2 - 2	1	0	1	0	0	0	1	3	2

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲝ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲛᲐᲜᲣᲛ ᲛᲝᲐᲜᲔᲠᲐ

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲛᲐᲠᲙᲝᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ იტალიურ „კანტუსთან“ კონტრაქტი 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე გაახანგრძლივა. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ამ კლუბში კიდევ ორ სეზონს ითამაშებს.

შეიძლება, გაგიკვირდეთ, რა იყო მიზეზი მაინცდამაინც მაისში (სეზონის მსვლელობისას) ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა. საქმე ისაა, რომ ქართველი უკანახაზელი „კანტუში“ თავს კარგად გრძნობს, მწვრთნელ **ანდრეა ტრინჩიერისთან** შესანიშნავი ურთიერთობა აქვს და გუნდის უფროსობაც სათანადოდ აფასებს. სპორტულ დირექტორ **ბრუნო არიჯონის** დიდი გუნდის მშენებლობა აქვს გადაწყვეტილი, რომლის საფუძვლად მწვრთნელ ტრინჩიერის, **მაარტენ ლეუნენს**, **ვლადიმირ მიკოვსა** და მანუჩარ მარკოიშვილს მიიჩნევს. ვიდრე მანუსთან ხელახალ კონტრაქტს გააფორმებდა დირექტორმა 2013 წლამდე გუნდში დარჩენაზე დაიყოლია მწვრთნელი, მიკოვი და ლეუნენი.

აი, რა წერია იტალიურ გამოცემა „სპორტში“:

„ქართველი მანუჩარ მარკოიშვილი „კანტუში“ 2009 წელს ჩაირიცხა და პირველივე სეზონში გულშემატკივრების დიდი სიყვარული დაიმსახურა. საწყის სეზონში იგი საშუალოდ 12.1 ქულასა და 3.2 მოხსნას აგროვებდა.

მიმდინარე სეზონში მანუმ ფეხის ცერი დაიზიანა, რის გამოც თვეზე მეტი გაუცდა, თუმცა ამის მიუხედავად გუნდისთვის მეტად სასარგებლოა, საშუალოდ 10.8 ქულას აგროვებს.

ქართველთან კონტრაქტის გაგრძელებას გამოეხმაურა „კანტუს“ სპორტული დირექტორი ბრუნო არიჯონი:

- ლეუნენისა და მიკოვის კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაყოლიების შემდეგ ჩვენს მთავარ ამოცანად მარკოიშვილთან ხელახალი ხელშეკრულების გაფორმება იყო. იგი მაღალი კლასის კალათბურთელია, შრომისმოყვარეა, გუნდის ფუნდამენტური ნაწილია.“

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ПРЕСКОНФЕРЕНЦИЯ

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

მსოფლიო ალაფი მთელი საქართველოს პრესტიჟის საქმეა

ერთი კვირაც და თბილისში „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ გათამაშება დაიწყება. ტურნირში, რომელიც 2012 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებაა, რვა გუნდი ითამაშებს. კანადის, აშშ-ს, სამოას, რუსეთის, ზიმბაბვეს, ურუგვაის, იაპონიისა და საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებების დაპირისპირებაში გამარჯვებული ელიტაში თამაშის უფლებას მოიპოვებს. მომავალი ტურნირის შესახებ სასაუბროდ, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ პრესკონფერენცია გამართა.

გიორგი ნიჟარაძე:

„მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფისთვის მოსამზადებელი ძირითადი სამუშაოები დასრულებულია. რაგბის კავშირმა საამისოდ უზარმაზარი შრომა გასწია. ვიცოდით, რომ ასეთი მაღალი რანგის ტურნირის ორგანიზება იოლი არ იქნებოდა, მაგრამ თუ ასეთი ძნელი გამოდგებოდა, ნამდვილად არ გვეგონა.

სათამაშო მოედნების, აღჭურვილობის და სხვა წვრილმანი საკითხების პრობლემები გადაჭრილია. დღეს გამთენიისას ჩემოვა იაპონიის ნაკრები, დანარჩენი გუნდები და ოფიციალური პირები კი 20-21 მაისს გვეწვევიან. კანადისა და აშშ-ს ნაკრებები სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ იცხოვრებენ, რუსეთისა და იაპონიის გუნდები „შერატონ მეტეხი პალასში“ დაბინავდებიან, ურუგვაელ, ზიმბაბველ და სამოელ მორაგბეებს კი სასტუმრო „ჰოლიდეი ინი“ უმასპინძლებს.

თამაშები ძირითადად „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ გაიმართება, რამდენიმე თამაში კი „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ ჩატარდება, სადაც მატჩებზე დასწრება უფასოა. „ავჭალის“ სტადიონზე კი შესვლა აბონიმენტებით იქნება შესაძლებელი, რომლის ფასიც 30 ლარია და მფლობელს ოთხივე სათამაშო დღეს, ყველა მატჩის ნახვის საშუალებას აძლევს.

სამწუხაროდ, ვინაიდან „ავჭალის“ სტადიონი მხოლოდ 2011 მაყურებელს იტევს, აბონიმენტების რაოდენობა შეზღუდულია და ის მატჩებზე დასწრების მსურველებმა დროულად უნდა შეიძინონ.

„მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფი“ ისეთი დონის შეჯიბრებაა, როგორიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არასდროს გამართულა. ეს არის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც საკმაოდ მაღალი დონის გუნდები ასპარეზობენ. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის უზადოდ ჩავატაროთ.

საქართველოში ჩამოდის სხვადასხვა კონტინენტის, კულტურისა და მენტალიტეტის ქვეყანათა ნაკრებები, რომელთაც უმრავლესობას საქართველოზე არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია. მათ ყველა ნაბიჯზე უნდა დავანახოთ ჩვენი კეთილგანწყობა. თუ შევძელით და ტურნირმა კარგი შეფასება მიიღო, მომავალში უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებების გამართვის უფლებას მოგვცემენ. მათ შორის, შესაძლოა, საქართველოში 2013 წლის ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატიც ჩავატაროთ.

ძალიან მაწუხებს ის ამბავი, რომ იმ დროისთვის, როცა ტურნირი დაიწყება, დაგეგმილია საპროტესტო აქციები, რასაც ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა მოჰყვება. ეს სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნის. ეს შეჯიბრება კი მარტო რაგბის კავშირის საზრუნავი არ არის, ეს მთელი საქართველოს პრესტიჟის საქმეა, ამიტომ მივმართავ პოზიციასაც და ოპოზიციასაც, მემარჯვენეებსაც და მემარცხენეებსაც, ყველანაირად ეცადონ მათმა ქმედებებმა სტუმრებს დისკომფორტი არ შეუქმნას.

ტურნირში მოასპარეზე გუნდების ავტობუსებზე დამაგრებული იქნება სპეციალური სტიკერები. როცა მათ რაიმე შეფერხება შეექმნებათ, გთხოვთ, ყველამ აღმოუჩინოთ დახმარება.

პირველ ივნისს თბილისში მეორედ გვეწვევა IRB-ს პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე, რომელიც ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურის შეხვედრებს დაესწრება. ის სპეციალურად ჩამოდის იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დაადასტუროს რაგბის საერთაშორისო საბჭოს პატივისცემა ქართული რაგბის მიმართ. ორი დღის შემდეგ კი IRB-ს განვითარების მენეჯერი, ქართული რაგბის ქომაგი და ლობისტი მარკ იგანი გვეწვევა.

რუსეთის ნაკრებს რაც შეიძლება კარგად უნდა ვუმასპინძლოთ. ქართულ და რუსულ რაგბის თემებს შორის შესანიშნავი ურთიერთობაა. საქართველოში ჩამოდიან 18-19 წლის რუსი ბიჭები, რომლებმაც საქართველოზე არაფერი იციან, იმ ნეგატიურის გარდა, რასაც რუსული მედია ანვდის. რა უფრო ჯობია, ვანახოთ ის, რასაც რუსეთის ხელისუფლების პროპაგანდა ეწევა თუ პირიქით, ვაჩვენოთ ჩვენი სტუმართმოყვარეობა, კულტურა.

განა უკეთესი არ არის, საქართველოდან რუსეთში დაბრუნდეს ჩვენი ქვეყნის 30 მეგობარი, რომლებიც თავიანთ ოჯახებში, მეგობრებში მიიტანენ ჩვენ შესახებ დადებით ინფორმაციას. ვფიქრობ, რუსები და იაპონელები განსაკუთრებული სითბოთი უნდა მივიღოთ. იაპონელებს, ამ მართლაც უდიდეს ერს, უნდა დავანახოთ, რომ დიდად ვნუხართ იმ უბედურების გამო, რაც მათ თავს დაატყდათ.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს. ასეთი პირობები, როგორიც მათ აქვთ შექმნილი, ჩვენი ქვეყნის არც ერთ ასაკობრივ ნაკრებს არასდროს ჰქონია. გუნდი სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ ცხოვრობს. სამწუხაროდ, ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაგვაკლდა. რამდენიმეს მიკრო ტრავმა ანუხებს და იმედია შეჯიბრების დაწყებამდე გამოჯანმრთელდებიან.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ის გუნდები, რომლებიც ამ ტურნირში იასპარეზებენ, თვისობრივად განსხვავდებიან იმ გუნდებისგან (რუმინეთი, ესპანეთი, პორტუგალია და ასე შემდეგ), რომელთაც აქამდე ვეთამაშებოდით. ისინი ერთი თავით მაღლა დგანან მათზე.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი მეტოქეების შემადგენლობაში, რამდენიმე ისთი მოთამაშე იქნება, ვისაც ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე, თავისი ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვის პრეტენზია აქვს. ამიტომ ყველა გუნდი ბოლომდე, თავდადებით იბრძოლებს და დარწმუნებული ვარ, თითოეული გუნდიდან მინიმუმ ორი მოთამაშე შეძლებს ეროვნული ნაკრებიდან მიწვევა მიიღოს.

ტურნირზე ბევრი თავისუფალი დრო გუნდებს არ ექნებათ. თუმცა, ჩვენ მაინც შევთავაზებთ კახეთის, მცხეთის და თბილისის ღირშესანიშნაობების დათვალიერებას. თუ მოისურვებენ, ყველაფერს ვიღონებთ, რომ კმაყოფილნი დარჩნენ. ტურნირის დასრულების შემდეგ კი ერთი დიდი ბანკეტი გაიმართება, სადაც პატარა კონცერტს მოვაწყობთ, რაც ჩვენს სტუმრებს საშუალებას მისცემს ქართულ კულტურაზე წარმოდგენა შეექმნათ.

სტადიონზე თამაშების მსვლელობისას, მაყურებლებისთვის ყველა პირობა იქნება შექმნილი. გაიხსნება კვების ბლოკი, გაიყიდება სუვენირები. ერთი სიტყვით, ვეცდებით ერთი დიდი სარაგბო ზეიმი მოვაწყოთ, რომელშიც ყველა, ორგანიზატორებიც, მორაგბეებიც და მაყურებლებიც, ერთად მივიღებთ მონაწილეობას“

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **ლევან ჩილაჩავა (ტულონი), ზაზა ნავროზაშვილი (არმია), ზურაბ ერისთავი, ზურა ჟვანია, მერაბ მატკავა (სამივე-აია), ირაკლი ჩომახაშვილი (არმაზი).**

მეორე ხაზი: **ხვიჩა ბუჯიაშვილი (ლოკომოტივი), კოტე მიქაუტაძე (ტულონი), გიორგი ჟღენტი (არმია).**

მესამე ხაზი: **ბექა ბიწაძე (არმია), გიორგი ტყეშელიაძე (ყოჩები), გიგა თხილაიშვილი (ბათუმი XV), ლევან თხელიძე (ლელო).**

№9: **ჯიმი ღამბაშიძე (ლელო), გიორგი მისრიაშვილი (არმაზი).**

№10: **გოდერძი ჭინჭარაული (ლელო), ლუკა კვარაცხელია (ყოჩები).**

№12-13: **გიგა გაგოშვილი (ლოკომოტივი), დავით ლოსაბერიძე (ბონი), გიორგი მარგიანი (აკადემია)**

№11-14: **გიორგი აბრამიძე (აია), ვანო გაბროშვილი (არმახზი), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია)**

№15: **ზურა ძნელაძე (აია), ბახვა კობახიძე (არმია), უჩა მჭედლიშვილი (ლელო).**

მსოფლიო ალაფი

A ჯგუფი: სამოა, რუსეთი, ურუგვაი, აშშ

B ჯგუფი: იაპონია, საქართველო, კანადა, ზიმბაბვე

24 მაისი

იაპონია-ზიმბაბვე, სამოა-აშშ, რუსეთი-ურუგვაი, საქართველო-კანადა

28 მაისი

სამოა-ურუგვაი, იაპონია-კანადა, რუსეთი-აშშ, საქართველო-ზიმბაბვე

1 ივნისი

კანადა-ზიმბაბვე, ურუგვაი-აშშ, სამოა-რუსეთი, საქართველო-იაპონია

5 ივნისი

ფინალი

ამბები ეროვნული ნაკრებიდან

ახალი ზელანდიის ფიჯის ემბარგოს არ უსნინს

ახალი ზელანდიის მთავრობა ფიჯის მოქალაქეებზე დაწესებული ემბარგოს უგულვებელყოფას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ 2006 წელს ფიჯიში სამხედრო გადატრიალება მოხდა, რის შემდეგაც ახალი ზელანდია ფიჯის მოქალაქეებს ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად აღარ უშვებს.

პოლკოვნიკმა **მოსეზე ტიკიოტოგიმ**, რომელიც ფიჯის რაგბის კავშირის ხელმძღვანელია, კითხვით მიმართა ახალი ზელანდიის ხელისუფლებას, თუნდაც მსოფლიოს თასის მსვლელობის დროს მოიხსნება თუ არა ემბარგო, რაზეც ახალზელანდიელთა საგარეო საქმეთა მინისტრმა **მურეი მაკლინმა** გაბრაზებით უპასუხა:

„გაოცებული ვარ, რატომ ფიქრობენ ისინი, რომ ვალდებულნი ვართ უფრო ნათლად განვმარტოთ, ვიდრე უკვე ვთქვით. თუ თქვენ ფიჯის შეიარაღებულ ძალებში მსახურობთ, ქვეყანაში არ შემოგიშვებთ. თუ თქვენ ემსახურებით ფიჯის ხელისუფლებას, უფლება არ გაქვთ ახალ ზელანდიაში შემოხვიდეთ, რა არის აქ გაუგებარი?“

ძნელი სათქმელია, ფიჯის ნაკრების რამდენ მოთამაშეს შეეხება ეს აკრძალვა. ტიკიოტოგამ თქვა, რომ სამართალს რაგბის საერთაშორისო საბჭოში მოძებნის.

„ჩვენ აუცილებლად მივმართავთ დახმარებისთვის IRB-ს. მათ ალბათ ჰქონდათ უკვე საუბარი ამ თემაზე ჩვენს ახალზელანდიელ კოლეგებთან. თუ ეს ასეა, ძალზედ სამწუხაროა. მაგრამ ჩვენ მაინც რაგბის საერთაშორისო საბჭოს ბოლო სიტყვას დაველოდებით. ვეცდებით, მსოფლიოს თასის გათამაშებაზე, ფიჯის ყველა უძლიერესი მორაგბე გავაგ ზავნოთ.“

მოსეზე ტიკიოტოგი

აურზაური არაფრის გამო

2019 წელს მსოფლიოს თასის გათამაშების მასპინძელი იაპონიაა. რაგბის საერთაშორისო საბჭომ ეს უფლება მას შარშან მიანიჭა. იაპონელებმა მაშინ რამდენიმე თამაშის გამართვა ჰონ კონგსა და სინგაპურს დაუთმეს.

ახლახან, იაპონიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელმა **იოსირო მორიმ** თქვა, რომ:

„ჰონ კონგმა და სინგაპურმა უარი თქვეს მატჩების გამართვაზე. ამიტომ იაპონია ტურნირს დამოუკიდებლად ჩაატარებს“.

მაგრამ, ორივე ქალაქის წარმომადგენლებმა უარყვეს მორის მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

„ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ მსოფლიოს თასის მატჩების გამართვაზე უარს ვამბობთ. ეს, უბრალოდ, გაუგებრობაა. უფრო მეტიც, რამდენიმე ფანატიკოსი რეპორტიორის თვითშემოქმედებას ჰგავს. ან უბრალოდ მათ ვერ გაიგეს და ჩვენი სიტყვები არასწორად თარგმნეს. ასე რომ, ჩვენ ისევ საქმეში ვართ და მსოფლიოს თასის თამაშებს აუცილებლად ვუმასპინძლებთ“ - თქვა სინგაპურის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ტეო პინგმა.**

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

იოსირო მორი

msy.gov.ge

● კალათბურთი



ჯეისონ კიდი

კიდი წასვლას არ აპირებს

სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს „დალას მავერიქსის“ გულშემატკივრებმა. ამ გუნდის 38 წლის გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** განაცხადა, რომ არ აპირებს კარიერის დასრულებას. ვეტერანი კალათბურთელის თქმით, მას ჯერ კიდევ აქვს დარჩენილი საკმარისი ენერგია იმისთვის, რომ მოედანზე გავიდეს და გუნდს სარგებლობა მოუტანოს.

„წასვლას არ ვაპირებ, - განაცხადა Yahoo! Sports-თან კომენტარში კიდმა. - *„დალასთან“ მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და ვაპირებ ის ბოლომდე გამოვიმუშაო. სანამ ძალა მექნება, მოედანზე გავალ და ჩემს საყვარელ საქმეს გავაკეთებ“.*

წლევანდელ რეგულარულში კიდმა 80 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 7.9 ქულა დააგროვა. „დალასი“ ამჟამად დასავლეთი კონფერენციის ფინალშია გასული. „ოკლაჰომასთან“ სერიის პირველი მატჩი გუშინ უნდა გამართულიყო.

● ქრივი

ანტონიოს კარიერა საფრთხეშია

ცნობილი მექსიკელი მოკრივის **ანტონიო მარგარიტოს** კარიერა, შესაძლოა, ნაადრევად დასრულდეს. ამის მიზეზი ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** ბრძოლაში მიღებული ტრავმა გახლავთ.

შესაბამისად, საფრთხის ქვეშ დადგა ივლისში საშუალო წონაში საჩემპიონო ბრძოლის ჩატარება. მასში ერთმანეთს უნდა შეხვედროდენ WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **მიგელ კოტო** და მარგარიტო. პაკიაოსთან ბრძოლაში მექსიკელმა სახის ძვლის მოტეხილობა მიიღო, მაგრამ უფრო სავალალო აღმოჩნდა თვალის დაზიანება. სწორედ ამ ტრავმის გამო ურჩევენ ექიმები ანტონიოს კარიერის დასრულებას.

თუ ივნისში მარგარიტოსთან ჩხუბი ჩაიშალა, კოტოსთვის ახალ მეტოქედ, სავარაუდოდ, **ხულიო სეზარ ჩავესს** გამოაცხადებენ. თავის მხრივ, ჩავესს 4 ივნისს ლოს ანჯელესში უწევს შეხვედრა საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონ **სებასტიან ზბიკთან**. იმ შემთხვევაში, თუ ჩავესი ტიტულს ჩამოართმევს გერმანელს, მეოთხე წონით კატეგორიაში გახდება ჩემპიონი.

● ჩოგბურთი

როლან გაროსი ანას გარეშე?

სერბი ჩოგბურთელი **ანა ივანოვიჩი** მარცხენა მაჯის ტრავმის გამო მოიხსნა სტრასბურის ტურნირიდან. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა იმედი გამოთქვა, რომ მოასწრებს როლან გაროსისთვის გამოჯანმრთელებას, რომელიც 22 მაისს პარიზში დაიწყება.

„ხელში ტკივილს ახლაც ვგრძნობ, - თქვა ივანოვიჩმა. - *ექიმები ამბობენ, რომ რამდენიმე დღე უარი უნდა ვთქვა დატვირთვებზე. იმედი მაქვს, მოვასწრებ საფრანგეთის ღია პირველობისთვის მწყობრში ჩადგომას“.*

...

უკვე ცნობილია, რომ როლან გაროსის კორტებზე ვერ ვიხილავთ ჩილელ **ფერნანდო გონსალესს**. ეს ჩოგბურთელი ახლახან დაბრუნდა დიდ სპორტში ბრძაყზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ, ამჯერად კი მუხლი დაიზიანა და მინიმუმ სამი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

„სამწუხარო ამბავია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მალე დავუბრუნდე კორტს“, - განაცხადა მსოფლიოს ყოფილმა მეოთხე ჩოგანმა.

● მძლეოსნობა

ბოლტი მზადაა

პლანეტის უსწრაფესი ადამიანის, იამაიკელი სპრინტერის **უსაინ ბოლტის** განცხადებით, მან სრულად მოირჩინა შარშანდელი ტრავმა და მზად არის ახალი სეზონის დასაწყებად.

უსაინ ბოლტი

„სრულად გამოვჯანმრთელდი და შემიძლია სარბენ ბილიკზე გასვლა. სრულ წესრიგში ვარ და საერთოდ არაფერი მაწუხებს. ბევრ ადამიანს აქვს სკოლიოზი და ამას დიდ ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ სპორტსმენისთვის ეს სერიოზული დაავადებაა. ჩემი პირველი გამოსვლა რამდენიმე კვირაშია დაგეგმილი. ერთი სული მაქვს, როდის შევიღებ მონაწილეობას რომის ტურნირში“, - განაცხადა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

შეგახსენებთ, რომ ზურგის ტრავმის გამო იამაიკელმა ნაადრევად დაასრულა შარშანდელი სეზონი და აგვისტოს შემდეგ ოფიციალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია.

● კალათბურთი

სეზონი არ იქნება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება მოლაპარაკებები ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციასა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის. როგორც იცით, დავის საგანი ახალი კოლექტიური ხელშეკრულებაა და თუ მხარეებმა დროულად ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, ლიგაში ლოკაუტი გამოცხადდება, რაც 2011-12 წლების სეზონის ჩაშლას ნიშნავს

ბოლო ინფორმაციის თანახმად, ასოციაციის კლუბების მფლობელები 45 მილიონ დოლარამდე აპირებენ სახელფასო ბიუჯეტის შემცირებას. მაშინვე ამ წინადადებას უპასუხა პროფკავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ბილი ჰანტერმა** - მისი თქმით, კალათბურთელები არაფრის დიდებით ხელს არ მოაწერენ ახალ ხელშეკრულებას, თუ მასში ეს თანხა იქნება ჩაწერილი.

სხვა პასუხს მათგან არც ელოდნენ, რადგან დღეს სახელფასო ლიმიტის მაქსიმალური ზღვარი 58 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლუბების მფლობელები დაახლოებით 25 პროცენტით აპირებენ მის შემცირებას.

პროფკავშირების შეფმა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მცველმა **დერეკ ფიშერმა** უკვე განაცხადა, რომ მის ორგანიზაციაში არც კი აპირებენ ამ წინადადების განხილვას.

როგორც ჩანს, ამ ცნობების თანახმად NBA გაფიცვას ვერ გადაურჩება...

ესპანეთმა სან ემეტერიო აირჩია

ესპანეთის ჩემპიონატის რეგულარული სეზონი დასრულდა და ლიგის ხელმძღვანელობამ წლის ლაურეატთა დასახელება დაიწყო.

კალათბურთელების, მწვრთნელების, ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების გამოკითხვის თანახმად სეზონის MVP გახდა „კახა ლაბორალის“ ფორვარდი **ფერნანდო სან ემეტერიო**. ესპანელმა კალათბურთელმა ორ ამერიკელ ლეგიონერს - **ნიკ კანერ-მედლისა** („ესტუდიანტესი“) და **ჯეისი კეროლს** („გრან კანარია“) გაუსწრო. საინტერესოა, რომ მწვრთნელებმა უპირატესობა კეროლს მიანიჭეს, პრესამ - კანერ-მედლის, ხოლო მოთამაშეებმა - სან ემეტერიოს. გადამწყვეტი აღმოჩნდა გულშემატკივართა ხმა - მათ არჩევანი ფერნანდოზე გააკეთეს, რომელმაც კანერ-მედლის 15 ქულით გაუსწრო.

ესპანეთის ჩემპიონატში სან ემეტერიო საშუალოდ 16.6 ქულას აგროვებდა. უკეთესი შედეგი მხოლოდ კანერ-მედლის ჰქონდა - 17.6, მაგრამ ესპანელი სხვა მაჩვენებლებით სჯობდა ამერიკელს.

„დაჯერება მიჭირს. სეზონის ბოლოს მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორმე უკეთესად დამესრულებინა რეგულარული ჩემპიონატი. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ეს პრიზი ჩემს ხელში აღმოჩნდებოდა. განსაკუთრებული გრძნობაა, როცა საკალათბურთო საზოგადოების რჩეული ხარ. მადლობა იმ ხალხს, ვინც ჩემი შრომა დააფასა“, - განაცხადა სან ემეტერიომ.

ესპანელი ფორვარდი „კახა ლაბორალის“ მეორე მოთამაშეა, ვინც ეს ტიტული დაიმსახურა. ადრე იგივე პატივი ერგო ბრაზილიელ ცენტრ **ტიაგო სპლიტერს**, რომელიც ამჟამად „სან ანტონიო სპურსში“ თამაშობს.



ფერნანდო სან ემეტერიო

■ ■ ■

როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესო მწვრთნელის ტიტული „ბარსელონას“ დამრიგებელმა **ხავი პასკუალმა** მოიპოვა. კატალონიურმა კლუბმა რეგულარული სეზონი დამაჯერებლად მოიგო - მან 34 მატჩში 28-ში იმარჯვა და მხოლოდ ექვსჯერ დატოვა მოედანი დამარცხებულმა.

ამ სეზონში ხავი პასკუალმა უკვე მოაპოვებინა ორი ტიტული „ბარსელონას“: ესპანეთის თასი და სუპერთასი. ახლა კატალონიელები საჩემპიონოდ ემზადებიან. ისინი შარშანაც მთავარი ფავორიტები იყვნენ, მაგრამ პირწმინდად წააგეს სერია „კახა ლაბორალთან“.

იტალიელთა რჩეულები

ომარ ტომასი

სეზონის ლაურეატები იტალიურმა ლიგამაც გამოავლინა. სერია A-ს ყველაზე სასარგებლო მოთამაშე გახდა „აველინოს“ ამერიკელი ფორვარდი **ომარ ტომასი**. აქაც გამოკითხვა ფართომასშტაბიანი იყო - ხმას აძლევდნენ კლუბების გენერალური მენეჯერები, მწვრთნელები, კაპიტნები და ჟურნალისტები.

ტომასმა დიდი სხვაობით აჯობა კიდევ ერთ ამერიკელ **ჯეიმს უაიტსა** და იტალიელ **ნიკოლას მაცარინოს**.

რეგულარულის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა „კანტუს“ დამრიგებელი **ანდრეა ტრინჩიერი**, საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის ტიტული კი არავის დაუთმო „ბენეტონის“ წევრმა **ალესანდრო ჯენტილემ**.

სეზონის MVP

1. ომარ ტომასი (აველინო, 169 ხმა)
2. ჯეიმს უაიტი (სასარი, 100)
3. ნიკოლას მაცარინო (კანტუ, 78)

საუკეთესო მწვრთნელი

1. ანდრეა ტრინჩიერი (კანტუ, 163)
2. ფრანჩესკო ვიტუჩი (აველინო, 154)
3. სიმონე პიანიჯანი (მონტეპასკი, 132)

საუკეთესო ახალგაზრდა

1. ალესანდრო ჯენტილე (ბენეტონი, 214)
2. დონატას მოტეიუნასი (ბენეტონი, 162)
3. ნიჯად დედოვიჩი (რომა, 92)

რეალში რევოლუცია იწყება

ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ განცდილი კრახის შემდეგ სერიოზული ცვლილებები იგეგმება მადრიდის „რეალში“. ამ პროცესს თავად „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი** უხელმძღვანელებს.

გაზეთ „მარკას“ ინფორმაციით, დონ ფლორენტინომ ორი საკუთარი წინადადება შეიტანა მომავალი სეზონისთვის გუნდის გარდაქმნაზე.

პირველი - „რეალს“ სათავეში უნდა ჩაუდგეს „ვალენსიას“ სერბი დამრიგებელი **სვეტისლავ პეშიჩი**. სწორედ მასში ხედავს პერესი „საკალათბურთო **ჟოზე მოურინიოს**“. პეშიჩი ევროპაში ერთ-ერთ წარმატებულ მწვრთნელად მიიჩნევა და „ვალენსიაში“ წლევანდელმა მუშაობამ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა.

მეორე - მადრიდში სათამაშოდ უნდა ჩავიდეს „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ მცველი **რუდი ფერნანდესი**. პეშიჩი-მოურინიოს ანალოგის მიხედვით, რუდი საკალათბურთო „რეალის“ **კრისტიანო რონალდო** უნდა გახდეს. ფერნანდესი ერთხელ უკვე დაფიქრდა ესპანეთში დაბრუნებაზე და თუ NBA-ში ლოკაუტი დაიწყო, რუდი ამას უპრობლემოდ გააკეთებს.

თუმცა ამ ტრანსფერების გაჩარხვა იოლი საქმე არ იქნება. თავად პეშიჩი უარს ამბობს მადრიდში გამგზავრებაზე, რადგან არ სურს „ვალენსიაში“ პერსპექტიული პროექტის მიტოვება. ამის შესახებ გაზეთი AS წერს.

ამ გამოცემის ცნობით, „რეალის“ მწვრთნელის პოსტზე მხოლოდ ორი კანდიდატი არსებობს: **ნევენ სპაჰია** და **პედრო მარტინესი**. „ფენერბაჰჩეს“ მწვრთნელი სპაჰია ყველაზე რეალური პრეტენდენტია, მაგრამ აქაც არსებობს სირთულეები. ჯერ ერთი კონტრაქტი 2012 წლამდე და მეორე - თურქული კლუბის დაპირება ახალი სეზონისთვის. „ფენერბაჰჩე“ სპაჰიასთვის ევროლიგის ახალი ჩემპიონის „მაკაბის“ ლიდერების - **ჯერემი პარგოსა** და **ჩაკ ეიდსონის** შეძენას აპირებს.

პედრო მარტინესი სარეზერვო კანდიდატად განიხილება. „გრან კანარის“ ამჟამინდელ მწვრთნელს დიდი გამარჯვებების გამოცდილება არ გააჩნია, რადგან გრანდებში არასოდეს უმუშავია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

რუდის რეალში ელიან

● ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

ბრიტანული ბრიუმფი

კევენდიშის საფირმო ფინიში

როგორც ჩანს, ჯირო დ'იტალიას ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს მაქსიმალურად გაურთულონ ცხოვრება თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერს **მარკ კევენდიშს**. საქმე ისაა, რომ დაბლობის ეტაპები სხვადასხვა სირთულის ამაღლებებით არის გაჯერებული, რაც უფრო აწყობს კევენდიშის მთავარ კონკურენტ **ალესანდრო პეტაკის**.

მეათე ეტაპი ტერმოლიდან ტერამომდე სიგრძითა და სირთულით (მეოთხე კატეგორიის მხოლოდ ერთი მწვერვალი) არ გამოირჩეოდა, სამაგიეროდ, ბოლო რვა კილომეტრი ველომრბოლებს აღმართის გადალახვა უწევდათ, თანაც ბოლო ასი მეტრის დახრა თითქმის ოთხ პროცენტს აღწევდა.

ამ ეტაპის სცენარი დიდად არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ეტაპებისგან, სადაც გამარჯვებულს საფინიშო სპურტი არკვევს. უკვე დასაწყისში პელოტონმა სამი მრბოლელი გაუშვა წინ: ფრანგები **პიერ კაზო** და **იური კრივცოვი** და იაპონელი **ფუმიუკი ბეპუ**. მოკლე ეტაპის გამო გაქცეულების მაქსიმალურმა უპირატესობამ ხუთი წუთი [illegible]დგინა. 100 კილომეტრის შემდეგ პელოტონმა თანდათან დაიწყო ამ ჩამორჩენის შემცირება.

ფინიშამდე 45 კილომეტრით ადრე სხვაობა უკვე ორი წუთი იყო, რაც ფინიშზე სპრინტერული გარჩევების გარ[illegible]�ia გახლდათ. ამ ბრძოლის ერთ-ერთმა პოტენციურმა მონაწილემ კევენდიშმა ზედმეტი ძალები დახარჯა პელოტონში დასაბრუნებლად - მისი ჩამორჩენა საბურავის გასკდომამ გამოიწვია.

ბეპუს მონდომებით გაქცეულებმა გარკვეული ხანი კიდევ შეინარჩუნეს ლიდერობა, მაგრამ 10 კილომეტრით ადრე პელოტონი სრული შემადგენლობით აღდგა და დაიწყო მზადება საფინიშო სპურისთვის. ბოლო კილომეტრებზე ტემპი არანორმალურად გაიზარდა, თუმცა ასეთი პირობებში **დევიდ მილარმა** მაინც გარისკა შეტევაზე გადასვლა. იერიში ეფექტური გამოვიდა და ერთ მომენტში სხვაობამ 15 წამსაც კი მიაღწია, მაგრამ ფინიშამდე კილომეტრით ადრე მასაც დანებება მოუნია. დადგა „სუფთა" სპრინტერთა დრო.

პეტაკიმ პირველმა სცადა შეტევა, მაგრამ სითამამე დააკლდა. კევენდიშმა კონტრშეტევის ხარჯზე მას მთელი კორპუსით გაუსწრო და ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეინარჩუნა ეს უპირატესობა. განაწყენებულმა პეტაკიმ ფინიშზე მეორე პოზიციაც წააგო **ვენტოსოსთან**.

ამით კევენდიშის მისია ჯიროზე ამოიწურა. ის ხვალ კიდევ ერთხელ იბრძოლებს გამარჯვებისთვის, რის შემდეგაც დაასრულებს რბოლას, რადგან ურთულეს სამთო ეტაპებზე ვერ შეძლებს დროის ლიმიტში ჩაჯდომას.

X ეტაპი

1. **მარკ კევენდიში** (ბრიტ, „პაიროუდი") - 4:00.49; 2. **ფრანსისკო ვენტოსო** (ესპ, „მოვისტარი") - იგივე დრო; 3. **ალესანდრო პეტაკი** (იტა, „ლამპრე") - იგივე დრო; 4. **რობერტო ფერარი** (იტა, „ანდრონი ჯოკატოლი") - იგივე დრო; 5. **დავიდე აპოლონიო** (იტა, „სქანი") - იგივე დრო; 6. **ფრანჩესკო კიკი** (იტა, „ქუიქ-სტეპი") - იგივე დრო.

სპერმიო ჩამთვლა

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, „საქსო-ბანკი") - 33:03.51; 2. **კონსტანტინ სივცოვი** (ბლრ, „პაიროუდი") - +0.59; 3. **კრისტოფ ლემეველი** (საფ, „გარმინი") - +1.19; 4. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, „ლიკვიგასი") - +1.21; 5. **მიკელე სკარპონი** (იტა, „ლამპრე") - +1.28; 6. **დავიდ არაიო** (ესპ, „მოვისტარი") - +1.37...

● ავტოსპორტი

რალი კიმის პრიორიტეტია

კიმი რაიკონენი

კვირაზე ნაკლები რჩება ნასკარის სერიაში **კიმი რაიკონენის** დებიუტამდე. 20 მაისს შარლოტის ოვალზე ფინელი Toyota Tundra-ს პიკაპის საჭეს მიუჯდება. როგორც ფორმულა 1-ის ყოფილი ჩემპიონი ამბობს, ის ახალ სერიას მხოლოდ იმ დროს დაუთმობს, რომელიც რალის მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლისას გაუნთავისუფლდება. კიმი აცხადებს, რომ წელს მისთვის მთავარი პრიორიტეტი სწორედ რალის პირველობა გახლავთ.

„არ მივიღებ მონაწილეობას ნებისმიერ რბოლაში, თუ ის ხელს შეუშლის ჩემს გამოსვლას რალის მსოფლიოს ჩემპიონატზე, - განაცხადა რაიკონენმა. - მე ნასკარის ის სერიები ავირჩიე, რომლებიც დროში არ ემთხვევა რალის სტარტებს. თავისუფალ დროს გავაკეთებ იმას, რასაც საჭიროდ ჩათვლი. არჩევანში აბსოლუტურად თავისუფალი ვარ. ჩემი პილოტაჟი რალიში აშკარად გაუმჯობესდა და უკვე შემიძლია უფრო აქტიურ მოქმედებაზე გადასვლა. ახლა ჩემი მთავარი მიზანი - რალიში პროგრესის მიღწევაა".

გასულ თვეში 31 წლის ფინელი ახლოს იყო თავის კარიერაში საუკეთესო შედეგთან - იორდანიის ეტაპზე მან მხოლოდ ბოლო მომენტში დაკარგა მეხუთე ადგილი. რალიში შემდეგი ეტაპი ივნისის დასაწყისში საბერძნეთში გაიმართება, მანამდე კი კიმი რამდენჯერმე ცდის ძალებს ოკეანის გაღმა.

*„მე მივუჯექი პიკაპის საჭეს და რამდენიმე წრე გავიარე კიმისა და ჩემი შედეგების შესადარებლად, - განაცხადა ტესტების შესახებ კიმის გუნდის წევრმა **კაილ ბუშმა**. - აღმოჩნდა, რომ ჩვენ ერთნაირი დროები გვაქვს".*

სუბილს სასამართლოში უჩივლეს

გერმანელს შესაძლოა სუპერლიცენზია ჩამოართვან

სკანდალშია გახვეული „ფორს ინდიას" გერმანელი პილოტი **ადრიან სუტილი**. მან ჩინეთის გრანპრის შემდეგ შანხაის ერთ-ერთ ღამის კლუბში სცემა ფორმულა 1-ის გუნდ „ლოტუს-რენოს" თანამფლობელი **ერიკ ლუქსი**.

ინციდენტის მიზეზი ის იყო, რომ ფრანგმა და გერმანელმა VIP-ლოჟაში ვერ გაიყვეს ადგილი. ახლა, ლუქსი სასამართლოში უჩივის გერმანელ პილოტს. ეს ინფორმაცია მისმა ადვოკატმა **მარკ ჰინცელინმა** დაადასტურა. მისი თქმით, სასამართლოსთვის მიმართვა იმის გამოც გახდა საჭირო, რათა ამ ინციდენტში მონაწილე სხვა ადამიანებიც დაისაჯონ. სუტილს არ განუმარტავს მომხდარის მიზეზი და უკვე მოუხადა ბოდიში დაზარალებულს.

გარდა იმისა, რომ გერმანელზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, შესაძლოა, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მას ფორმულა 1-ში მონაწილეობისთვის საჭირო სუპერლიცენზია ჩამოართვას.

ადრიან სუტილი

ავსტრალია არ ნებდება

ავსტრალიის შტატის - ვიქტორიას წარმომადგენელი ამშვიდებს ადგილობრივ გულშემატკივრებს - „ალბერტ პარკი" შეინარჩუნებს ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში ადგილს.

„დარწმუნებული ვარ, ბერნი ეკლსტოუნისგან უფრო სარფიანი წინადადების მიღების შანსი გვექნება. როცა ამ საკითხის განხილვას დავიწყებთ, მე მკაცრად დავიცავ ავსტრალიური მხარის პოზიციას, რომლის მიხედვითაც ეტაპის ჩატარებისგან მიღებული შემოსავლის მეტი წილი ჩვენ დაგვრჩება.

დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებ კონტრაქტის გაფორმებას, რომელიც მომგებიანი იქნება ჩვენთვის. რაც მთავარია, რბოლა „ალბერტ-პარკზე" დარჩება. ჩვენ არ ვაპირებთ ამ ეტაპის სხვა ტრასაზე გადატანას, თუმცა მესმის, რამდენად მომგებიანი იქნებოდა მელბურნისთვის ასეთი უფლების მიღება", - განაცხადა **ლუი აშერმა**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

მანჩესტერ სიტი-სტოკი	3:0

მანჩესტერი (4-4-1-1): ჰარტი - რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, საბალეტა - ჯონსონი (67. რაიტ-ფილიპსი), მილნერი, დე იონგი, სილვა (56. ჯეკო) - ტურე - ტევესი (88. ბოიატა).

სტოკი (4-4-2): სიორენსენი - უილკინსონი, შოუკროსი, უილსონი, კოლინზი - უაითჰედი, უელანი (74. შოტონი), დიაო, ჰუ - უოლტერსი, კარეუ (73. დელაპი).

გოლები: 1:0 ტევესი (14), 2:0 ლესკოტი (53), 3:0 ტევესი (65)

გაფრთხილება: შოუკროსი, უილკინსონი, დიაო

კუთხური: 4-3; **ჯარიმა:** 13-7; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 12-3 (6-1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

მაყურებელი: 35 000

ჩემპიონშიფი

კარდიფი-რიდინგი	0:3

გერმანია

რეგიონალლიგა (სამ)

ზონენჰოფი-ვორმატია	1:2

ბელგია

პლეი ოფი

ანდერლეხტი-ლოკერენი	3:4
გრიუგე-გენტი	3:0
გენკი-სტანდარდი	1:1

ავსტრია

II დივიზიონი

აუსტრია (ლ)-ჰარტბერგი	2:2
ადმირა-ლუუტენაუ	3:0
გრიოდიგი-სტ. კოლტენი	2:2
სტ. ანდრე-ალტახი	0:0

სლოვაკეთი

სლოვანი-ტრნავა	3:0

რუსეთი

II დივიზიონი

ხიმკი-ტორპედო (მ)	2:2
ფაკელი-ბალტიკა	2:3

უნგრეთის თასი

კეჩმეკეტი-ვიდეოტონი	3:2

ლიგა

დაინავა-ტაურასი	1:2

ესტონეთი

კალევი-ლევადია	1:1
პაიდე-ვილიანდი	2:1
ფლორა-ტრანს ნარვა	3:0

მოლდოვა

დაჩა-ნისტრუ	2:0
მილსამი-დინამო	7:2
ოლიმპია-ტირასპოლი	0:3
სფინტფული-გაგაუზია	1:3

ზერიფი-კოლტულენი	4:0
ისკრა-ატადეკა	3:2
ზიმგრუ-ცსკა	1:0

ამხანაგური მატჩები

ნაკრები

საფრანგეთი (U20)-აშშ (U20)	3:3

კლუბები

ზაბრიკუენი-ფრაიბურგი	2:5

კალათბურთი

საფრანგეთი

გრაველენი-როანი	66:60
ფოლე-ლე მანი	77:75

გერმანია

ბამბერგი-არტლანდი	85:73

თურქეთი

ოლინი-ბანვითი	62:68

ჩოგბურთი

ATP. ნიცა

ჰაიდერ მაურერი-**ბერლოკი**	7:5, 3:6, 0:6
ლუ-**ჰაასე**	3:6, 4:6
გაბაშვილი-**სტახოვსკი**	6:7, 3:6
ფონინი-**გულბისი**	6:3, 3:6, 3:6
ბაღდატისი-**ბენეტო**	6:7, 2:6

WTA. ბრისბენი

სპირსი-სხეპერსი	6:3, 6:1
ონდრაშკოვა-**ფალკონი**	5:7, 3:6
დულგერუ-ჰერცოგი	2:6, 6:4, 6:2
პენგი-ფლიპკენსი	6:0, 1:6, 6:2
ჟენგი-**მორიტა**	4:6, 6:4, 1:6
ვოსკობოევა-შავაი	5:2 **უარი**
როდიონოვა-**იანკოვიჩი**	2:6, 3:6
შნიდერი-**ვან უიტვანკი**	3:6, 6:2, 2:6
სკიავონე-პირონკოვა	6:2, 7:5
კანეპი-**ვიკმაიერი**	1:6, 6:4, 5:7

WTA. სტრასბური

როლე-**ჰრადეცკა**	3:6, 4:6
მირზა-**კორნე**	4:6, 6:4, 1:6
ჟანგი-პარმენტიე	6:2, 6:4
მაკჰეილი-**ლუჩიჩი**	5:7, 6:7
ფ. გაკონი-ა. ბონდარენკო	6:4, 6:1
ბალტაჩა-რიბარიკოვა	6:3 **უარი**
გრონეფელდი-**პეტკოვიჩი**	3:6, 1:6
ბარტოლი-დატე	6:2, 6:1

მს. ჩემპიონატი

ისნერი-ლინდელი	6:4, 6:1
ტროიცკი-**ფ. მაიერი**	2:6, 2:6
კუერი-**სიოდერლინგი**	7:5, 5:7, 6:7
ფ. მაიერი-გრანოლერსი	4:6, 6:4, 6:2
ჩელა-ლინდელი	6:1, 6:1
ლაიოვიჩი-ანდრეევი	1:6, 7:6, 6:4
ფიში-გოლუბევი	6:4, 6:2
კუერი-კუკუშკინი	6:3: 5:7, 5:7
ტროიცკი-**იუჟნი**	6:3, 6:1

● TV პროგრამა

18 მაისი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-პალერმო.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. სტ ეტიენი-რენი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ინტერი.
21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-სოშო (LIVE).
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. ბლეკბერნი-მანჩესტერი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. სანკტ პაული-ბაიერნი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. I მატჩი.
14:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-პსუ (LIVE).
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. I მატჩი.
04:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. II მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:00 ევროპის ლიგა. ფინალი. პორტუ-ბრაგა (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

19:25 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-სიბირიაკი. პირველი მატჩი (LIVE).
04:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. II მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

20:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-პსუ (LIVE).
02:55 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. ლიბერტადი-ველეს სარსფილდი. საპასუხო მატჩი (LIVE).
04:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ბოსტონი-ტამპა ბეი. II მატჩი (LIVE).
04:55 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. სანტოსი-ონსე კალდასი. საპასუხო მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

14:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).

SPORT+

20:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-სოშო (LIVE).

EUROSPORT

16:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XI ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. ბრიუსელი. ბელგია (LIVE).
02:10 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. IV ეტაპი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

აქტუალური ჯოკოვიჩი

ჯოკოვიჩი ჩვენებაზეა

დღეს სპორტის ნებისმიერ მოყვარულს **ნოვაკ ჯოკოვიჩის** სახელი აკერია პირზე. სერბი ჩოგბურთელი თავისი ფენომენალური თამაშისა და ქველმოქმედების წყალობით მუდმივად ყურადღების ცენტრშია. რომის მასტერსის მოგების შემდეგ ნოვაკი მოდების საქველმოქმედო ჩვენებაშიც მონაწილეობდა. აქცია - Fashion for Relief კანის 64-ე კინოფესტივალის რანგში გაიმართა და მისგან შემოსული თანხა იაპონიაში გამანადგურებელი სტიქიის მსხვერპლთა დახმარების ფონდში გადაირიცხა.

სუპერმოდელ **ნაომი კემპბელის** მიერ ორგანიზებულ ჩვენებაში ჯოკოვიჩის გარდა მონაწილეობა მიიღეს **ჯეინ ფონდამ, კეიტ მოსმა, შირლი ბესმა** და სხვებმა. წამყვანმა დიზაინერებმა ამ აქციისთვის საღამოს კაბები წარმოადგინეს, Dolce & Gabbana-მ კი - სპეციალური მაისურები.

■ ■ ■

ამასობაში, ნოვაკ ჯოკოვიჩი პირველი ჩოგბურთელი გახდა ამ სეზონში, ვინც წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშის უფლება გაინაღდა. 2011 წლის დასკვნითი ჩემპიონატი 20-27 ნოემბერს ლონდონში გაიმართება. ეს ინფორმაცია ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა.

სერბმა ლონდონის საგზური რომის მასტერსის მოგების შემდეგ გაინაღდა. ნოვაკისთვის ეს მეშვიდე ტიტული სეზონში. მანამდე მან მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა, ინდიან უელსის, მაიამისა და მადრიდის მასტერსები, აგრეთვე ტურნირები დუბაისა და ბელგრადში.

ჯოკოვიჩი ზედიზედ მეხუთედ მოხვდა წლის შემაჯამებელ ტურნირზე. იქ მან 2008 წელს მოიპოვა ტიტული, შარშან კი ნახევარფინალამდე მიაღწია და მომავალ ჩემპიონ **როჯერ ფედერერთან** დამარცხდა. ეს არის ჯერჯერობით ბოლო მარცხი ჯოკოვიჩისთვის პროფესიულ ტურში.

სხვათა შორის, ნოვაკი მხოლოდ მეორე მოთამაშეა ისტორიაში, ვინც წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაში როლან გაროსამდე გაინაღდა. 2009 წელს იგივე გააკეთა ნადალმა.

შეგახსენებთ, რომ სეზონის დასკვნით ჩემპიონატში წლის საუკეთესო რვა ჩოგბურთელი შეიკრიბება. ამ ეტაპისთვის ტურის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1. ჯოკოვიჩი (სერბეთი) - 6975 ქულა
2. ნადალი (ესპანეთი) - 4390
3. ფერერი (ესპანეთი) - 2740
4. ფედერერი (შვეიცარია) - 2620
5. მიურეი (ბრიტანეთი) - 2030
6. სიოდერლინგი (შვედეთი) - 1630
7. ბერდიხი (ჩეხეთი) - 1485
8. ალმაგრო (ესპანეთი) - 1440
9. დელ პოტრო (არგენტინა) - 1375
10. გასკე (საფრანგეთი) - 1090

■ ■ ■

იტალიის დედაქალაქში **რაფაელ ნადალის** დამარცხების შემდეგ ჯოკოვიჩის მოგებათა სერია სეზონის სტარტიდან მოყოლებული 37 მატჩამდე (მეორე შედეგი მამაკაცთა ჩოგბურთის ისტორიაში - ჩამორჩება მხოლოდ **ჯონ მაკინროს**, რომელმაც 1984 წლის სეზონი ზედიზედ 42 მოგებით დაიწყო) ავიდა, დევისის თასის მატჩების ჩათვლით კი ეს სერია 39 მოგებას ითვლის. ამ მაჩვენებლით ნოვაკი ATP-ის ისტორიაში ჯერჯერობით მეექვსეა, მაგრამ როლან გაროსის მოგება **გილერმო ვილასის** „სამუდამო" რეკორდის გამეორების საშუალებას მისცემს. ლეგენდარულმა არგენტინელმა 1977 წლის სეზონის მსვლელობისას (ოღონდ არა სტარტიდან) ზედიზედ 46 მატჩი მოიგო.

ჯოკოვიჩის ნაუგებელი სერია უნიკალური მოვლენაა თანამედროვე ჩოგბურთში, რადგან დღეს პროფესიულ ტურში არნახული კონკურენცია სუფევს. ნოვაკზე არანაირი ფაქტორი არ მოქმედებს - არც დაღლილობა და არც კონკურენტთა განსაკუთრებული მოტივაცია სერბის წინააღმდეგ თამაშისას.

მას შემდეგ, რაც ჯოკოვიჩმა გრუნტზე ზედიზედ სამი ტურნირი (ბელგრადი, მადრიდი, რომი) მოიგო, დღის წესრიგში დადგა შემდეგი საკითხი: შეძლებს თუ არა ის საფრანგეთის ღია პირველობის მოგებას. ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ეს ძალიან რთული იქნება, რადგან „დიდი სლემის" ტურნირებზე განსაკუთრებული დატვირთვებია, ჯოკოვიჩი კი რობოტი არ არის და დაღლილობა რაღაც ეტაპზე აუცილებლად იჩენს თავს.

აღსანიშნავია, რომ წელს მამაკაცთა ტურში უკვე ოთხი მასტერსი ჩატარდა, ოთხივეში ჯოკოვიჩი და ნადალი შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში და ოთხივეჯერ გამარჯვება სერბ ჩოგბურთელს დარჩა. საინტერესოა ისიც, რომ 2011 წელს ნადალთან და ფედერერთან ურთიერთშეხვედრებში ჯოკოვიჩი წინ არის - 7:0, ხოლო რეიტინგის საუკეთესო ათეულის წარმომადგენლებთან მოგება-წაგების შეფარდება ასეთი გახლავთ - 13:0.

რაც შეეხება რეიტინგის პირველი საფეხურისთვის ბრძოლას, ამის შესახებ გუშინდელ ნომერში დავწერეთ. ჯოკოვიჩს ნადალის გასწრების კარგი შანსი აქვს - თუ რაფა ფინალში ვერ გავა, ნოვაკი ნებისმიერ შემთხვევაში ინაღდებს კლასიფიკაციაში პირველობას. იგივე მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სერბი საფრანგეთის ღია პირველობის მოგებას შეძლებს.

აქვე გთავაზობთ ATP-ის ტურში ყველაზე გრძელ მოგებათა სერიების ავტორებს:

46	გილერმო ვილასი (არგ) - 1977
44	ივან ლენდლი (ჩეხ) - 1981/82
42	ჯონ მაკინროი (აშშ) - 1984
41	ბიორნ ბორგი (შვედ) - 1979/80
41	როჯერ ფედერერი (შვეიც) 2006/07
39	ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) - 2010/11

■ ■ ■

ჯოკოვიჩის მიღწევებს გამოეხმაურა ლეგენდარული ამერიკელი ჯონ მაკინროი, რომლის რეკორდსაც ემუქრება სერბი ჩოგბურთელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაკინროის 1984 წლის სეზონის სტარტზე ზედიზედ 42 მოგება ჰქონდა და ჯოკოვიჩს ამ რეკორდის გასამორებლად ხუთი მოგება სჭირდება.

„ნადალმა არ იცის, რა მოუხერხოს ჯოკოვიჩს და როგორ დაამარცხოს ის. თუ რაფა დაბნეულია და თავის საყვარელ გრუნტზე ვერაფერს უპირისპირდება ნოვაკს, ეს იმის მანიშნებელია, რამდენად ძლიერად ათამაშდა სერბი აღნიშნულ საფარზე. დღეს ჩვენ ვუყურებთ ჩოგბურთელს, რომელიც აბსოლუტურად საუკეთესოა მსოფლიოში", - აღნიშნა AP-სთან ინტერვიუში მაკინროიმ.

„რაც შეეხება ჩემს რეკორდს, ის ერთადერთი მიღწევაა, რომელიც დიდ ჩოგბურთში დამრჩა და არ მინდა ვინმემ დაამხოს. მაგრამ, მეორე მხრივ, ბევრისთვის ეს რეკორდი ინტრიგას წარმოშობს და ამიტომაც როლან გაროსის წინ ერთგვარი მღელვარება იგრძნობა", - აღიარა მაკინროიმ, რომელიც საფრანგეთის ღია პირველობაზე საჩოგბურთო ანალიტიკოსის როლში იქნება.

ინტერვიუ მარია შარაპოვასთან

ყვირილი სელეშისგან არ მისწავლია

რუსი ვარსკვლავი მარია შარაპოვა თანდათან იბრუნებს საბრძოლო ფორმას. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მის მიერ რომის სუპერტურნირში ნაჩვენები თამაში, სადაც ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი კაროლინ ვოზნიაცკი და შარშანდელი როლან გაროსის ფინალისტი სამანტა სტოსური.

საფრანგეთის ღია პირველობის წინ შარაპოვას სულ უფრო აქტიურად მიაკუთვნებენ ტურნირის მთავარ ფავორიტთა რიცხვს, თუმცა თავად მარია ჯერ მოკრძალებულად აფასებს საკუთარ შანსებს. სტოსურთან ფინალის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში რუსმა ბევრ საინტერესო კითხვას უპასუხა.

- ოდესმე გითამაშიათ ასე კარგად, როგორც ეს სტოსურთან ფინალში გააკეთეთ?

- ყველა განვლილ დღესა და ყველა მატჩს ვერ გავიხსენებ. ნებისმიერი გამარჯვება თავისებურად გამორჩეულია და სხვებისგან განსხვავდება. უკვე არაერთი ტიტული მომიგია და მწვერვალზეც ვყოფილვარ, მაგრამ დღევანდელი წარმატება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ტურნირის წინ ფავორიტებს შორის არ ვყოფილვარ, თან გრუნტი ჩემი საყვარელი საფარი არ არის, ამიტომაც იმ მოთამაშეების დამარცხება, რომელთა შედეგები გრუნტზე უკეთესია, ჩემთვის - ძალიან მნიშვნელოვანია.

- თქვენ გაიმარჯვეთ „დიდი სლემის" სამ ჩემპიონატში, მაგრამ ამასთან, მხოლოდ ორი ტურნირი გქონდათ მოგებული გრუნტზე: ამელია-აილენდსა და შარშან სტრასბურში. რომში გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ გრუნტზე თამაში ისწავლეთ?

- დიახ, რა თქმა უნდა. როგორც უკვე ვთქვი, შევძელი იმ ჩოგბურთელების დამარცხება, რომლებიც გრუნტზე ყოველთვის კარგად გამოიყურებოდნენ. იმავე სამანტამ შარშან როლან გაროსის ფინალში ითამაშა. ველოდი, რომ ფინალში დაძაბული ბრძოლა იქნება და პირველიდან ბოლო გათამაშებამდე უშეღავათო დუელისთვის მოვემზადე. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სამანტას მისი საფირმო თამაშის ჩვენების საშუალება არ მივეცი. ვგრძნობ, რომ სულ უფრო უკეთ ვთამაშობ და ამ ტრიუმფის ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის.

- გამოდის, კმაყოფილი ხართ ნახევარფინალსა და ფინალში საკუთარი თამაშით?

- იმის გათვალისწინებით, რომ გრუნტზე განსაკუთრებული შედეგი არასოდეს მქონია, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. მაინცდამაინც არ მიყვარს გრუნტზე თამაში, მაგრამ ჩემმა ბოლო მატჩებმა დაგვანახა, რომ ჩოგბურთში ძალიან ბევრი ნიუანსია, რომელმაც შეიძლება მატჩის ბედი გადაწყვიტოს.

- ნახევარფინალში თუ გახსოვთ ის მომენტი, როცა სახით გრუნტზე დაეცით?

- გრუნტის სეზონში ადრე თუ გვიან ხდება პირველი დაცემა. ჩემს შემთხვევაში ეს სწორედ ვოზნიაცკისთან შეხვედრაში მოხდა.

- ვიღაცას იმედი ჰქონდა, რომ ამის შემდეგ კაბას გამოიცვლიდით, მაგრამ ეს არ გააკეთეთ.

- პირდაპირ კორტზე?

- დიახ...

- ეს პირადად თქვენი იდეაა თუ ვინმემ გიკარნახათ?

- დიახ, ჩემი.

- შესანიშნავია, გამოდის გარყვნილი ადამიანი ხართ.

- თითქმის ერთი წელი გავიდა თქვენ მიერ ბოლოს მოპოვებული ტიტულიდან. ეს ერთგვარად სიმბოლური დაბრუნება იყო...

- მე არ მახასიათებს წარსულისკენ ყურება და ძველი და ახალი თამაშის შედარება. ახლა ვგრძნობ, რომ ყოველ მომდევნო მატჩში ვუმატებ თამაშს. სულერთია, როგორი იყო ჩემი დონე ადრე: მთავარია, რომ დღეს უნდა დავიპყრო ახალი მწვერვალები და მუდმივად ვიზრუნო სრულყოფაზე.

- ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მოკრძალებულად შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები მოახლოებულ როლან გაროსზე. არადა, რომში დაამარცხეთ მსოფლიოს პირველი ჩოგანი და ტურნირის შარშანდელი ფინალისტი. მე მგონი ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

- მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ კრიტიკა, შედეგების პროგნოზირება და ფავორიტების ამორჩევა - ჩემი საქმე არ არის. ეს ჟურნალისტების სამუშაოა, ჩემი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ კორტზე გავიდე, ბოლომდე ვიბრძოლო და ტურნირის მოგება ვცადო. საფრანგეთის ღია პირველობაზე ნებისმიერი მატჩი ძალიან რთული იქნება.

- როდის აღნიშნავთ გამარჯვებას თქვენს საქმროსთან?

- არ ვიცი ზუსტად როდის არის ჩემს განრიგში გამოსასვლელი დღე. წინ კიდევ ბევრი საქმეა. როცა შესაძლებლობა მექნება, ალბათ, გავივლი მაღაზიებში ან სხვა გასართობს მოვნახავ.

- აქამდე სტოსურთან არასოდეს წაგიგიათ. შეგიძლიათ ამ სერიის საიდუმლო გაგვიმჟღავნოთ?

- პირველად შევხვდით გრუნტზე. სამანტა ძალიან კარგ ჩოგბურთს თამაშობს და მისი სტილისთვის ეს საფარი იდეალურია. ბოლომდე უნდა დამედო თავი კორტზე და არ უნდა მეფიქრა იმაზე, როგორ საფარზე მიდიოდა თამაში. ეს რთული იყო, მაგრამ გამომივიდა.

- სად იკვებებით იტალიაში სტუმრობისას თუ თავად ამზადებთ კერძებს?

- იტალიაში ყველაზე კარგი სწორედ ის არის, რომ აქ თავად არაფრის დამზადება არ გიწევს, რადგან გარშემო უამრავი გემრიელი კერძია. ზუსტად ვიცი, რომ საკვების ხარისხი აქ უბრალოდ საოცარია, ბევრი აქაური კერძი მომწონს და საერთოდ იტალიური სამზარეულო - ერთ-ერთი საყვარელია.

- ფინალს ესწრებოდა მონიკა სელეში. სხვათა შორის, კორტზე პირველად ყვირილი მან დაიწყო. ეს მისგან ისწავლეთ?

- მონიკა დიადი ჩემპიონია და მე მას ყოველთვის პატივისცემით ვეპყრობი. თუმცა ჩემს ყვირილს კორტზე მასთან კავშირი არ აქვს.

- გყავთ მეგობრები მოთამაშეებს შორის?

- თქვენც იცით, რომ ტურში რთულია გყავდეს მეგობრები. მაგალითად, ჩემთვის მიუღებელია ერთ საღამოს ივახშმო ადამიანთან, ორი დღის შემდეგ კი მის წინააღმდეგ კორტზე გახვიდე. სპორტი - ცალკე ცხოვრებაა, ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებით და სავსების ნორმალურია, რომ ყველა ცდილობს დანარჩენის დამარცხებას. ჩვენ ხომ ერთი გუნდი არ ვართ, რომ ვინმესთან დამეგობრდე. მე შესანიშნავი გუნდი მყავს, ბავშვობიდან ჩემი ნათესავები ყველაფერში მეხმარებოდნენ და ეს გზა ერთად გავიარეთ. სიამოვნებით ვატარებ დროს მათთან ან ჩემი გუნდის წევრებთან. სხვა ყველა ურთიერთობა ტურში - უბრალოდ დროის სასიამოვნოდ გატარების ერთ-ერთი ხერხია.

მარია შარაპოვა

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა